გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.
№263-264 (5296-5297)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

127-ე სეზონი — ახალ გარემოში



## „...ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“

იხ. მე-24 გვ.

## ბოლომდე გავალთ ვითომ ფონს მხოლოდ გამჭვირვალობითა და ტყუილით?

იხ. მე-3 გვ.

## „ცენტრ პოინტის“ ოინები

„რექტორი ვერ შეგხვდებათ, წვიმს და გაცივდება“, — უთხრეს თბილისის უნივერსიტეტში ბაგებიდან გამოსასახლებელ სტუდენტებს

იხ. მე-2 გვ.

## გუინსტონ, ჩემო გემრიელო კაცო!..



იხ. მე-22 გვ.

ნიკა ქავთარაძე - „ზესტაფონის ეროვნული გმირი“

## მაინც როგორ, უფალო პარლამენტარო?!

პასუხად ბატონ კოტე გაბაშვილს, თავისი სკანდალური ინტერვიუს გამო



იხ. მე-3 გვ.

კვირის თვალსაწიერი

## ერთიც დაუსხით ომარ ხაიამს

ეს კვირაც, როგორც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ განვლილი ყოველი კვირა, ისე იყო დატვირთული მოვლენებით, რომ, როგორც იტყვიან, ნაკერებში ირღვეოდა.

მთავარი ის სულმოუთქმელი მოლოდინი იყო, რომლითაც პარლამენტი და ერი შინაგან საქმეთა მინისტრის ბატონ ვანო მერაბიშვილის ჩვენს მთავარ საკანონმდებლო ორგანოში მისვლას ელოდნენ.

და მან იმედი არ უმტყუნა არც პარლამენტს და არც ერს.

იხ. მე-2 გვ.

## „უპატრონო“ ავანტიურა,

### ანუ „აშოცა-ნინოწმინდა“

იხ. მე-5 გვ.

## გალინა ჯუღაშვილი:

## „მამა ღვიძლი მაკლია“

იხ. მე-8 გვ.

## საქართველო ი ქურდებს!..

„მესმის ქურდობის ეს ვაკხანალია, შეჯიბრება იმაში, თუ რომელი მათგანი უფრო მეტად გასძარცვავს თავის ხალხს, რომელი უფრო მეტად გაისქელებს ჯიბეს და შიშსა მგვრის, რომ მათმა ასეთ ალვირახსნილობამ ერთხელ ქართველ ხალხს ქურდის სამარცხვინო დაღი არ დააკრას!“




იხ. მე-11-12 გვ.

ინფორმაცია

## სააკაშვილმა მათიას ეორში მიიღო

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელი მათიას ეორში მიიღო.

სახელმწიფო კანცელარიაში შეხვედრა დახურულ კარს მიღმა გაიმართა და მისი დასრულების შემდეგ კომენტარები არ გაკეთებულა.

ვიზიტის ფარგლებში, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფი შეხვედრებს გამართავს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან, გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილთან, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილთან, იუსტიციის მინისტრ კოტე კემულარიასთან, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავასთან, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან.

## ჯემალ ინაიშვილი ვიცე-სპიკერია

საქართველოს პარლამენტს ახალი ვიცე-სპიკერი ჰყავს. აჭარიდან არჩეულმა დეპუტატებმა საქართველოს პარლამენტში საინიციატივო ჯგუფის სახელით, ხელმოწერებით



მიმართეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს და პარლამენტის ვიცე-სპიკერის პოსტზე ჯემალ ინაიშვილი წარადგინეს.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აღნიშნა, ჯემალ ინაიშვილი იუბილარია, ამიტომ პარლამენტმა ამ მნიშვნელოვან პოსტზე არჩევითაც მიულოცა მას დაბადების დღე.

ინაიშვილის კანდიდატურას ვიცე-სპიკერის პოსტზე 112 დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაც გულწრფელად ულოცავს ბატონ ჯემალს დაბადების დღეს და საპატიო თანამდებობასაც.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს რესპუბლიკა

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

◉ კვირის თვალსაწიერი

# ერთიც დაუსხით ომარ ხაიამს

(პირველი გვერდიდან)

პირდაპირ ვიტყვი: ბატონმა ვანომ მოიგო ეს რაუნდი, როგორც გიორგი დიმიტროვმა — ლაიფციგის პროცესი. ის იყო დინჯი, აუღელვებელი, მისგან მოულოდნელად საკმაოდ ენამჭევრიც და ორსაათნახევრის მანძილზე კლდესავით იგერიებდა ოპოზიციის მზაკვრულ შეტევებს. რაც მთავარია, სწორი ტაქტიკა აირჩია: უპასუხებდა იმ კითხვებს, რომლებზე პასუხიც ხელს აძლევდა და მოხერხებულად უვლიდა გვერდს დანარჩენს.

მან მხოლოდ ერთხელ აუწია ხმას, როცა შეუვალად განაცხადა, ყველა ქურდი ციხეში უნდა იჯდესო, და კიდევ: აი ახლა, ამ ტრიბუნიდან ვაძლევ ბრძანებას ჩემს უწყებას, მცირედი საფრთხის შემჩნევისთანავე მოსპონ ბოროტმოქმედნიო.

ვინ ძალლი და მამაძაღლი: ქურდი, რა თქმა უნდა, ციხეში უნდა იჯდეს. მაგრამ, როცა ქურდობაზე წაასწრებ ან ქურდობას დაუმტკიცებ, თორემ მოგეხსენებათ ხალხური სიბრძნე: „თუ არ დაიჭირე (ანუ, თუ ქურდობაზე არ დაიჭირე) ქურდი არ არის“. ან ამ უდანაშაულობის პრეზუმფციას რა ვუყოთ, რომელიც, რომის სამართლიდან მოყოლებული, დღემდე მსოფლიო იურისპრუდენციის ამოსავალი წერტილია?

ესეც არ იყოს, სამუდამო პატიმრობას ხომ არ მიუსჯი იმის გამო, ქურდი ვარო, რომ დაუჩემებია.

ახლა მეორე. კაცი რომ იარაღს დაგიძრობს და სროლას დაგიპირებს, რა თქმა უნდა, დასწრება სჯობს. მაგრამ რაღაც შემაკავებელი, უფრო სწორად, რაღაც საკონტროლო, ალბათ, მაინც უნდა არსებობდეს. თორემ ჰეეე, რამდენმა ძალოვანმა შეიძლება ეს ანგარებით გამოიყენოს! იტყვის, სროლას აპირებდაო და პირდაპირ შუბლში დააწებებს ტყვიას (როგოგც ეს გუშინ მოხდა გამსახურდიას პროსპექტზე). ვითომ გამორიცხულია სულაც უიარაღო მოკლულისთვის იარაღის მიგდება, რომლითაც „სროლას აპირებდა?“ კაითუ, თვით ბატონ ვანოს გაუჭირდეს შემდეგ მოსალოდნელ სისხლიან ლაბირინთებში გზის გაგნება?..

**დიდი** ხმაურისა და მითქმა-მოთქმის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრომ აიღო და 49 წლით მაინც გასცა (იჯარით?) წინანდლის ალექსანდრე ჭავჭავაძისეული სახლ-კარი.

ოღონდ ტენდერი იქ არაფერ შუაშია. გურული რომ ერთ გოჭს ყიდდა, აირჩიე, ძამაო, ისე მოხდა: ეკონომიკის სამინისტრომ „ტენდერის“ ერთადერთი მონაწილე „შეარჩია“ და მას მისცა (უფრო სწორად — უფეშქაშა) წინანდალი.

რუსებს, ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს, ესპანელებს, იტალიელებს და სხვებს არა მგონია, ვინმემ და რამემ დააძალოს ასე გაასხვისონ თავიანთი წინანდლები, თუმცა ისინი უამრავი აქვთ. ჩვენ კი ლამის ერთი ან ორი თუ შემოგვრჩა XIX საუკუნის კულტურისა და ისტორიის გვირგვინად და იმათაც მივადექით საანგარიშო „ჩოთქით“ (ალბათ მალე დადიანების სასახლესაც მიადგებიან). არადა, ერთ რუსლანასა და სეზარია ევორაში გადახდილი ეყოფოდა მას მთელი 10 წელი მოსავლელ-საპატრონოდ.

სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ჩვეული პირდაპირობით „თეორი-



ულად“ გაამართლა ეს გაიჯარება: რა გააჭირეთ საქმე, „ასეთი ტიპის დაწესებულებები“ სწორედაც კერძო საკუთრებაში უნდა იყოსო და, ამის დასტურად, რომ იტყვიან, სწორედ სოლომონისეული სიბრძნე აგვაფარა შუბლზე: „წინანდლის სახლ-მუზეუმი ყოველთვის კერძო საკუთრებაში იყო და არა სახელმწიფოსი. XIX საუკუნეში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი კერძო ოჯახს ეკუთვნოდა, ამიტომ ის რომ გასხვისდეს, საგანგაშო არაფერია“.

ბატონო კახა, თამარ მეფის გულსაკიდი ჯვარიც, სასოებით რომ გვაქვს შენახული მუზეუმის საცავში, ერთ დროს კერძო საკუთრება იყო — თამარი ატარებდა და რა ვქნათ, ავიღოთ სინდისზე ხელი და გავყიდოთ?

ან, ის რომ გავყიდოთ, სანაცვლოდ უკეთესი რა უნდა ვიყიდოთ? ერთიც დაუსხით ომარ ხაიამს, ის ამბობდა, ღვინოს რომ ყიდიან, ნეტა უკეთესს რას იყიდიანო!

თუმცა ბატონი სახელმწიფო მინისტრი აკი ყველაფრის გაყიდვას გვირჩევს, სინდისის გარდა. ეს კია, კაცი რომ ყველაფერს გაყიდის, მერე სინდისსაც იოლად შეელევა.

**რევოლუცია** ახალ სახელებს შობს და შემდეგ მათ ქუჩებისა და მოედნების სახელწოდებებით უკვდავყოფს.

თავდაპირველად ქუჩისთვის სახელის მიკუთვნება ისტორიზმის პრინციპით, რეალურად არსებული, ძირითადი, განმსაზღვრელი ორიენტირის მიხედვით ხდებოდა: სიონის ქუჩა იქ იყო, სადაც სიონის ტაძარი იდგა, ანჩისხატისა (ამჟამად შავთელის) — ანჩისხატთან, ოქრომჭედლებისა — იქ, სადაც ამ დარგის ხელოსნები საქმიანობდნენ, ბამბის რიგი (ქუჩა) — სადაც ბამბის დუქნები იყო, თივის მოედანი, სადაც თივა იყიდებოდა, სატივეს უბანი — სადაც მტკვრით ჩამოტანილი ტივები იყრიდა თავს მდინარე ვერეს შესართავთან და ა.შ. ეს სრულიად გამართლებული მოვლენა გახლდათ.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევრიდან, თბილისის ქუჩების სახელწოდებებში ფართოდ დაინერგა რუსეთის საიმპერატორო სახლის წარმომადგენელთა სახელების მიკუთვნება — ალექსანდრეს, ნიკოლოზის, პავლეს, ოლგას და ა.შ. თბილისის ქუჩების სახელწოდებების აღმნიშვნელი აბრები მხოლოდ რუსულ ენაზე იყო წარმოდგენილი, რის შემდეგაც ტარიელის, ავთანდილის, ფრიდონის და ა.შ. ქუჩები „ტარიელოვის“, „ავტანდილოვის“ და „პრიდონოვის“... ქუჩებად იქცა.

გაწითლების შემდეგ ქალაქს „გამოჩენილი რევოლუციონერების, ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეთა“ სახელების ტალღამ გადაუარა (ხანდახან სიცოცხლეშივე არქმევდნენ მათს ძვირფას სახელებს. ქუჩები რაა, მთელ რეგიონებს შეეცვალათ სახელები და გაჩნდა წულუკიძის, ორჯონიკიძის, მახარაძის, გეგეჭკორის, მიხა ცხაკაიას, მაიაკოვსკის, ლენინგორის რაიონები, ქალაქი სტალინირი. ერთ დროს ზესტაფონს... ამხ. ჯუღელი ერქვა).

მაგალითისთვის თბილისის მრავალტანჯული მთავარი მოედანი ავიღოთ. 1828 წელს რუსის ჯარის მიერ ერევნის აღების აღსანიშნავად, სარდალს გენერალ პასკევიჩს ერევნის გრაფის წოდება უბოძეს, ხოლო მოედანს თბილისში — პასკევიჩ-ერევანსკის მოედანი (შემდეგ ქართველი მოსახლეობა სიმოკლისთვის ერევანსკის, ერევნის სახელით იხსენიებდა), 1918-1921 წლებში მას თავისუფლების მოედანი ეწოდა, 1921 წლიდან — ზაკფედერაციის (ამიერკავკასიის ფედერაციის), 1930-იანი წლების დასასრულიდან — ბერიას, 1953 წლიდან ლენინის მოედანი ერქვა. 1990 წელს თავისუფლების მოედნის სახელი დაუბრუნდა. ვინ იცის, იქნებ სამომავლოდაც არის რაღაც ვარაუდი...

სხვათა შორის, ამ მოედანს სხვა მხრივაც უკუღმართი ბედი დაჰყვა: ბოლშევიკებმა იქ არსებული დიდებული ქარვასლა დაანგრიეს, და ტრიბუნა ააშენეს პარადების მისაღებად; მერე ისიც დაანგრიეს და ლენინის ძეგლით გაგვახარეს. არც ის აღმოჩნდა დღეგრძელი და ახლა თავისუფლების სტელას დგამენ. ხვალ....

1990 წლებიდან რევოლუციური გვარ-სახელები და ტოპონიმები (ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კომბაინი, ტრაქტორი, კოლმეურნეობა და სხვ.) ძირითადად ალიგავა პირისაგან მიწისა თბილისისა.

ამჟამად სახელცვლის ახალი ეტაპი იწყება. ვარდების რევოლუცია თავის წილ დიდებას ითხოვს.

და აი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ რესპუბლიკის მოედანს შეიძლება სახელი გამოეცვალოს და ვარდების რევოლუციის მოედანი დაერქვას. ამ ინიციატივით თბილისის საკრებულოს ჯანდაცვის, სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლებისა და სპორტის მუდმივ კომისიაში მოქალაქეთა განცხადება შესულა.

ძალიანაც კარგი! საერთოდ, მოქალაქეთა, ანუ, ძველი გაგებით თუ ვიტყვით, მშრომელთა, ანუ მასების, ანუ, პრინციპში, ხალხის მოთხოვნას წინ რა დაუდგება.

მაგრამ ეს რაა! იმავე ინფორმაციით იმასაც ვიგებთ, რომ ამ კომისიის 9 ნოემბრის სხდომაზე თავმჯდომარეს სოსო ეგუტიას განუცხადებია, მასებმა ვაკე-საბურთალოს რაიონში, მეტროს სადგურ „გოცირიძის“ მახლობლად მდებარე ერთ-ერთი ქუჩისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელის მინიჭების ინიციატივითაც მოგვმართესო.

ინფორმაცია იმას აღარ გვატყობინებს, თუ რა ნაბიჯის გადადგმას აპირებს ბატონი სოსო ეგუტია მშრომელთა ამ მოწადინებული მოთხოვნის საპასუხოდ. ალბათ დააკმაყოფილებს, თორემ იმ კომისიის სხდომაზევე იტყოდა, რომ თბილისში უკვე არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, ყოფილი 5 დეკემბრისა, ისნის რაიონში მდებარე საკმაოდ გრძელი და ფართო მაგისტრალი.

მაგრამ შეიძლება სურთ, რომ ლევილის ქართველთა სასაფლაოდან ეროვნული გმირის მთაწმინდაზე გადმოსვენებასთან დაკავშირებით თბილისში რამდენიმე ქუჩას მიაკუთვნონ მისი სახელი?

ასეთი პრეცედენტი უკვე იყო. 1990-იან წლებში, დამოუკიდებლობის სიოს პირველივე შემობერვაზე დავით აღმაშენებლის სახელი მიეკუთვნა პლეხანოვის პროსპექტს, თბილისში შემომავალ ხეივანს და ვერის უბნიდან მთაწმინდაზე გადამავალ გზას; იბერია-ივერია დაერქვა რაიონული საფეხბურთო გუნდების ლამის ნახევარს (და იყო მერე კუჭკუჭეთის „ივერიის“ 0:9 თუ ფახფახეთის „იბერის“ 0:11 წაგებები)...

ამდენად, სახელების გადანათვლა იწყება. უკვე გაქვს მისტერ ბუშის ქუჩა, ხვალ გვექნება იუშჩენკოს მოედანი, ზეგ — ბოკერიას შესახვევი, მაზეგ — კირკიტაძის აღმართი, იმის იქით (იქნებ მაშინვე, როგორც კი „ოპიზას“ საქმეთა შემსწავლელი კომისია მუშაობას დაამთავრებს) — ბექაურის პროსპექტი და ა.შ. ამაში ცუდს, პირადად მე, ვერაფერს ვხედავ, ოღონდ, მეშინია, ვაითუ, ჩვენს ბებერ დედაქალაქს მოედნები, ქუჩები, შუკები, ჩიხები და აღმართები არ ეყოს მეგობარი ქვეყნების პრეზიდენტ-პრემიერებსა თუ ვარდების რევოლუციის შემოქმედთა სიცოცხლეშივე უკვდავსაყოფად!..

**ალეკო ასლანიშვილი**

◉ ინფორმაცია

### პეტრეს მარიკა შეცვლის?

**პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში შესაძლოა, საქართველოს პარლამენტის წევრი მარიკა ვერულაშვილი გახდეს.**

**ალნიშნულ ინფორმაციას მარიკა ვერულაშვილი არ ადასტურებს.**

### დამნაშავე ადგილზე გაათავეს

**გამსახურდიას გამზირ №18-ში ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში შეჭრილი მძარცველების დასაკავებლად პოლიციამ სპეცოპერაცია ჩაატარა. ოპერაციის დროს ერთ-ერთი მძარცველი მოკლეს.**



**როგორც აქ მცხოვრები მეზობლები აცხადებენ, მათთ შეიტყვეს, რომ ერთ-ერთ ბინაში მძარცველები იმყოფებოდნენ. მეზობლებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.**

**საპატრულო პოლიციის მისვლის შემდეგ, მძარცველებმა გაქცევა სცადეს. ერთ-ერთი მათგანი არ დაემორჩილა საპატრულო პოლიციის მოთხოვნას და ადგილზე გაათავეს. ის არის 18 წლის ახალგაზრდა, რომლის სახელსაც აქ მყოფი საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები არ ასახელებენ.**

**ორი მძარცველი პატრულმა დააპატიმრა.**

### „ჯეოსელის“ ნომერი 41 ათას ლარად გაიყიდა

**სათნოების სახლის „კათარზისის“ დასახმარებლად კომპანია „ჯეოსელის“ მიერ გამოცხადებული საქველმოქმედო აუქციონი შედგა. აუქციონზე გამოტანილი ახალი ინდექსის — 855 მქონე ნომერი 55 55 55, 41 ათას ლარად გაიყიდა. ნომრის მფლობელი, კომპანია „ჯეოსელის“ ხელმძღვანელის ოსმან თურანის განცხადებით, ქართველი მცირე მეწარმე გახდა, რომელსაც ვინაობის გახმაურება არ სურს.**

**შემოსული თანხა მთლიანად სათნოების სახლის ანგარიშზე ჩაირიცხება. გარდა ამისა, „კათარზისის“ ანგარიშზევე ჩაირიცხება თანხა, რომელსაც ნომრის მფლობელი ნომრით სარგებლობისას დახარჯავს.**

◉ „ცენტრ პოინტის“ ოინები

# „რექტორი ვერ შეგხვდებათ, წვიმს და გაცივდება“, —

## უთხრეს თბილისის უნივერსიტეტში, ბაგებიდან გასასახლებელ სტუდენტებს

**„გეგმარება სივრცის, ცენტრ-პოინტმა იცისო“, — „გაირტყა“ ხმამაღალი ლოზუნგი რჩეულიშვილების სამშენებლო კომპანიამ და აგერ ახლა ისეთი „გეგმარება“ აქვს, რომ უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მეორე კორპუსის შესყიდვასა და ათასობით ხელმოკლე სტუდენტის გარეთ გამოყრას აპირებს.**

მართალია, ეს ინფორმაცია ჯერჯერობით კულუარულ ხასიათს ვერ გასცდა, მაგრამ კვამლი კარგა ხანია გაჩნდა და, ალბათ, მანამდე ცეცხლსაც გააჩაღებენ.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასა და ქვეყნის ხელისუფლებას ბაგების მეორე კორპუსიდან სტუდენტთა გამოსახლების გასამართლებლად უსუსური არგუმენტი მოჰყავს — რემონტის დაწყებას ვაპირებთო.

რაღა ამ ზამთრის პირას მოუნდა ხელისუფლებას წლობით ნაპარტახევი სტუდქალაქის გარემონტება, ვერ გეტყვით, ერთი კი ცხადია: სტუდენტებს ამ არგუმენტისა არ სწამთ.

სტუდქალაქის მკვიდრმა უნივერსიტეტელებმა თსუ-ს რექტორს თავიანთი საცხოვრებელი კორპუსის „ცენტრ-პოინტისთვის“ შესყიდვის ნამდვილობის შესახებ ამ ხმების გავარდნისთანავე ჰკითხეს.

რუსუდან ლორთქიფანიძეს მაშინ სტუდენტებისთვის უთქვამს: სტუდქალაქს ნამდვილად რჩეულიშვილებზე ვყიდითო.

ხოლო სტუდენტების შეკითხვაზე, ჩვენ საით წავიდეთო, რექტორს ერთობ ცინიკური პასუხი გაუცია:

— რა გინდათ იმ სოფელში (ბაგებში), ბინები რუსთაველზე იქირავეთო.

რექტორისაგან შეურაცხყოფილმა სტუდენტებმა დახმარებისთვის უნივერსიტეტის ალტერნატიულ აკადემიურ საბჭოსა და ბატონ გურამ შარაძეს მიმართეს.

როგორც შარაძემ გვითხრა, იგი ამის შესახებ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსს კახა კორძაიას დაეკითხა, რომელსაც ბაგების „ცენტრ-პოინტისთვის“ შესყიდვა გურამ შარაძისთვის კი დაუდასტურებია, მაგრამ იმავე დღეს ტელევიზიით იგივე ხელაღებით უარყო.

მოკლედ, ასეა თუ ისე, ყველა დარწმუნებულია, რომ სტუდქალაქის მეორე კორპუსი რჩეულიშვილების „ნება“ გახდა და სტუდენტებმა, რომლებსაც გარეთ დარჩენის რეალური საფრთხე ემუქრებათ, 11 ნოემბერს გასაყიდად შეთვალიერებული კორპუსის წინ საპროტესტო აქცია გამართეს.

სტუდენტებმა რ. ლორთქიფანიძისთვის მიწერილი ის წერილი გაახმოვანეს, რომელშიც ისინი რექტორს აქციის გა-



მართვის შესახებ ატყობინებდნენ და სთხოვდნენ ან თვითონ შეხვედროდა სტუდენტებს, ან თავისი ადმინისტრაციიდან ვინმე გამოეგზავნა.

რექტორისთვის ამ წერილის პირადად გადაცემა სტუდენტებმა ვერ მოახერხეს. მათ ლორთქიფანიძის მოადგილე და მრჩეველი გია ძნელაძე შეხვედრია, რომელსაც სტუდენტებისთვის უთქვამს:

— რექტორი ვერ შეგხვდებათ, წვიმს და გაცივდება. წარმომადგენლები კი იქ ვერ მივალთ. ათასი უწმინდური იქნება, კითხვებს დაგვაყრიან და ვერ ვუპასუხებთო.

მიუხედავად ამგვარი ცინიკური პასუხებისა, სტუდენტები აქციაზე რექტორის ან მისი რომელიმე წარმომადგენლის გამოჩენას მაინც ელოდნენ, თუმცა ამაოდ, თსუ-ს მმართველობიდან იქ ფეხი არავის მიუდგამს.

სამაგიეროდ სტუდენტებს წერილი გამოუგზავნეს, სადაც მათ არწმუნებენ, რომ სტუდქალაქის მეორე კორპუსი არ გაიყიდება, წერილს ხელს თსუ-ს ადმინისტრაციის უფროსი კახა კორძაია აწერს.

თუმცა სტუდენტებს ამ წერილისა არ სჯერათ და ფარატინა ქაღალდს უწოდებენ.

აქციაზე შეკრებილმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ისინი ამ წერილს ბოლომდე კონტროლს გაუწევენ და აქციებს გააგრძელებენ.

აღსანიშნავია, რომ სტუდქალაქის საერთო საცხოვრებლის სხვადასხვა კორპუსებში, სტუდენტების გარდა, აფხაზეთიდან დევნილები და სოციალურად გაჭირვებული ადამიანები ცხოვრობენ.

ისინი თვლიან, რომ მეორე კორპუსიდან სტუდენტების გასახლების შემდეგ, სხვა კორპუსებსაც მისდგებიან და უამრავ ხელმოკლე ადამიანს ღია ცის ქვეშ დატოვებენ.

„ცენტრ პოინტს“ ხომ სტუდქალაქის ქართულ ჰოლივუდად გადაქცევა აქვს განზრახული.

ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობენ...

**ჯაბა ხუბუა**

◉ რეპლიკა

# მაინც როგორ, უფალო პარლამენტარო?!

## პასუხად ბატონ კოტე გაბაშვილს თავისი საგაზეთო ინტერვიუს გამო

**ბრძანებთ, უმუშევარმა კაცმა საკუთარ თავს თვითონ უნდა მიხედოსო. ჰაი, ჰაი, რომ მართლაც და... ღმერთს რატომ სცოდავთ, ნუთუ ერთხელ მაინც, თუნდაც ცალი თვალით არ ჩაგიხედავთ ქვეყნის ეკონომიკაში, თქვენს თანამემამულეთა ცხოვრებას, ამ გაუსაძლის გაჭირვებას წამით მაინც არ შეუწუხებიხართ?**

მეტყვით, ტყუილია, ასე არ არისო? — მაშინ რატომ გაექცა საკუთარ მთავრობას მილიონზე მეტი ქართველი და რატომ გახდა სხვათა ყმა-მსახური? ბატონო კოტე, თქვენ ხომ გერმანიაში ელჩად მსახურობდით, არა მგონია, მათ მწარე ბედზე არაფერი გსმენოდეთ. როგორც ჩანს, მაშინაც და ახლაც ვარდისფერი სათვალით დაჰყურებთ საკუთარ ქვეყანას, თორემ ასე არ ილაპარაკებდით.

ხომ იცით უფალო გაბაშვილო, რომ რუსთავი თავიდანვე მუშათა ქალაქად ჩამოყალიბდა, რომ ქვეყნის ეკონომიკის განსამტკიცებლად აქ 35 მსხვილი და წვრილი საწარმო ფუნქციონირებდა? მათგან დღეს მხოლოდ ერთი მუშაობს. 170-ათასიანი ქალაქი სწორედ ჩვენმა ხელისუფლებამ დასცა ბეჭებზე.

ჯერ იყო და, რამდენიმე ათას მუშას, „ქიმიურ ბოჭკოში“ რომ იყვნენ დასაქმებული და სახელმწიფო ყულაბაში ყოველწლიურად 100 მილიონი (დიახ, 100 მილიონი მანდელი მანეთი) შეჰქონდათ, ცხვირწინ ააწაპნეთ, დაუნგრიეთ და პირწმინდად გაუნადგურეთ ქიმიკოსთა ეს დიდი სამჭედლო. ეს ოთხი ათასი ქიმიკოსი, უმეტესობა ქალები, სამშობლოს გულმხურვალე მსახური იყო და ოთხი ათასი თქვენეული ნამცხვრის მცხობელი, თქვენეული ბიზნესით, ქვეყანას ისე ნამდვილად ვერ წაადგებოდა.

აგერ შარშან კი აქტიურად დაიწყეთ და წელს უკვე რაღაც სასწაული „ფინტებით“ გაასაჩუქრეთ რუსთავის მეტალურგიული კომბინატი. იმ თანხით, რომელიც დღემდე უცნობმა ინვესტორმა „უკონკურენტო“ აუქციონზე გადაიხადა, ქარხნის სამმართველოს შენობასაც ვერ იყიდი.

ამბობთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკას“ ყოველდღე კითხულობთ, მაგრამ იმით, რაც იქ მეტალურგთა გასაჭირსა და ტრაგედიაზე იწერება, ერთხელ მაინც არ დაინტერესდით? რა უბედურება დააწიეს მას ჩვენმა უცხოური განათლებითა და ცოდნით ნასაზრდოებმა ეკონომიკის მამებმა, როგორ ამოუძირკვეს უკანასკნელი იმედი ქართველ მეტალურგებს, იცით ან გაინტერესებთ კი?

ნუთუ ნგრევას, საკუთარი ხალხის დამცირება-შეურაცხყოფას, საკუთარი მაცოცხლებელი ტოტების ჭრას ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლისგან ვერ არჩევენ? მეტალურგობა მქსოველობა და მრთველობა ხომ არ არის?! ამ პროფესიას თავის დროზე წლობით ეუფლებოდნენ ქართველი ჭაბუკები რუსეთსა და უკრაინაში.

რუსთავის დიდი წარსულით ყოველთვის ინტერესდებოდნენ ჩვენი კორიფეები და თუ თქვენც ოდესმე მსგავსი ინტერესი გამოგიჩენიათ, იტყოდით, რომ რუსთავი XX




საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია და არა, როგორც თქვენ ბრძანეთ...

ჰოდა, გელოდებით, ურჩიეთ უმუშევრად დარჩენილ 8 ათას მეტალურგს, მათი ოჯახის წევრებს, უპერსპექტივოდ დატოვებულ უიმედო რუსთაველ ახალგაზრდებს, რა ბიზნესს მოჰკიდონ ხელი: დახლიდრებად და მეკურტნეებად ხომ ისედაც გარეკა ისინი ხელისუფლებამ!

კარგი, ვთქვათ, რუსთავი გამოგრჩათ. ინდუსტრიული ცენტრის სტატუსში მას უწინ ქუთაისი ეცილებოდა. ახლა რა დღეშია ქუთაისი, მისი სამრეწველო საწარმოები? რაღა ქუთაისი, აგერ გარდაბანში მუყაო-რუბეროიდის უნიკალური ქარხანა რომ იყო, იშვიათ სამშენებლო მასალას, რბილ სახურავებს რომ უშვებდა და ამ პროდუქციის შესაძენად შუა აზიის რესპუბლიკებიდან რიგებში რომ იდგნენ (ახლო მეზობლებზე აღარ ვლაპარაკობ), დღეს ის ნანგრევებადაა ქცეული. არადა, როგორ სჭირდება ჩვენი ქალაქების სახლებს, სკოლებს, საავადმყოფოებს ეს სახურავები!

თუ იცით, ბატონო კოტე, ერთი ბიდონი (20-ლიტრიანი) დიზელის საწვავი 35 ლარი რომ ღირს და იმას თუ ხვდებით, რამდენი ლარის დიზელის საწვავი სჭირდება გლეხს ერთი ჰექტარი მიწის მოსახნავად?

რომელი ერთი ვთქვა, რომელი ერთი დავწერო ან რა აზრი აქვს...

ხალხი ხომ თქვენ მხოლოდ წინასაარჩევნოდ გახსენდებათ. ხალხის რჩეულნი კი პარლამენტში, ხელისუფლებაში რომ მოხვდებით, მაშინვე ისეთ სათვალეებს ირგებთ, ყველაფერს, თვით ყველაზე რუხ და ბაც ფერსაც კი ავარდისფერებს.

ამიტომაც არა აქვს აზრი მეტის თქმასა და წერას.

**გივი ჯახუა,**
**მწერალი.**
**რუსთავი.**

◉ ინფორმაცია

### „იურისტთა ასოციაცია“ „თბილგაზს“ კანონმდებლობის დარღვევაში ადანაშაულებს

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სააქციო საზოგადოება „თბილგაზში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საგანგებო განცხადებას ავრცელებს.**

**ასოციაციის ხელმძღვანელის ანა დოლიძის მიერ დღეს გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჯარო სამსახურსა და საჯარო მნიშვნელობის მქონე კერძო სტრუქტურებში თანამშრომელთა შერჩევის საკითხი კვლავ პერსონიფიცირებულია.**

### ნაღდი ფული 70,4 მლნ ლარით გაიზარდა

**საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის 9 თვეში მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 70,4 მლნ ლარით გაიზარდა.**

**როგორც ეროვნულ ბანკში აცხადებენ, ნაღდი ფულის მაჩვენებელმა 10,4 პროცენტით მოიმატა და სექტემბრის ბოლოს 746,5 მლნ ლარი შეადგინა. „მნიშვნელოვანი ზრდა თებერვლის, აპრილისა და ივლისის თვეებში აღინიშნება. თებერვალსა და ივლისში მიმოქცევაში არსებული ფულის ზრდა ბევრად აღემატება სარეზერვო ფულის მატებას“, — აღნიშნავენ ეროვნულ ბანკში.**

**ამასთან, მიმდინარე წლის 9 თვეში 11,6 პროცენტით გაიზარდა სარეზერვო ფულის მაჩვენებელი.**

**ინტერპრესნიუსი**

◉ პუბლიცისტური ნამცვრევები

# გავემიჯნოთ ტყუილსა და გამჩვენეობას!

**ტყუილითა და თვალთმაქცობით ფონს გასვლა, მით უფრო თავის მოწონება, ერთ-ერთი უდიდესი ადამიანური ცოდვაა. ჩვენი პოლიტიკოსები სიცრუის ცოდვას არად**



**დაგიდევენ და საქვეყნოდ, ზოგჯერ, ისეთ ციფრებს და ფაქტებს ჩაგჩრიან თვალებში (ყურებშიც!), სიმწრის ოფლი დაგასხამს.**

ბოლო ხანს „ვარდების რევოლუციის“ ხელისუფლება სრულიად სამართლიანად იწონებს თავს გზების მშენებლობით. ჩვენც არაერთი საქებარი სიტყვა (ფოტოილუსტრაციებით) მიგვიძღვნია ამ მოვლენისადმი. დიახ, გინდ გრანტით, გინდ საკუთარი მწირი თანხებით საგზაო მშენებლობის საყოველთაო კამპანიის დაწყება ნამდვილი მოვლენაა და ვინც ამას ვერ დაინახავს, ბრმაც არის და ყრუც. მაგრამ, არანაკლებ სიბრმავესთან გვაქვს საქმე, როცა ქვეყნის პრეზიდენტი აცხადებს: დღეს საქართველოში, მარტო გზების მშენებლობებზე, დასაქმებულია ასეულ ათასობით კაცი!.. (ზუსტად ასე თქვა: ასეულ ათასობით კაცი!).

ჩვენს ახალგაზრდა პრეზიდენტს ასეთ გაბერილ, უსაშველოდ გაბერილ ციფრს არავინ მიაწვდიდა. საგზაო დეპარტამენტის ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა, როცა ამ ციფრით დავინტერესდი, თავაზიანად მითხრა: მთელ საქართველოში, გზათა შეკეთების სეზონურ სამუშაოზე მაქსიმუმ 500-600 კაცი (რიგითი მუშები და მძღოლები) იქნება დასაქმებულიო!

ერთი ამდენი რომ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც დავუმატოთ, სულ 1000-1200 კაცი გამოვა.

ეტყობა, ჩვენს პრეზიდენტს ათასი (ერთი ათასი!) კაცი უნდოდა ეთქვა და... მოულოდნელად წამოცდა: ასეულ ათასობით კაცი.

ასეა, როცა დაუფიქრებლად, გაუანალიზებლად ლაპარაკობ, უფრო უარესიც წამოგცდება.

მაგალითად ასეთი:

შევარდნაძის ეპოქაში, 15 წელიწადზე მეტია, თბილისში ერთი ქუჩაც არ შეკეთებულა!

ვინ მოგახსენათ?

2000 წელს, როცა ბატონი პრეზიდენტი მისი დამკვალიანებელი და დიდ გზაზე „შემგდები“ ედუარდ შევარდნაძის ლამის მარჯვენა ხელი იყო, თბილისში მსოფლიო ბანკის და ქალაქის ბიუჯეტის სახსრებით გაკეთდა ნუცუბიძის, ბელიაშვილის ქუჩები, გლდანის დამაკავშირებელი მარცხენა სანაპიროს ხუთკილომეტრიანი მონაკვეთი, აგრეთვე, ისნისა და ჩუღურეთის რაიონში კაპიტალურად გარემონტდა 20-მდე ქუჩა, თვით აეროპორტის ტრასაც კი.

გავიდა 3-4 წელიწადი და ეს ქუჩები (განსაკუთრებით ბელიაშვილის ქუჩა) თავიდან გასაკეთებელი გახდა. გასაგებია, რატომაც, — სამშენებლო მასალის უხარისხობა, დაბალი პროფესიონალიზმი, კორუფცია.

დარწმუნებული ვარ, მომდევნო 4-5 წლის შემდეგაც იგივე განმეორდება, თუმცაღა გვარწმუნებენ: გზებს ახალი მეთოდით ვაგებთ და ხარისხის ხარჯზე გამდიდრებას ვერავინ გაბედავსო.

ვნახოთ!

აქ სხვა მომენტია მთავარი: პოლიტიკოსთა თაობა, რომელიც ყველაფერში პირველობას იჩემებს და მარტოოდენ ძველის ლანძღვა-გინებით ცდილობს „გამსვლელი ქულების“ ჩაწერას, შორს ვერ წავა.

**თაობათა მემკვიდრეობითობის შენარჩუნება, გაკეთებულისა და გასაკეთებლის მართალი, სწორი ანალიზი უთუოდ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ საბოლოოდ გავემიჯნოთ გამჩვენეობასა (სხვის საჩვენებლად, მოსაწონებლად გამოსვლა, მოქცევა) და შაბლონს, სიცრუესა და თვალთმაქცობას... თორემ, ხომ კარგად ვხედავთ, „ვარდების რევოლუციის“ ორ წლისთავზე, თვით „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიის“ ინტერაქტიული მონაცემებით, ჩვენი საზოგადოების 67 პროცენტი ერთობ უკმაყოფილოა მთავრობის მოღვაწეობით.**

ხელისუფალთა უმრავლესობა, მართალია, გაზეთს არ კითხულობს (თავად ამბობენ ამას), მაგრამ ტელევიზიას ხომ უყურებს?

# გაზეთი სულ სხვაა

**განვაგრძოთ ტყუილების თემა. ბავშვივით გახარებულმა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა პარლამენტის სხდომაზე გამოსვლის შემდეგ დამაჯერებლად განაცხადა: ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც პოლიციის დღე გულწრფელად მოგვილოცეს, ტაშით დაგვაჯილდოეს და... პარლამენტი, ხალხი ამაყობს თავისი პოლიციით, ჩვენი პოლიციელების სასახელო საქმეებით...**

ამ წინადადებაში თავდაჯერებულობის, უსაგნო ბაქი-ბუქის, ახლო წარსულის უპატივცემლობის იმხელა დოზაა, ნამუსიან კაცს კიდევ ერთხელ დაგასხამს სიმწრის ოფლი...

ჯერ ერთი, პოლიციის დღე 10 ნოემბერი, საბჭოური მილიციის დღე იყო და... შარშან მისი ხსენებაც არ გინდოდათ.

ტაშით, საჩუქრებით, წოდებების (ჩინის) მომატებით და რიყეზე „ფულის ამკრეფ-გამყოფი დილის პარადებით“, აბა, იმ წლებს ჩვენი ჩვილი საპატრულო პოლიცია როგორ შეედრება.

ხომ გახსოვთ (თუ არ გახსოვთ, წაგიკითხავთ მაინც!), მაშინ პოლიციას მათხოვრული ხელფასი ჰქონდა.

პატრულს სხვა გვიფინანსებს.

დღეს, რიგითი პატრულის მინიმალური ხელფასი 480 ლარია!

ერთი ყოფილი გუბერნატორი, პარლამენტარი, საქართველოს მეორე ქალაქის — ქუთაისის მერი თეიმურაზ შაშიაშვილი, ჯერ კიდევ 1995 წელს, თანამოაზრეებთან ერთად, პარლამენტს ეაჯებოდა: პოლიციაში რეფორმა დავიწყოთ, კადრები შევამციროთ (მინიმუმ 35 000 კაცი იყო), ხელფასები გავზარდოთ, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა ავამაღლოთო!

მაშინდელმა პრეზიდენტმა და პარლამენტმა, ხეირიანად, ყურიც არ ათხოვეს ამ ისედაც დაგვიანებულ სამართლიან მოთხოვნებს: ბიუჯეტს ფული არა აქვსო, უცხოეთი ცოტას გვეხმარებაო (!), სოროსი, ჯერჯერობით, ფეხს ითრევსო, — იყო მიზეზის დასახელება.

ამის მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მოყოლებული (მანამდეც!) პოლიციაში იყო და არის ჭეშმარიტ პროფესიონალთა, რაინდთა, თავდადებულთა მთელი ლაშქარი და არა მხოლოდ კორუმპირებულთა და წყალწაღებულთა, — როგორც თქვენ მიგაჩნიათ.

ხალხისგან პოლიციისადმი მადლიერების გამოხატვაზე თუ გსურს საუბარი, ყოვლად წარმოუდგენელია 1989 წლის 9 აპრილის კოშმარული ღამე არ გავიხსენოთ, როდესაც ჩვენმა პოლიციამ სახელდახელო კორდონი გაუხსნა მომიტინგეებს და როდიონოვის ქართველთჭამია სპეცნაზელების ნიჩბები ათასობით მშვიდობიან თბილისელს ააცდინა. დღეს ბავშვმაც კი იცის, რომ 9 აპრილის ტრაგედიას ბევრად უფრო დიდი მსხვერპლი და ტკივილი მოჰყვებოდა, რომ არა ჩვენი პოლიცია.

ბატონო ვანო, როცა მიღწევებსა და მადლიერებაზე ლაპარაკობთ, ამ ფაქტით უნდა დაიწყოთ და ქართული პოლიციის უახლესი ისტორია დღევანდელობას დაუკავშიროთ. ეს ელემენტარული ზნეობისა და თაობათა შორის მემკვიდრეობითობის შენარჩუნების უცილობელი პირობაა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკური და კრიმინალური „დანაშაულის გახსნის გამოცდილებას“ ვერასოდეს შეიძენთ.

და კიდევ ერთი: რაც არ უნდა გვიკიჟინოს ჩვენმა ფილოლოგმა კოლეგამ და მეგობარმა კოტე გაბაშვილმა, — თქვენ უარყოფით ფაქტებზე წერას იმიტომ მოუმატეთ, რომ მეტი გაზეთი გაასაღოთო, — ნუ დაუჯერებთ. სწორედ ჩვენი ჯანსაღი, გაწონასწორებული, სანდო კრიტიკით გაცილებით უფრო გიდგავართ მხარში, ვინემ სატელევიზიო „ვიდეო-პატრულის“ ხშირად გაუგებარი სიუჟეტები.

გაზეთი მაინც სულ სხვაა.

**სპარტაკ ქობულია**

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

◎ ვითარება

# თავისუფლად ლოცვა მარტო ჩვენთვის იკრძალება?



**ხელთ** გვაქვს განცხადება, რომელსაც ხელს აწერს აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვისა და გამოყენების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე თ. ქერმილი (06.09.2005 წ.): **„მრავალი საუკუნის განმავლობაში აზერბაიჯანისთვის დამახასიათებელი ფსიქოლოგიური სტატუსი და აზერბაიჯანელი ხალხის გენეტიკური მეხსიერება სხვა ეთნოსებისა და ეროვნულ უმცირესობათა კულტურის პატივისცემის პირობებში ჩამოყალიბდა. ეს ყველაფერი თანამედროვე აზერბაიჯანის კონსტიტუციასა და შესაბამის კანონებში განმტკიცებული ეროვნული პოლიტიკით გამოიხატება, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა მოქალაქის თანასწორუფლებიანობას განურჩევლად ეთნიკური, რელიგიური და რასობრივი განსხვავებისა“...**

ეს დოკუმენტი დემოკრატიულობის, ეროვნულ ემცირესობათა ინტერესების დაცვის უდავოდ კარგი ნიმუშია. სამწუხაროდ ყველა იქაური მოხელე როდი მოქმედებს ამ გზამკვლევის შესაბამისად, რაც განსაკუთრებით მტკივნეულია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველებისათვის. ეს ყველაზე უფრო კულტურის ფრონტზეა ხელშესახები.

როგორც ცნობილია, ისტორიული ჰერეთის მნიშვნელოვანი ნაწილი — საინგილო დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, ამ რესპუბლიკის შემადგენლობაშია. კახში ქრისტიანი, ზაქათალის და ბელაქნის რაიონებში კი მაჰმადიანი ქართველები ცხოვრობენ. სამივეგან არის ქართული სკოლები. ამ ტერიტორიაზე შემორჩენილია ქართული კულტურის ძეგლები, რომელთაც ღრმად აქვთ ფესვები გადგმული ჩვენი ქვეყნის წარსულში. რატომღაც ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი, სრულიად უსაფუძვლოდ, მათ ალბანურ კულტურის ძეგლებს უწოდებს.

ავილოთ ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც უკვე XIII საუკუნის 30-იან წლებიდან გიშელქერმუხის საეპისკოპოსო კათედრალი იყო. ისტორიული წყაროებით გიშელის ეპარქია დაარსებულია V საუკუნის ბოლოს ვახტანგ გორგასლის მიერ. იგი ქართლის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა. გიშის ეპისკოპოსი ეზრა 506 წელს 24 ქართველ ეპისკოპოსს შორის მონაწილეობდა დვინის საეკლესიო კრებაში. გიშელ მღვდელთმთავარს საქართველოს საეკლესიო იერარქიაში 35-ე ადგილი ეკავა. მონღოლთა შემოსევის დროს, XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, საეპისკოპოსო კათედრა გიშიდან სოფელ კაკში, ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადაუტანიათ. აქედან მოყოლებული, ისტორიულ საბუთებში ეპისკოპოსს ხან გიშელ-ქურმუხელი ეწოდებოდა, ხანაც ქურმუხელ-გიშელი. შაჰ-აბასის შემოსევებისა და ლეკთა თარეშისაგან დაცლილმა და აოხრებულმა ეპარქიამ არსებობა XVIII საუკუნის I ნახევარში შეწყვიტა. მეფე ერეკლე მეორემ, დიდი სურვილის მიუხედავად, გიშის ეპარქია თავის საზღვრებში აღედგინა, ვერ მოახერხა.

ადგილობრივი ქართველები ყოველთვის ლოცულობდნენ ქურმუხის ეკლესიაში გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე. დღესაც ჩვენებურებისთვის, ეს ტაძარი არის წარსულთან დამაკავშირებელი ბურჯი და მომავლის იმედი. დღეს უმოქმედოა ეკლესია. ინგილოებს უფლება არ აქვთ, თავისუფლად აღავლინონ იქ წირვა-ლოცვა, გარდა გიორგობის დღესასწაულისა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივმა ქართველებმა 1200 ხელმოწერით მიმართვა გაუგზავნეს აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და კულტურის მინისტრ ფოლად ბულბულოღლის. ისინი ითხოვდნენ ქურმუხისა და ალავერდის ეკლესიებში წირვა-ლოცვის სისტემატურად ჩატარების უფლების აღდგენას, რაც მათი კონსტიტუციური უფლებაცაა. მოთხოვნა განიხილეს კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის განყოფილებაში. გთავაზობთ ამონარიდს ამ პასუხიდან: **„ზემოთ ხსენებული ტერიტორია და ტაძარი უძველესი დროიდან დღემდე ადგილობრივი და მეზობელი რაიონების მოსახლეობის მხრიდან, განურჩევლად ეთნიკური და რელიგიური კუთვნილებისა, ფირისა და წმინდა კერის მნიშვნელობით გამოიყენება. ქვის წინ მთელი ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სანთლების დანთება, ნატვრის ხეზე ნაჭრების შებმა, ქვის ზედაპირზე IV საუკუნეში აშენებული ალბანური ტაძრის დღემდე შემორჩენილი ნანგრევები, XIX საუკუნეში აშენებული ქურმუხის ტაძრის ქვეშ მოქცეული ალბანური ტაძრის საძირკველი ამ ტერიტორიის სიწმინდეს კიდევ ერთხელ ადასტურებს. ჩვენი წარმომადგენლების გამოკვლევისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაირკვა, რომ ეკლესია ყოფილი ალბანური ტაძრის ნანგრევებზეა აშენებული.“**

ასეთია, მათი აზრი, უძველესი ქართული წყაროები კი ძეგლების უტყუარ ქართულობას ადასტურებს. ინგილოები ასეთ უკადრის ფაქტსაც იხსენებენ: **გასული საუკუნის 90-იან წლებში, აზერბაიჯანის უშიშროების თანამშრომლებმა ტაძრიდან ამოიღეს ქართულწარწერებიანი ქვა, რომელიც შემდეგ უგზოუკვლოდ დაიკარგა.** მავანნი ამასაც არ დასჯერდნენ და ქურმუხის ტაძრიდან სატრაპეზო მაგიდაც გამოიტანეს. ჩვენდა სამწუხაროდ, დაკარგული ქვის ფოტო არ გაგვაჩნია, რაც ჩვენს პრეტენზიას საფუძველს აცლის.

ადგილობრივი ქართველობა არ ჩერდება. მათ კვლავ გაუგზავნეს მიმართვა აზერბაიჯანის ოფიციალურ პირებს და უწყებებს. მოითხოვენ, საშუალება მიეცეთ, აღასრულონ აზერბაიჯანის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ.

**იმედია, აზერბაიჯანის ხელისუფლება ამ დავას სამართლიანად გადაწყვეტს. მით უმეტეს, რომ ჩვენი ქვეყნის მეგობრები არიან. ასეთი საკითხები ყველგან მოიხსნა და მარტო ჩვენ გვეკრძალება ლოცვა?**

**ზურაბ მოდებაძე**

◎ ინფორმაცია

## რუსმა საზღვარი გადმოკვეთა....

**საქართველო-აზერბაიჯანის** საზღვარზე სახელმწიფო საზღვრის დარღვევის ბრალდებით მესაზღვრეებმა რუსეთის მოქალაქე დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის პრესსამსახურში განუცხადეს, რუსეთის მოქალაქე საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას აზერბაიჯანის მიმართულებით ვიზის გარეშე ცდილობდა. აღნიშნული პირი საქართველოს ტერიტორიაზე როკის გვირაბის გავლით, უვიზოდ შემოვიდა.

დაკავების ოპერაცია რეგიონული სამმართველო „ლაგოდეხის“ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება „ცოდნისკარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, სასაზღვრო-საპასპორტო კონტროლის გავლის დროს განხორციელდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

## ბიზნესმენს მიხეილ ქარელის მძღოლმა სცემა!

**„მემარჯვენე ოპოზიციის“** გორის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მამუკა ფანიაშვილის ინფორმაციით, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის შიდა ქართლში მიხეილ ქარელის მძღოლმა და მისმა მეგობრებმა გორში ერთ-ერთ ბიზნესმენს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მემარჯვენეებში განუცხადეს, ზუსტად ქარელის დავალებით, მისმა მძღოლმა და მძღოლის მეგობრებმა ფიზიკური შეურაცხყოფა გივი ჯამელაშვილს მაშინ მიაყენეს, როდესაც ჯამელაშვილმა გააპროტესტა ხილის გადამამუშავებელი საწარმოსთვის ბუნებრივი აირის გათიშვა, რითაც საწარმომ 300 ათასი ლარის ზარალი მიიღო.

გივი ჯამელაშვილს გორში გახსნილი აქვს ხილის გადამამუშავებელი მცირე საწარმო, რომელშიც განხორციელებული აქვს 500 ათასი ლარის ინვესტიცია და დასაქმებული ჰყავს 60-მდე ადგილობრივი მოსახლე, რომელთა საშუალო ხელფასი 250 ლარია.

## ზუგდიდელები არ ცხრებიან

**ზუგდიდის** რაიონის გამგეობის შენობის წინ გუშინ დაახლოებით 100 ადამიანი საპროტესტო აქციას მართავდა.

საპროტესტო აქციებს ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეები აწყობენ. ისინი ბაზრის ცენტრალური შესასვლელის აღდგენას მოითხოვენ, რომელიც ზუგდიდის რაიონის გამგეობის განკარგულების თანახმად შარშან გაუქმდა.

ადგილობრივი ხელისუფლება მომხდართან დაკავშირებით, კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ცენტრალური ბაზრის მოვაჭრეებმა დილიდან დაწყებული საპროტესტო აქცია ბაზრიდან გამგეობის შენობის წინ გადაიტანეს. აქციის მონაწილეებს აქვთ ტრანსფარანტები - „ნუ ღალატობთ ხალხს“.

**ინტერპრესნიუსი**

◎ მიწისძვრა ჩვენს სულებში

# ურჩ მშენებელს [illegible] და [illegible] კანონი ფეხებზე ჰკიდია

**რედაქციაში აღშფოთებული მოქალაქე, მირიან გედენიძე გვეწვია, რომელიც პროფესიით არქიტექტორი გახლავთ და პირად გასაჭირთან ერთად თბილისის უკანონო მშენებლობების მექად გადაქცევაც ძალიან ადარდებს.**

იგი ერთობ საინტერესო ისტორიას მოგვიყვა და ერთი მშენებლობის საქმეში მთელ რიგ უხეშ კანონდარღვევებზე მიგვითითა.

მირიან გედენიძე თბილისში, მელიქიშვილის ქუჩის 21 ნომერში, კერძო ორსართულიან სახლში ცხოვრობს. მეორე სართული მისია, პირველი — სხვისი.

როგორც იგი ამბობს, სახლის პირველი სართული წლებია იყიდება, მაგრამ პატრონმა იგი ვერ გაყიდა.

რამდენიმე ხნის წინათ კი სახლის პირველ სართულს მყიდველი გამოუჩნდა, რომელიც მირიან გედენიძესთან მისულა და სართულის ყიდვის ნებართვა უთხოვია.

გედენიძე ამბობს, რომ, მას, როგორც სახლის ერთ-ერთ მეპატრონეს, სამოქალაქო კოდექსი უფლებას აძლევს წინ აღუდგეს სახლის ნაწილის გაყიდვას, თუ მყიდველი მას საცხოვრებლად არ იძენს, არამედ სახლის სხვა ობიექტად გადაკეთება აქვს განზრახული და თუ ამ გადაკეთებისას სახლს ტექნიკური საფრთხე ემუქრება.

მყიდველს, დიმიტრი ხოშტარიას, მირიან გედენიძე დაურწმუნებია, სართულს არ გადავაკეთებ, საცხოვრებლად უნდა გადმოვიდეო. გედენიძეც მყიდველს სიტყვაზე ენდო და დადებული პირობის ნოტარიულად დამოწმება აღარ მოუთხოვია.



აღსანიშნავია, რომ ხოშტარია მირიან გედენიძესთან მაკლერის თანხლებით მისულა, ხოლო როგორც გედენიძეს შემდგომში გაურკვევია, სახლის მყიდველი თავად ხოშტარია კი არა, სწორედ მისი თანხმლები მაკლერი ყოფილა.

ამირან გედენიძემ დაადგინა მაკლერის ვინაობაც, იგი ვინმე გიორგი ქოჩაკიძე გამოდგა, რომელიც უძრავი ქონების სააგენტო „ანკერის“ თანამშრომელია.

გედენიძე თავად ამ სააგენტოს საქმიანობასაც ჩაეძია და როგორც გაურკვევია, „ანკერი“ სწორედ უკვე აშენებულ სახლებში ფართების „დათრევაზე“ ნადირობს.

საბოლოოდ სახლის პირველი სართული დიმიტრი ხოშტარიამ შეიძინა და მირიან გედენიძეც ახალი მეზობლის გადმოსახლებას დღე-დღეზე ელოდებოდა.

თუმცა ერთი წელი მიილია და ხოშტარია ახალ ბინაში გადმოსვლას არ ჩქარობდა.

ერთი წლის თავზე კი მას ახალშესყიდულ სახლში სამშენებლო მასალების მოზიდვა დაუწყია.

თუმცა, როგორც გედენიძე აცხადებს ხოშტარიას მიერ მომარაგებული მასალები სრულიად შეუსაბამო ყოფილა იმ სარემონტო სამუშაოებისა, რაც სახლის პირველ სართულზე იყო შესასრულებელი.

პროფესიით არქიტექტორ გედენიძეს ამ ყველაფერმა ეჭვი აღუძრა, ახალი მეზობელი სახლის სხვა რაღაცად გადაკეთებას არ აპირებდესო და ამის გასარკვევად ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტს ეწვია.

გედენიძეს ეჭვი გაუმართლდა და დეპარტამენტში გაარკვია, რომ დიმიტრი ხოშტარიას დამტკიცებული ჰქონია სამშენებლო მექანიკის ზავრიევის სახელობის ინსტიტუტში დამუშავებული პროექტი, რომლის საფუძველზეც იგი საცხოვრებელ ბინას სამაღაზიო ან საოფისე ფართად გადააკეთებდა.

გედენიძის საცხოვრებელი სახლის პირველ სართულს ორი ფანჯარა აქვს. ხოშტარიას პროექტი სწორედ ამ ფანჯრიდან ერთის კარად გადაკეთებასა და მეორეს ვიტრინად გაფართოებას ითვალისწინებს.

სწორედ ამ გადაკეთება-გადმოკეთების წინააღმდეგ მიდის მირიან გედენიძე, რისი მიზეზიც მარტივია: სახლი, რომელშიც იგი ცხოვრობს, მიწისძვრისგანაა შერყეული. ჭერი და კედლები გაბზარულია, იგი სპეციალურ ნუსხაშია შეტანილი და სახლზე ყოველგვარი ზემოქმედება აკრძალულია.

მიუხედავად ამისა, ხოშტარიამ კანონით დადგენილი ეს აკრძალვა ყურად არ იღო და სახლის პირველი სართულისთვის დამანგრეველი დარტყმების მიყენება თვითნებურად დაიწყო.

ხოშტარია იქ მუშების ბრიგადასთან ერთად მისულა და მიწისძვრისგან ისედაც გაბზარული კედლის უროთი და ძალაყინით მტვრევა დაუწყია.

მირიან გედენიძემ ხოშტარიას ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტიდან წამოღებული აკრძალვის ცნობა აჩვენა, რომელიც არქიტექტურის დეპარტამენტთან შეუთანხმებლად ხოშტარიას მშენებლობის დაწყების უფლებას არ აძლევდა. ქალაქის მთავარ არქიტექტორს საკითხის საბოლოოდ გასარკვევად ხოშტარია დეპარტამენტში დაუბარებია.

ხოშტარიამ გედენიძეს წერილი კი გამოართვა, მაგრა მაშინვე ქუჩაში მოისროლა, რუსული სკოლა მაქვს დამთავრებული და ქართულად ვერ ვკითხულობო. როგორც გედენიძე ამბობს, ამ ფაქტს სხვა მეზობლებიც შესწრებიან.

ხოშტარია არქიტექტურის დეპარტამენტში არ გამოცხადდა და სპეციალურად ამ საკითხზე მოწვეულმა კოლეგიამ ხოშტარიას პროექტის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება უიმისოდ გამოიტანა.

თუმცა ხოშტარიამ აინუნში არც ეს გადაწყვეტილება ჩააგდო და სახლის პირველი სართულის მტვრევა და გადაკეთება ჯიუტად განაგრძო.

მირიან გედენიძემ ურჩი მშენებლის ასალაგმავად საპატრულო პოლიციას რამდენჯერმე უხმო, თუმცა ესეც უშედეგო გამოდგა.

პატრული მოდიოდა, ხოშტარიას ახსნა-განმარტებას აწერინებდა და უკან მიდიოდა, ხოშტარია კი თავისას აგრძელებდა.

მირიან გედენიძემ პატრულს ისიც მოსთხოვა, მისთვის ეჩვენებინათ, რა ოქმებს უდგენდნენ ხოშტარიას, მაგრამ ამაზე ცივი უარი მიიღო.

ხოშტარიამ საბოლოოდ თავისი გაიტანა და მშენებლობა დაასრულა, დაასრულა და... განსაკუთრებით საინტერესო აქ იწყება.

იგი ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტს ბუმერანგივით მიუტრიალდა და მის წინააღმდეგ დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

მირიან გედენიძემ სასამართლოს ტექნიკური დასკვნა წარუდგინა ხოშტარიასგან წარმოებული მშენებლობის დაუშვებლობის შესახებ. დასკვნას ხელს ექსპერტთა მთელი ჯგუფი აწერს.

თუმცა საკითხი სასამართლომ ჯერაც ვერ გადაწყვიტა და იგი კვლავაც ჰაერში გამოკიდებული რჩება.

მთავარი კი ის არის, რომ ხოშტარიას მიერ წარმოებულ ნგრევა-გადაკეთებების შემდეგ მირიან გედენიძის მეორე სართულზე მდებარე ბინა კიდევ უფრო დაზიანდა.

კედლები და ჭერი გაიბზარა, თუნუქის სახურავი ასძვრა, პარაპეტის კედელი კი მთლიანად გაშიშვლდა.

ამის გამო გედენიძის ოჯახს ერთი წელია აწვიმს და ათოვს და რაც მთავარია, მისმა პატრონმა არც ის იცის, ჭერი ან კედელი თავზე როდის ჩამოექცევა.

თუმცა ეს დიმიტრი ხოშტარიას სულაც არ ადარდებს და თავისის გატანას ჯიუტად ცდილობს.

როდემდე იბაირამებს თავგასული მშენებელი, ეს ისევ სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, რომელიც ყოველთვის იწელება და გაუგებარი მიზეზების გამო დღესაც გადადებულია.

**ჯაბა ხუბუა**

**ჟურნალისტური გამოძიება**




## „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ შეასრულა 2003 წლის 11 ოქტომბრის „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ დავალება და თავის წერილობით დასკვნაში აღნიშნა, რომ ხაზი მთლიანად ამორტიზებულია და მისი ექსპლუატაცია აღნიშნულ მდგომარეობაში სრულიად დაუშვებელია. იქვე იყო მითითებული იმ აუცილებელი სამუშაოების ნუსხა, რომელთა ჩატარების შემდეგ შეიძლებოდა დასმულიყო საკითხი ხაზის შემდგომ ექსპლუატაციაზე.

თუ ეს ასეა, მაშინ რა დავარქვათ იმას, რომ „აშოცკ-ნინოწმინდა“ წლების მანძილზე ჩართულია „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ელექტროქვესადგურ „ნინოწმინდაში“, ხოლო საწარმოს უცხოელი ხელმძღვანელობა ვერაფრით ვერ ხსნის, თუ რატომ არ თიშავს მისივე დასკვნით „ექსპლუატაციისათვის დაუშვებელ“ ხაზს ქვესადგურიდან? ამით ხომ აღიარებს უკანონოდ აშენებულ ხაზს და ხელს უწყობს აღურიცხავი, იმპორტული ელექტროენერგიის შემოდინებას სომხეთიდან საქართველოში, რაც დანაშაულია?

**რითი აიხსნება ყოველივე? ალბათ იმით, რომ გავლენიან „ძალას“ ხელს არ აძლევდა და დღესაც ხელს აძლევს „აშოცკ-ნინოწმინდის“ ოფიციალური „გაპატრონება“ და ეს იმიტომ, რომ ამით ხაზის ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ შემოსავალს ვერ დატოვებს სახელმწიფო აღრიცხვის მიღმა. შესაბამისად, ვერ შეძლებს სახელმწიფო ბიუჯეტისთვის განკუთვნილი თანხების მითვისებას.**

მეორეს მხრივ, ფაქტია, რომ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“, რამდენიმეწლიანი საქმიანობის შემდეგაც ვერ შეძლო ვერც-ერთი კრიტერიუმით გაემართლებინა თავისი შექმნის აუცილებლობა. ამდენად, ამ სტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი უცხოური კომპანიისთვის მართვის უფლებით გადაცემა იმისთვის დასჭირდათ, რომ მაქსიმალურად მიეჩქმალათ წლების განმავლობაში ჩადენილი კანონდარღვევები, სწორედ ეს არის ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ დღემდე ამ საკითხზე ხელისუფლებას არ უმსჯელია, ანუ ხელისუფლება ფარავდა და ფარავს აშკარა დანაშაულს.

## საქართველოს მიმართ ორგანიზებული დანაშაული გრძელდება

„აშოცკ-ნინოწმინდა“ მოქმედებს. სომხეთის ელექტროენერგია ხმარდება ახალქალაქის და ნინოწმინდის რაიონებს. მოსახლეობა 100 პროცენტით იხდის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს დადგენილი ტარიფის მიხედვით, რომელიც „სემეკის“ მიერ საქართველოს რეგიონებისთვის დამტკიცებული ტარიფის ტოლია. ეს ტარიფი კი აღემატება სომხეთის მიერ ელექტროენერგიის ექსპორტზე დაწესებულ საფასურს.

„სემეკმა“ არ მოახდინა სომხეთიდან მიღებული ელექტროენერგიის ლიცენზირება მთელი წლის განმავლობაში, შესაბამისად, მოსახლეობისგან შეგროვილ თანხას აკლდება სომხეთის წილი და სხვაობა რჩება საქართველოში. ვინ არის ამ თანხის მფლობელი? რასაკვირველია — შემგროვებელი — „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია“ (გენერალური დირექტორი — დინ უაიტი).

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 260-262.

რაც შეეხება თავად ხაზს, იგი ისევ რჩება არალეგალურ მდგომარეობაში, მოუვლელი და უპატრონო. უსაფრთხოების თვალსაზრისით მისი ექსპლუატაცია დაუშვებელია, რაც თავისთავად კანონდარღვევაა და აღსაკვეთია.

ვინაიდან მთელი წლის განმავლობაში სომხეთიდან იმპორტის განხორციელებაზე ოფიციალური ხელშეკრულება არ არსებობს („აშოცკ-ნინოწმინდასთან“ დაკავშირებით) არ არის გამორიცხული, რომ თავად სომხეთიდან ხდებოდეს აღურიცხავი ელექტროენერგიის შემოდინება. ამ შემთხვევაში კი საქმე გვექნება კარგად ორგანიზებულ საერთაშორისო დანაშაულთან, რომელშიც ჩართული არიან საქართველოს და სომხეთის ცალკეული ოფიციალური პირები.

## ნინოწმინდის რაიონის გამგებლები: რაფაელ არზუმანიანი და მელს ბდოიანი

ხაზის ექსპლუატაცია დაიწყო 2000 წლის ბოლოს.

**რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, „აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზის მეშვეობით სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს, 2000-2002 წლებში, სათვეში ედგა ნინოწმინდის რაიონის მაშინდელი გამგებელი რაფაელ არზუმანიანი, რომელმაც საკუთარი განკარგულებით შექმნა ენერგოსადისტრიბუციო კომპანია „ელექტროსვეტი“. ეს მაშინ, როცა სახელმწიფო სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ფილიალს ნინოწმინდის რაიონში უკვე ჰქონდა გახსნილი ქვედანაყოფი(?!).**

ჩვენ ვარკვევთ „ელექტროსვეტის“ შექმნის სამართლებრივ საფუძველს, მისი ოფიციალურად რეგისტრაციის კანონიერებას, მისდამი ნინოწმინდის რაიონში არსებული იმ სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულებას, რომელთა სამსახურებრივ უფლებამოსილებაშიც შედიოდა ამგვარი სააქციო საზოგადოების წარმოშობის კანონიერების შესწავლა.

„ელექტროსვეტი“ იღებდა მოხმარებული იმპორტული ელექტროდენის საფასურს. მიღებული ელექტროენერგიის ყოველი კვტ კომპანიამ შეაფასა საქართველოში იმ დროისთვის მოქმედი ენერგოტარიფის მიხედვით.

ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობა მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს იხდიდა 100 პროცენტით. შეგროვილი თანხა ნაწილდებოდა შემდეგნაირად: **იმპორტის სრული საფასური, რომელიც ყოველთვიურად ნაღდი ფულის სახით გადაეცემოდა სომხეთის მხარეს, შეადგენდა 2,5 ამერიკულ ცენტს-1 კვტ-თვის. დარჩენილი თანხა რჩებოდა საქართველოში და მისი მფლობელი იყო „ელექტროსვეტი“, რაც წარმოადგენდა აშკარა კანონდარღვევას, ვინაიდან ამ ორგანიზაციას არ გააჩნდა „სემეკის“ მიერ გაცემული ლიცენზია არც ელექტროენერგიის იმპორტზე და არც მის დისტრიბუციაზე, დარწმუნებული ვართ, რომ ეს თანხა, მცირე გამონაკლისის გარდა, რომელიც ალბათ რ. არზუმანიანთან რჩებოდა, ილექებოდა იმჟამინდელი უმაღლესი რანგის ხელისუფალთა ჯიბეებში.**

2004 წელს ახალმა ხელისუფლებამ ბატონ არზუმანიანს პასუხი მოსთხოვა „აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზის მშენებლობისთვის მიწის ფართობის უკანონო გამოყოფის გამო, სისხლის სამართლის საქმეც აღიძრა, რაც სასამართლო-საპროცესო გარიგებით დასრულდა. ბატონი რაფაელი მშვიდობიანად დაუბრუნდა ოჯახს და თავი „აშოცკ-ნინოწმინდასთან“ დაკავშირებით დღესაც გმირად მიაჩნია. სამწუხაროდ, მისთვის არც გამოძიების პროცესში და არც შემდგომ, არავის უკითხავს „ელექტროსვეტის“ შექმნისა და შემდგომი ფუნქციონირების კანონიერების თაობაზე.

დღესდღეობით რაიონის გამგებლის პოსტს იკავებს ამ თანამდებობაზე უკანონოდ დანიშნული მელს ბდოიანი. ამ ფაქტს ჩვენმა სააგენტომ ოთხჯერ მიუძღვნა საგაზეთო სტატია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, წერილობით მიმართა ხელისუფლებას. შედეგი ნულის ტოლია. ბატონი მ. ბდოიანი 1995-2002 წ.წ. იყო ნინოწმინდის საბაჟო-გამშვები პუნქტის ხელმძღვანელთ, იმავდროულად, კანონის უხეში დარღვევით, გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრი. ნინოწმინდის რაიონის ტერიტორიაზე სწორედ მისი უშუალო ხელშეწყობით განხორციელდა „აშოცკ-ნინოწმინდის“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის უკანონო მშენებლობა. მაგრამ ფაქტია, რომ დღევანდელი ხელისუფლება მ. ბდოიანს იცავს და მას არ უცხადებს უნდობლობას. მათი შეფასებით, მ. ბდოიანი იმსახურებს პატივისცემას და დღესდღეობით ღირსეულად, კანონის ფარგლებში, არის დანიშნული დაკავებულ თანამდებობაზე, რაც მტკნარი სიცრუეა.

## „სემეკი“

2002 წლის დეკემბერში „საქართველოს გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ“ წერილით მიმართა „სემეკის“ თავმჯდომარეს ელიზბარ ერისთავს და ითხოვა ლიცენზია სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტის განხორციელებისთვის.

2002 წლის 27 დეკემბერს „სემეკმა“ დააკმაყოფილა „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის“ თხოვნა. ლიცენზია ძალაში შევიდა 2002 წლის 31 დეკემბერს.

ლიცენზიის მოქმედების ვადა იწურებოდა 2003 წლის 1 აპრილს. ლიცენზიის მიხედვით სომხეთის ელექტროენერგია ნინოწმინდის რაიონის მოსახლეობას მიეწოდებოდა „აშოცკ-ნინოწმინდის“ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით.

სალიცენზიო გადაწყვეტილებაში, ბატონმა ელიზბარ ერისთავმა, „სემეკის“ 2001 წლის 27 იანვრის №8 გადაწყვეტილების მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს სთხოვა „სომხეთენერგოსთან“ შეთანხმებით მოეხდინა სისტემათაშორისო 110 კვ-ანი ელექტროგადამცემი ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდის“ საქართველოს მონაკვეთის ბალანსზე აღების საკითხის დროული გადაწყვეტა. ამავე დროს მან მიუთითა, რომ გაერთიანებულმა სადისტრიბუციო კომპანიამ არ წარმოადგინა ხელშეკრულება ელექტროენერგიის იმპორტზე, რითაც გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და გზა გაუხსნა შესაძლო კორუფციულ საქმიანობას, ვინაიდან ხელშეკრულების გარეშე შეუძლებელია ტარიფის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის შემოწმების დროს აღნიშნულ ფაქტს გვერდი აუარა კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფმა.

2003 წლის 6 ოქტომბერს „სემეკის“ მომდევნო თავმჯდომარემ დ. მირცხულავამ, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაზე გასცა რიგით მეორე მსგავსი ლიცენზია, რომლის მოქმედების ვადა მთავრდებოდა 2004 წლის 1 მაისს. აღსანიშნავია, რომ ლიცენზიაში აღარ იყო ნახსენები ხაზის გაპატრონების აუცილებლობა და ეს გასაკვირი არ არის, ვინაიდან დ. მირცხულავამ ჯერ კიდევ სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თანამდებობაზე ყოფნის დროს უგულებელყო „სემეკის“ კანონიერი მოთხოვნა „აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზის გაპატრონების თაობაზე. ამის გამო მან საჭიროდ ჩათვალა, არ მიეთითებინა გაცემულ ლიცენზიაში არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ხაზი. „სემეკმა“ ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ მოახდინა „აშოცკ-ნინოწმინდის“ ფორმალური აღიარება, მისმა თავმჯდომარემ კი გასაკვირი სიზუსტით გაიმეორა წინამორბედის მიერ ჩადენილი დანაშაული.

2004 წლის 15 ოქტომბერს „სემეკის“ რიგით მესამე თავმჯდომარემ, ყოფილმა — „აჭარენერგოს“ გენერალურმა დირექტორმა და საქართველოს ენერგოსაბითუმო ბაზრის აღმასრულებელი საბჭოს დირექტორმა გიორგი თავაძემ „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიაზე“ გასცა ანალოგიური ხასიათის მესამე ლიცენზია, რომლის ვადა მთავრდებოდა 2004 წლის 29 ოქტომბერს, რითაც მან გაიმეორა ელიზბარ ერისთავის და დავით მირცხულავას მიერ ჩადენილი დანაშაული.

გ. თავაძე სრულიად კანონიერად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ იღებს ანაზღაურებას „აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზის და მისი უჯრედის მომსახურებისთვის, მაშინ, როდესაც „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გენერალური დირექტორი ჯოზეფ კორბეტი კატეგორიულად უარყოფს თავისი ორგანიზაციის რაიმენაირ კავშირს „აშოცკ-ნინოწმინდის“ ხაზთან.

გასაოცარია, რომ „სემეკის“ თავმჯდომარე გ. თავაძე ესოდენ არაინფორმირებულობას და არაკომპეტენტურობას ამჟღავნებს იმ სფეროში, რომლის მედიატორობა მას სახელმწიფომ მიანდო.

ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, 2005 წლის 9 აგვისტოს გ. თავაძემ წერილით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზ. ნოღაიდელს და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრს ნიკოლოზ გილაურს, სადაც ითხოვდა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის „აშოცკ-ნინოწმინდის“ საქართველოს ლიცენზიატის მფლობელობაში გადაცემის საკითხის გადაწყვეტას. ასეთ ლიცენზიატად მას ესახებოდა „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, რომელიც, ძირითადად, ფლობს 110-220 კვ ძაბვის სისტემათაშორის ელექტროგადამცემ ხაზებს. ამასთან მას მიზანშეწონილად მიაჩნდა, რომ ხსენებული ხაზის ღირებულება და საექსპლუატაციო ხარჯები სათანადოდ ასახულიყო ლიცენზიატის ტარიფში.

გ. თავაძის მცდელობას, მომხდარიყო „აშოცკ-ნინოწმინდის“ ელექტროგადამცემი ხაზის ლეგალიზაცია, საქართველოს მთავრობა სრული სიჩუმით შეხვდა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 2005 წლის 21 ოქტომბერს გამართულ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე „სემეკის“ საქმიანობას მაღალი შეფასება მიეცა. განსაკუთრებით წარმატებულად წარმოჩინდა „სემეკის“ როლი „2005 წელს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის მიერ მოხმარებული ენერგიის საფასურის ამოღების მკვეთრი გაუმჯობესების ღონისძიებათა წარმატებით გატარების პროცესში... ერთდროულად „სემეკი“ აქტიურად უწყობდა ხელს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის საქმიანობის დახვეწას და ეფექტურობის ამაღლებას.

ჩვენი აზრით, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მიერ „სემეკის“ საქმიანობის შეფასება მცდარია და არ შეესაბამება ენერგოსისტემაში არსებულ რეალურ მდგომარეობას.

**ჩვენთვის უცნობია, თუ რა ამოძრავებდა საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის უმრავლესობას „სემეკის“ ნამოქმედარის ამგვარი შეფასებისას. ჩვენ ვაგრძელებთ ამ მიმართულებით მუშაობას და შედეგებს უახლოეს პერიოდში გამოვამზეურებთ.**

## ვწეროთ და ვიკითხოთ? ნუთუ ეს უნდა იყოს ჩვენი ნამუშევრის შედეგი?

**ჩვენმა ჟურნალისტური გამოძიების სააგენტომ „დრო და სივრცემ“ გამოიძია, შეაფასა და საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა, სტატიის მკითხველები გააკეთებენ დასკვნებს, „აშოცკ-ნინოწმინდა“ კი ისევ არალეგალურად გააგრძელებს არსებობას, რითაც კვლავ შელახული იქნება ჩვენი სახელმწიფოს და მისი პატივცემული მოქალაქეების ღირსება, ქვეყნის ბიუჯეტი?**

**რატომ? ნუთუ იმიტომ, რომ საქართველოს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში წლების განმავლობაში მოკალათებული ზოგიერთი ჩინოვნიკი (თანამდებობას და რანგს მნიშვნელობა არ აქვს) „არ სდევს ჟამთა სვლას“, შესანიშნავად ერგება ნებისმიერ სიტუაციას და, ფულის შოვნის მანიით შეპყრობილი, ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობს საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ ეკონომიკურ დივერსიებს? ჩვენი აზრით, ყველაზე სახიფათო ის არის, რომ ეს ადამიანები მოქმედებენ შენიღბულად, ღრმა და ყალბი რწმენით, ვითომდა ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.**

**ჩვენი გამოძიების მიზანი ერთია — მოხდეს ხაზის ლეგალიზაცია. ჩვენს მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით შექმნილი სტატიით — საგაზეთო პუბლიკაციით მივმართავთ საქართველოს კონტროლის პალატას და გენერალურ პროკურატურას, მოვუწოდებთ მათ, შეისწავლონ სტატიაში მოყვანილი ყველა ფაქტი, მისცენ მათ სამართლებრივი შეფასება და გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები, მათგან ველით კანონიერების აღდგენას და დაცვას.**

**თენგიზ ჩხიკვაძე,**
**მალხაზ ხოშტარია,**
**ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“.**

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველო-ბალტია: ანგარიშიანი ალიანსი

**საქართველოს, როგორც ჩანს, გამოუჩნდნენ „უფროსი დები“ ლიტვის და ლატვიის სახით. ამ ორივე ქვეყნის პრეზიდენტები მიხეილ სააკაშვილს დაჰპირდნენ ყოველმხრივ დახმარებას საქართველოს ნატოში გაწევრიანების, ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციისა და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.**

„ჩვენ გავხდით ნატოს და ევროკავშირის წევრები. ჩვენ გვჭირდება, რომ თქვენც მოექცეთ ამ სივრცეში, და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“, — განაცხადა ლიტვის პრეზიდენტმა ვალდას ადამკუსმა 9-10 ნოემბერს საქართველოში თავისი პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს. წინათ კი ასეთივე სახის განცხადებები გააკეთა თბილისში ლატვიის პრეზიდენტმა ვაირა ვიკე-ფრაიბერგამაც. გარდა ამისა, ლატვიის პრეზიდენტს არც ის გამოურიცხავს, რომ საქართველოს კონფლიქტურ ზონებში ვითარების მოწესრიგების პროცესში ლატვიელმა მშვიდობისმყოფლებმაც მიიღონ მონაწილეობა. ერთი სიტყვით, ორივე პრეზიდენტს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საქართველოს დახმარება, განსხვავებაა მხოლოდ მწვავე რიტორიკაში: ვიკე-ფრაიბერგამ პარალელურად, როგორც იტყვიან, გადაუარა „რუსეთის იმპერიას“ და „რუს ოკუპანტებს“, მაშინ, როცა ადამკუსს მოსკოვზე სიტყვაც არ დაცდენია.

თუმცა, მთავარია, არა განცხადებები, არამედ ის, რომ ბალტიის სახელმწიფოები აშკარად დაუახლოვდნენ საქართველოს. სააკაშვილი და ადამკუსი ახლა ცდილობენ, თავიანთ ალიანსში ჩააბან ასევე აზერბაიჯანი და ნაკლებად პროდასავლურად ორიენტირებული სომხეთიც. ლიტვის პრეზიდენტთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა გაიხსენა, რომ სწორედ იგი და ადამკუსი იყვნენ თავის დროზე „სამი პლუსს სამი“ ახალი ფორმატის შექმნის ინიციატორები, რომელიც გააერთიანებდა ბალტიის და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს. ერთი სიტყვით, ბალტიისპირეთის ქვეყნები თავისებური ლოკომოტივის როლს ასრულებენ ნატოსა და ევროპულ სტრუქტურებში სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ინტეგრაციის საქმეში. მაგრამ, სომხეთის დიდი იმედი მათ, ალბათ, არ უნდა ჰქონდეთ. ჯერ ერთი, ყველასთვის გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით ძნელი წარმოსადგენია, რომ სომხეთი დათანხმდეს აზერბაიჯანთან ალიანსის შეკვრას; და მეორეც, სომხეთში ძალზე დიდია რუსეთის გავლენა, რაც, ნამდვილად ხელისშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდება.

მაგრამ, თუნდაც გარკვეული პიარის მიზნით, „სამი პლუს სამი“ ფორმატის იდეა ინტერესმოკლებული არ გახლავთ. ასეთ კავშირში თვით ფორმალურად ყოფნის შემთხვევაშიც კი, სომხეთი ან უნდა აჰყვეს დანარჩენი წევრების მიერ წამოწყებულ თამაშს, ან გაითვალისწინოს სააკაშვილის განწყობილება. „ჩვენ ბოლომდე რადიკალურები ვიქნებით, როცა საქმე ეხება ყველა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში თავისუფლებას, დემოკრატიას და დამოუკიდებლობას. ჩემი აზრით, ამ თვალსაზრისით, ჩვენი პოზიცია მთლიანად ემთხვევა ლიტვისას“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მან ასევე გაუსვა ხაზი იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების დემოკრატიზაცია. „ჩვენ სხვა ალტერნატივა არ გაგვაჩნია“, — თქვა მან და შენიშნა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგიონი გადაიჩეხება „კორუმპირებული ფეოდალური რეჟიმების“ უფსკრულში. სააკაშვილმა ყველას გასაგონად განაცხადა, რომ დემოკრატიზაციის პროცესი საქართველოთი და უკრაინით არ დასრულებულა, და იგი გავრცელდება ბელორუსიაზე და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზეც. ერთი სიტყვით, შეიძლება წარმოიქმნას ასეთი სიტუაცია: „ვინც ჩვენთან არ არის, იგი ჩვენი მოწინააღმდეგეა“. ამ კონტექსტში რობერტ ქოჩარიანს ბევრი საფიქრალი გამოუჩნდება.

...ერთი სიტყვით, ლიტვამ და ლატვიამ საქართველოზე თავის შეფობა იკისრეს. საქართველოს საქმეებში აქტიური მონაწილეობით, ვილნიუსი და რიგა ცდილობენ გათავისუფლდნენ „მცირე მნიშვნელობის მქონე ქვეყნის“ კომპლექსისგან, ისევე როგორც საქართველო, რომელიც „ვარდების“ და „ნარინჯისფერი“ რევოლუციების შემდეგ ცდილობს დამკვიდრდეს ერთგვარი ჰეგემონის სახით პოსტსაბჭოურ სივრცეში. ლატვიის და ლიტვის როლი საქართველოსთან ურთიერთობაში გარკვეულწილად გამართლებულია: ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისთვის ხომ უფრო ადვილია ქართულ რეალიებში გარკვევა, ვიდრე, მაგალითად, დიდი ბრიტანეთის ან საფრანგეთისთვის.

**ირინე ჟორჟენაძე,**
**„როსბალტის“ საინფორმაციო სააგენტო (რუსეთი).**
**(იბეჭდება შემოკლებით).**

ინფორმაცია

## ექსპერტებმა თანამშრომლობა დაიწყეს

**რუსმა** და ამერიკელმა საერთაშორისო ექსპერტებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონისა და მიმდებარე ტერიტორიების ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხებზე ეუთოს მიერ შემუშავებული კონცეფციის ფარგლებში თანამშრომლობა დაიწყეს.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ვოლსკის ინფორმაციით, ამერიკელმა და რუსმა საერთაშორისო ექსპერტებმა, ქართველ და ოს კოლეგებთან ერთად ცხინვალის რეგიონის რეაბილიტაციისთვის „მოთხოვნების შესწავლა“ ეუთოს მიერ შემუშავებული და შერეული საკონტროლო კომისიის მიერ დამტკიცებული კონცეფციის ფარგლებში გუშინწინ დაიწყეს.

ექსპერტები კონფლიქტის ზონის რეაბილიტაციისთვის „მოთხოვნების შესწავლას“ 2-3 თვეში დაასრულებენ, რომლის შემდეგაც დონორების კონფერენცია გაიმართება. კონფერენციაზე შემუშავებული პროექტების განხორციელებისთვის ფინანსური მხარდაჭერის საკითხებზე იმსჯელებენ.

## ადვოკატები პატიმრობაში რჩებიან



**სააპელაციო** სასამართლოს გადაწყვეტილებით გორში დაკავებული ადვოკატები მამუკა ნოზაძე და მარინა მაზანაშვილი წინასწარ პატიმრობაში რჩებიან.

სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

## სადეპოზიტო ვალდებულებებმა 1121,4 მლნ ლარი შეადგინა

**საქართველოს** კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებები მიმდინარე წლის 9 თვეში 225,5 მლნ ლარით გაფართოვდა და 1121,4 მლნ ლარი შეადგინა.

როგორც საქართველოს ეროვნულ ბანკში აცხადებენ, სადეპოზიტო ვალდებულელები 25,2 პროცენტით გაიზარდა. ამავე პერიოდის განმავლობაში ეროვნულ ვალუტაში მიღებულმა დეპოზიტებმა 66,1 მლნ ლარით მოიმატა, უმთავრესად იურიდიული პირების ნაშთების 76,7 პროცენტით მატების ხარჯზე.

ზრდის წილი თითქმის თანაბრადაა გადანაწილებული მიმდინარე ანგარიშებსა და ვადიან დეპოზიტებზე. კერძოდ, ამა წლის ცხრა თვეში მიმდინარე ანგარიშები 36,2 მლნ ლარით გაიზარდა და 238,8 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ვადიანი დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში გაიზარდა 30 მლნ ლარით და სულ ამ ტიპის დეპოზიტებმა 57,4 მლნ ლარი შეადგინა.

იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდა ეროვნულ ვალუტაში გამოწვეულია ენერგეტიკის სფეროსა და ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სფეროს საწარმოთა ანგარიშების მატებით, როგორც ვადიან დეპოზიტებში, ისე მიმდინარე ანგარიშებში.

# გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისარი ვერაფრით ვერ დაეხმარება საქართველოს, მაგრამ მოხარულია, რომ ამ ქვეყანაში მიიწვიეს

**გაეროს ლტოლვილების საქმეთა უმაღლესმა კომისარმა ანტონიუ გუტერიშმა გენერალურ ასამბლეას წარუდგინა მოხსენება მისი სამმართველოს საქმიანობის შესახებ. მესამე კომიტეტის დელეგატებთან დიალოგის დროს (იქ განიხილებოდა საკითხი) მან მადლობა გადაუხადა საქართველოს დელეგაციას ამ ქვეყანაში მიწვევისთვის და აღუთქვა ბელორუსიის წარმომადგენელს, რომ გაეროს ლტოლვილების საქმეთა სამმართველო მჭიდროდ თანამშრომლობს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან.**

უმაღლესმა კომისარმა აღნიშნა, რომ თანამედროვე მსოფლიოში პოპულიზმი და მხარეთა პოლიტიკურ ქცევაში ირაციონალურობის გამოვლინების სხვადასხვა ფორმები იწვევენ იმას, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ ერთმანეთის გვერდიგვერდ იცხოვრონ ჰარმონიისა და ურთიერთპატივისცემის პირობებში.

მისდამი დაქვემდებარებული სამმართველოს მუშაობის შესახებ მოხსენების წარდგენისას, ანტონიუ გუტერიშმა განაცხადა, რომ აღფრთოვანებულია სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების სამიტზე მიღებული გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც, საერთაშორისო გაერთიანებას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა გენოციდის, სამხედრო დანაშაულობებისგან, ეთნიკური წმენდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობებისგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისთვის. მან დასძინა, რომ ამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ადამიანების მასობრივი იძულებითი გადაადგილების უმეტესი შემთხვევები სწორედ ასეთ დანაშაულობებს უკავშირდება.

2004 წელს თავ-თავიანთი ქვეყნები დატოვა 232 ათასზე მეტმა ლტოლვილმა. ლტოლვილების ძირითადმა ნაკადმა დატოვა სუდანი და ჩადი (130 ათასი კაცი), უგანდა (14 ათასი) და კენია (2300) გარდა ამისა, იყო ლტოლვილების ახალი ნაკადები კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდანაც. კონგოელებმა, ძირითადად, ბურუნდის, როანდას, ზამბიას და უგანდას შეაფარეს თავი.

იმ პირთა საერთო რიცხვი, რომელთა დაცვაზეც ვრცელდება გაეროს ლტოლვილების საქმეთა სამმართველოს მანდატი, სადღეისოდ, თითქმის 20 მილიონს შეადგენს. უმაღლესმა კომისარმა აღნიშნა, რომ სამმართველო ძალ-ღონეს არ იშურებს ლტოლვილების დახმარების, აგრეთვე, ადამიანების იძულებით გადაადგილებასთან დაკავშირებული სიტუაციის მოწესრიგების მიზნით. მან მესამე კომიტეტის დელეგატებს გააცნო ასევე ახალი ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავენ სამმართველოს საქმიანობის ეფექტიანობის გადიდებას.

**„გაეროს ახალი ამბების სამსახური“ (ნიუ-იორკი).**

# ინციდენტი, რომელიც პროვოკაციას წააგავს

**გასულ სამშაბათს საქართველოში გაეროს მისიამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც მოუწოდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მხარეებს დაუყოვნებლივ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას და განაახლონ კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი. „კონფლიქტის ზონაში შექმნილმა ვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს სიტუაციის ესკალაცია“, — ხაზგასმულია განცხადებაში. დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ ვითარების მკვეთრი გაუარესება უშუალოდ უკავშირდება გალის რაიონის მცხოვრების, ეროვნებით ქართველის დანიელ წურწუმიას დაღუპვას, და გამოთქვამენ წინადადებას კომისიის შექმნის შესახებ, რომელიც ობიექტურად გამოიძიებს ყველა ფაქტს. მისია ასევე გამოთქვამს წინადადებას, რომ გალის რაიონში, რომელიც, ძირითადად, ქართველებითაა დასახლებული, ამოქმედდეს გაეროს საპოლიციო კონტინგენტი, გალში კი გაიხსნას ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი.**

ამავე დროს, დანიელ წურწუმიას დაღუპვის მიზეზების შესახებ, თბილისსა და სოხუმში გამოთქმული ვერსიები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, ქართული მხარე ამტკიცებს, რომ 21 წლის წურწუმიამ, რომელიც გაიწვიეს აფხაზურ არმიაში, უარი თქვა ფიცის დადებაზე და ამის გამო, იგი მხეცურად აწამეს. გალის რაიონის მცხოვრებთა თქმით, სეპარატისტული ხელისუფლება, პერიოდულად ცდილობს ქართველი მოსახლეობის გაწვევას სამხედრო სტრუქტურებში სამუშაოდ. „ჩვენ მზად ვართ ვიმსახუროთ, ოღონდ მარტო ქართულ არმიაში“, — აცხადებენ ისინი. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა წურწუმიას დაღუპვის ამბავი, რაიონის ახალგაზრდობის ნაწილი გადავიდა ზუგდიდის რაიონში, რომელსაც, როგორც ცნობილია, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს.




ამავე დროს, თვითაღიარებული აფხაზეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა სულთან სოსნალიევმა კატეგორიულად უარყო ქართული მხარის მიერ გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ წურწუმია ძალდატანებით გაიწვიეს აფხაზურ არმიაში და მას სასტიკად ეპყრობოდნენ იმის გამო, რომ უარი თქვა სამხედრო ფიცის დადებაზე. სოსნალიევის თქმით, აფხაზეთში საშემოდგომო გაწვევა დაიწყო 4 ნოემბერს, ანუ ქართული მხარის მიერ გაკეთებულ განცხადებას თუ ვერწმუნებით, წურწუმიას ჯარში გაწვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ. გარდა ამისა, იგი 39 წლის იყო, ხოლო აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებში ვადიან სამსახურში იწვევენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეებს, მათ შორის, ქართველებსაც.

ამავე დროს, ამ ინციდენტს შეიძლება განუჭვრეტელი შედეგები მოჰყვეს. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით დაშლილი პარტიზანული რაზმის — „თეთრი ლეგიონის“ მეთაურმა ზურაბ სამუშიამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი მებრძოლები მზად არიან აისხან იარაღი, რადგან „ლეგიონის“ დაშლის შემდეგ გალის რაიონის მცხოვრებლები აბსოლუტურად დაუცველები დარჩნენ.

კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ვოლსკიმ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, რომ გაეროს მისიის მოთხოვნა მოლაპარაკების სასწრაფოდ განახლების შესახებ, ნამდვილად ძალზე აქტუალურია. „გალის რაიონში აფხაზეთის ხელისუფლება ყოველგვარ თვითნებობას მიმართავს, და ამას, დროა ბოლო მოვუღოთ. ჩვენ შევიტანეთ შესწორებები უშიშროების შესახებ დოკუმენტში, რომელიც გაეროს მისიის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს. აფხაზურმა მხარემაც შეიტანა თავისი შესწორებები. ამჟამად გაეროს წარმომადგენლები მუშაობენ ორივე მხარისთვის მისაღებ ვარიანტზე, რის შემდეგაც გაიმართება ქართულ-აფხაზური შეხვედრა“, — აღნიშნა გიორგი ვოლსკიმ. როგორც მან გვითხრა, არის იმის გარკვეული იმედი, რომ გაეროს მისიის წინადადებას, გალში ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის გახსნისა და რაიონის ტერიტორიაზე გაეროს საპოლიციო სტრუქტურების შეყვანის შესახებ, პრაქტიკულად შეესხმება ხორცი.

**იური სიმონიანი, ვლადიმერ კისელიოვი,**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“, 11 ნოემბერი.**
**(იბეჭდება შემოკლებით).**

◉ ჯარიმა

# გზის მტერი

**ადრე საქართველოს ყვავილეების ქვეყანას უწოდებდნენ. ახლა შეიძლება ჯარიმების ქვეყანა დაარქვან. ისეთი კანონები შემოდის, ისეთი ჯარიმები წესდება, აღარც ქარხნები გვინდა და აღარც ჯიხურები, სახელმწიფო ბიუჯეტი მარტო ამ ჯარიმებით გადაიტენება.**



ახლახან დავამკვიდრეთ ჯარიმა ავტომანქანებით გადატვირთვაზე. ისეთი მოწყობილობა-დანადგარები ჩამოვიტანეთ უცხოეთიდან, რომ ტრანსპორტი ორიოდ წამში პირდაპირ ტრასაზე აიწონება და ყოველი ზედმეტი ტონისთვის ჯარიმად 500 ლარიც იქვე გამოიწერება.

ისე, მე თუ მკითხავთ, ეს სატვირთო ავტომანქანების მძღოლები გადატვირთული საქონლის გამო 500-ით კი არა, ბარე, 5.000-ითაც უნდა დააჯარიმო. მაგათ მოსპეს ჩვენი ქუჩები, ჩვენი ტრასები, ჩვენი მაგისტრალები. აქაოდა, აზრეშუმის გზა გაქვთო, დააჯლიგინებენ ზედ ათობითტონიან მანქანებს, აპარტახებენ უცხოეთში სიმწრით ნაშოვნი ფულით დაგებულ ასფალტს, აოხრებენ ბორდიურებსა და ტროტუარებსაც კი.

მაგრამ საკითხავი მაინც რჩება: მარტო სატვირთოებს გადააქვთ ზედმეტი საქონელი? სამგზავროები ნაკლებად ანადგურებენ გზებს? მთელი თბილისი აყრილია, მთელი ქალაქი ახალი ასფალტით გადაშავებულია, მაგრამ, სადღეისო პირობებში ჩვენი გზები ორიოდე წელსაც ვერ გაძლებს. ისეა გაძეძგილი ეს ჰოლანდიური თუ უკრაინული ავტობუსები, რომ შიგ ნემსი არ ჩავარდება.

ახლახან თბილისში შემოიყვანეს ორსალონიანი (ე.წ. „გარმოშკა“) ავტობუსებიც. ესაო, ბევრ ხალხს იტევსო. ქალაქის მერიიდან ჯერ ერთი ჩინოვნიკი გამოვიდა და თქვა, — შიგ 140-150 კაცი ეტევაო. მეორე გამოვიდა და — 160-170-იო, მესამე გამოვიდა და — 180-200-იო. თქვე დალოცვილებო, „გარმოშკა“ კი ჰქვია, მაგრამ ასე იწელება? ხალხი თუ არ გეცოდებათ, ასფალტი მაინც შეიბრალეთ. ტერაქტით შეშინებული ბუში აქეთ აღარ გამოიხედავს და გადავაქციოთ ისევ თბილისი ორმოების ქალაქად?

და მთავარი, რის თქმაც მინდოდა, — **თუ გადაძეძგილ ტრაილერს ჯარიმას ვადებთ, რატომ ვხუჭავთ თვალს ასევე გადაძეძგილ ავტობუსზე? ააა.. ტრაილერის გადატვირთვა მანქანის მძღოლის ბრალია, ავტობუსისა კი — ქალაქის ხელმძღვანელობისა? აბა, საკუთარ თავს ხომ არ დააჯარიმებს? მესმის, გასაგებია!**

ბოლოს კი, ისევ ეშმაკის დეტალი: ხალხი ამ ახალ ავტობუსებში სამგზავრო ფულს უხდის ხან მძღოლს, ხან მოხალისე მოლარე-კონდუქტორს. ბილეთს არავინ იძლევა. **ვინ აღრიცხავს ამ თანხას? რა მიდის ბიუჯეტში და რა — ამკრეფთა თუ ჩინოვნიკთა ჯიბეში? ამის გაგება არ გვაინტერესებს? რატომ მოისპო ბილეთიცა და კონტროლიორიც?**

1 ოქტომბრიდან მოსკოვში მიმდინარეობს ექსპერიმენტი. საქალაქო ავტობუსებსა და ტროლეიბუსებში დადიან 30-30-კაციანი ჯგუფები შავი, ლურჯი და მწვანე საშემოდგომო სპეცქურთუკებით (იხ. ფოტო). არისო საზაფხულო და საზამთრო კომპლექტებიც. ისინი გამუდმებით ამოწმებენ მგზავრებსაც და მძღოლებსაც. მომხვეჭელი მძღოლი კარგავს სამსახურს, მუქთა მგზავრი კი იხდის 100 რუბლ ჯარიმას (ეს ჩვენს ფულზე 6 ლარია). ჯარიმა საკმაოდ დიდია, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის, — სოლიდური თანხა „იტეხება“ ტრანსპორტიდან.

ჩვენთან ვითომ ყველაფერი „აჟურშია?“

**ბონდო გულიაშვილი**

◉ ქრთამი

# ხელებს ვერ იმოკლებენ

**რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების ხმაურიანი განცხადებებიდან ერთ-ერთი კორუფციის აღმოფხვრას ეხებოდა. მექრთამე ჩინოვნიკებიდან ზოგიერთებს მილიონები დააყრევინეს, ზოგიერთებს კი უამრავი ქონება ჩამოართვეს. ორი მათგანი დღესაც ციხეშია, ფულის გადახდას არ აპირებენ, არც უშვებენ, საკნებს ახეხინებენ.**

დღემდე ქრთამის აღებაზე არაერთი სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურის წარმომადგენელი დააკავეს და თავი ვირის აბანოში უკრეს. დაკავების მეთოდიც და დაკავებულთა სიხშირეც უდავოდ გვაფიქრებინებს, რომ დღეს საქართველოში დასმენის, ჩაშვების ინსტიტუტი მართლაც კარგად მუშაობს. ისე, ამას ხელისუფლების წარმომადგენლებიც ადასტურებენ. გასაკვირი ერთი რამ არის, — ნებისმიერი ადამიანი, მით უმეტეს, ჩინოვნიკი ასეთ პირობებში როგორღა რისკავს ქრთამის აღებას? განა ვერ ხვდება, რომ ასი კაცი უთვალთვალებს, ორასი კი მის სკამს უმიზნებს?

დეტალებს, ცხადია, სასამართლო დაადგენს, მაგრამ ფაქტები რომ არ ილევა? ახლახან ოზურგეთის რაიონის დაბა ლაითურის საკრებულოს თავმჯდომარე ემზარ თუთისანი მის მოადგილესთან ვლადიმერ ჭყონიასთან ერთად დააკავეს. მათ უცხოელებს ერთ-ერთი პანსიონატის ამორტიზებული შენობის საკუთრების უფლების გადაცემის გამო 3000 ლარი გამოსძალეს; სასჯელის შემსუბუქების სანაცვლოდ სამტრედიის რაიონის მოსამართლე ნიკოლოზ ხაჟალია 3000 დოლარს იღებდა. ექსპერტების ეროვნული ბიუროს ქვემო ქართლის განყოფილების უფროსი ხვიჩა დარსალია ერთ-ერთ პოლიციელს 700 დოლარს სძალავდა.



მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიც აქვს და კარგი ხელფასიც, ქრთამზე უარს მაინც არ ამბობენ, საკუთარ თავზე, ოჯახზე, მუნდირზე აღარ ფიქრობენ. ასეთ საქციელს უმადურობის, გაუმაძღრობის მეტს ვერაფერს ვუწოდებთ. მაშ, რა ქნას იმ ასი ათასობით ადამიანმა, რომელიც სულს შიმშილით ღაფავს, ლუკმაპურის საშოვნელად წელებზე ფეხს იდგამს? დღევანდელმა ჩინოვნიკებმა ხომ მომავალიც გაინაღდეს, სოლიდური პენსია დაინიშნეს. არადა, რით არიან ბევრ ღვაწლმოსილ საზოგადო მოღვაწეზე, თუნდაც ჩვეულებრივ მოქალაქეზე მეტი? ვინ მოთვლის, რამდენი პატიოსანი ადამიანი 40-50 წელი თავის საქმეს უხმაუროდ ემსახურა და უზრუნველი სიბერის ნაცვლად 28-ლარიან პენსიას დასჯერდა. ესენი კი...

ნუთუ აღარ დადგა დრო, რომ მექრთამეებმა ხელები დაიმოკლონ და საკუთარ (საკმაოდ მაღალ) ხელფასსა და პრემიებს დასჯერდნენ?

**ლელა ხვადაგიანი**

◉ იარაღი

# რის ფასად დათმო თავისუფლება ყოფილმა გამომძიებელმა?

**სამსახურებრივი უფლების გადამეტება დღეს აღარავის უკვირს. ასეთ თანამდებობის პირთაგან მხოლოდ უმცირესობა თუ ისჯება, რაც ხშირად მათი სამსახურიდან დათხოვნით მთავრდება. მაგრამ, როცა ასეთი პიროვნება თავისი საქმიანობის გაგრძელებას მაინც ჯიუტად ცდილობს?**

ყოფილ გამომძიებელს გიორგი ლასხიშვილს სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. მან ექსპერტიზის ბიუროდან მტკიცებულების სახით გაგზავნილი იარაღი ექსპერტიზის პასუხებიანად გაიტაცა.

განსასჯელი ბოლო პერიოდში ვაკე-საბურთალოს რაიონის შინაგან საქმეთა სამმართველოს საგამოძიებო სამსახურში ერთი წლის განმავლობაში გამომძიებლად მუშაობდა, საიდანაც მაისში თითქოსდა პირადი განცხადების საფუძველზე წავიდა. მის ყოფილ თანამშრომლებს მასზე საუბარი არ სურთ. ამბობენ, ფინანსურ პოლიციაში აპირებდაო დასაქმებას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, საეჭვოდ ჩანს. ვინ მიატოვებს დღეს მაღალხელფასიან, გარანტირებულ სამსახურს და ვინ ივლის მუქთად ქუჩა-ქუჩა?

სამსახურიდან წასვლას მისთვის ხელი სულაც არ შეუშლია იმაში, რომ გამომძიებლის პირადობის მოწმობით (საინტერესოა, გათავისუფლებისთანავე ეს მოწმობა რატომ არ ჩამოერთვა?) არაერთხელ, თავისუფლად შესულიყო შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში.

ბოლო, ასეთი ვიზიტისას ის ავიდა კანცელარიაში, თავი კვლავ გამომძიებლად წარადგინა და მოითხოვა ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახურზე რიცხული ექსპერტიზის დასკვნები თავიანთი ნივთმტკიცებულებებით. მან ხელთ იგდო „სტეჩკინის“ და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტები.

ჩადენილი დანაშაულისთვის გიორგი ლასხიშვილი ქალაქის პროკურატურის თანამშრომლებმა აიყვანეს. ძიებასაც ეს უწყება განაგრძობს. გამორიცხული არ არის, დაკავებულს სხვა ბნელი საქმეებიც აღმოაჩნდეს. როგორც ამბობენ, ამის მიდრეკილება მას ჰქონდა. მაინც საინტერესოა, რის ფასად ულირდა მას თავისუფლების დაკარგვა?

ეჭვმიტანილმა დაკავებისას თქვა, რომ გატაცებული იარაღი სჭირდებოდა პირადი მოხმარებისთვის.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსის გელა ბადრიაშვილის განცხადებით კი, გიორგი ლასხიშვილი ჯერჯერობით გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, იგი დუმილის უფლებას იყენებს, ამიტომაც დანაშაულის ნამდვილი მოტივი ამ ეტაპზე დაუდგენელია.

თუმცა, როდემდე გაჩუმდება?

**ლელა მანაველიშვილი**



◉ ინფორმაცია

## პრეზიდენტებსაც იჭერენ

**ჩილეს** დედაქალაქ სანტიაგოში დააკავეს პერუს ყოფილი პრეზიდენტი ალბერტო ფუჰიმორი. იგი 2000 წელს წავიდა ისტორიულ სამშობლოში — იაპონიაში. ახლა ისევ მოიწადინა ქვეყნის სათავეში მოსვლა და... ძველი ცოდვები შეახსენეს. კერძოდ, ბრალად დასდეს კორუფციაში, აგრეთვე, ათასობით ქალის სტერილიზაციაში, რომელიც ვითომდა სიღარიბესთან ბრძოლის პროგრამით ხორციელდებოდა.

## ციხიდან ამერიკაშიც გარბიან

**ტეხასის** შტატის ციხეში სასჯელს იხდიდა ჩარლზ ტომპსონი. ორი კაცის მკვლელობის გამო მას საკანში უნდა გაეტარებინა მთელი თავისი ცხოვრება, მაგრამ... სამოქალაქო ტანსაცმელი გადაიცვა და გაიქცა ყალბი საბუთებით, რომელიც ადვოკატმა შეუტანა.



ტომპსონი 35 წლისაა. იგი 1998 წელს გაასამართლეს, როცა სიცოცხლეს გამოასალმა თავისი საყვარელი და მისი მეგობარი მამაკაცი.

## ახალ მანქანას უყიდიან

**2006 წლიდან** რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს აუნაზღაურდებათ ყველა ის ზარალი, რასაც მათ მიაყენებენ შავი სამყაროს წარმომადგენლები. თუ, მაგალითად, მოსამართლეს ან პროკურორს მანქანას დაუწვავენ, მას ახალს უყიდიან; თუ ბინას გაუტეხავენ და გაუძარცვავენ, გაურემონტებენ და ძვირფასეულობასაც შეუძენენ. კომპენსაციის მისაღებად საჭიროა მხოლოდ განცხადება საკუთარი უფროსის სახელზე.

## ტონი ბლერი გააწბილეს

**ინგლისის** პრემიერი ტონი ბლერი გაანაწყენეს საკუთარ საკანონმდებლო ორგანოში. მას სურდა ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირთა წინასწარი დაკავების საკანში გამომწყვდევა არა 14, არამედ 90 დღით, რათა მოკვლევა გულდასმით წარმართულიყო; პრემიერს სასტიკი უარი სტკიცეს, — რას ბრძანებთო, ჩვენ ამდენ ხანს კაცს საკანში გაუსამართლებლად ვერ ვაყურყუტებთ, თუნდაც მხოლოდ მეტროსადგურები კი არა, მთელი ქალაქები აგვიფეთქოსო. მოსახლეობის 72 პროცენტი ტონი ბლერის მხარეზეა, მაგრამ პარლამენტართათვის ადამიანის უფლებების დაცვა მაინც უპირველესია.

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

მოქულეთა ახალი ვერსია

# გალინა ჯუღაშვილი:
# „მე მამა დღემდე მაკლია"



**სტალინის ვაჟიშვილი, წითელი არმიის უფროსი ლეიტენანტი იაკობ ჯუღაშვილი, გერმანულ ტყვეობაში არასდროს ყოფილა**

**ჰიტლერს არასდროს უთხოვია „ხალხთა ბელადისთვის" ფელდმარშალ პაულიუსის მის ვაჟიშვილში გაცვლა. სტალინის მკაცრი, გამაოგნებელი სისასტიკის ფრაზა: „მე ჯარისკაცს ფელდმარშალში არ ვცვლი!". — მხოლოდღა რეპლიკაა მხატვრული ფილმიდან — „გათავისუფლება".**

ბოლო დროს გაჩენილი მრავალი ვერსია უარყოფს ოფიციალურ მონაცემებს სტალინის ვაჟიშვილის გერმანელთა ტყვეობაში დაღუპვის შესახებ. რუსეთის ექსპერტ-კრიმინალისტები ირწმუნებიან, რომ ტონობით გერმანული ფურცლები იაკობ ჯუღაშვილის ფოტოებით სიყალბეა.

## აბვერის პროვოკაცია

**შესაძლოა უფროსი ლეიტენანტი, არტილერისტი იაკობ ჯუღაშვილი 1941 წლის ივნისის შუა რიცხვებში უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა ან ტყვედ ჩავარდა და ტყვეობაში მალევე მოკვდა, იაკობ ჯუღაშვილად კი შემდგომში სხვა ადამიანს ასაღებდნენ. შეიძლებოდა ეს გერმანიის სამხედრო დაზვერვის — აბვერის აგენტი-ორეული ყოფილიყო.**

ოფიციალური ვერსიით, იაკობ ჯუღაშვილმა ექვსი ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკი გამოიარა და ერთ-ერთ მათგანში ცნობილ გენერალ კარბიშევთან ერთად იმყოფებოდა.

გალინა იაკობის ასულის ოჯახი შინსახკომის ყოფილ სახლში ცხოვრობს, კრემლიდან ზუსტად ერთი კილომეტრის დაშორებით. ძალზე მოკრძალებული სამოთახიანი ბინის კედლებს მხატვარი ვაჟიშვილის, სელიმის ნამუშევრები ამშვენებს. წიგნების თაროზე პაპის — სტალინის პატარა სურათია.

ბინის პატრონი — მინიატიურული, ლამაზი, მოხდენილი აღნაგობის ქალია, რომელსაც ტან-ფეხი აშკარად დედის, ბალეტის მსახიობის ოდესელი იულია მელცერისა აქვს. გრძელ კაბაში, ვერცხლის ბეჭდებითა და სამაჯურებით შემკული გალინა ჯუღაშვილი ქართველ თავადის ასულს მოგაგონებთ.

გალინა იაკობის ასულმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, დაცული აქვს საკანდიდატო დისერტაცია, საუცხოოდ იცის ფრანგული ენა და დიდხანს მუშაობდა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში, არის რუსეთის მწერალთა კავშირის წევრი. ამჟამად იგი პენსიაზეა. ჩვენ რამდენიმე საათს ვსაუბრობდით და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთხელაც არ დაუწუწუნია ცხოვრებაზე, თუმცა მისი პენსია და ბავშვობიდან ინვალიდი ვაჟიშვილის პენსია ჯამში 5,5 ათას რუბლს თუ შეადგენს.

სიმართლეზე და მითებზე, მამის დაღუპვის შესახებ გვიამბობს იაკობის ქალიშვილი, სტალინის შვილიშვილი გალინა იაკობის ასული ჯუღაშვილი.

**— გალინა, მამა გახსოვთ?**

— მახსოვს, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელად სამი წლისამ ვნახე. მე ის დღემდე მაკლია. მამაჩემი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემი ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა. მას შეეძლო, ეს მე დანამდვილებით ვიცი, ბევრი რამ ესწავლებინა ჩემთვის, რისი გაკეთებაც, დიდი სურვილის მიუხედავად, დედაჩემს არ შეეძლო.

## ადამიანი მავთულზე

**— სხვადასხვა წყაროებიდან ცნობილია, რომ ფაშისტებს უნდოდათ იაკობ ჯუღაშვილი საჯაროდ დაესაჯათ სიკვდილით — ფოტოკინოკამერა დაემიზნებინათ მისთვის და ისე მოეჭრათ ხელ-ფეხი და თავი, ფირი კი სტალინისთვის გაეგზავნათ. იმისაც ამბობენ, რომ თითქოს მამათქვენმა ეს გაიგო და თავის მოკვლა გადაწყვიტა — მავთულხლართზე გადაეგო?**

— ეს მორიგი ვერსიაა. ორ ფოტოსურათზე „ადამიანი მავთულზე" განსხვავებებია: გერმანულ ფოტოზე გვამს ფეხზე უხეში კირზის ჩექმები აცვია, მეორე ფოტოზე, რომელიც ამერიკელებს ჩაუვარდა ხელში და რომელიც ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ გადმოგვცეს — ოფიცრის ახალთახალ ჩექმას მზეზე ლაპლაპი გაუდის. სახე არ ჩანს. რატომ არის ეს მამაჩემი? ეს შეიძლებოდა ნებისმიერი ვინმე ყოფილიყო, მაგრამ მაინც ამ ფოტოსურათის დანახვაზე თითქოს დენმა დამარტყაო. სწორედ ამ ფოტოგრაფიით დაიწყო ჩემი ეჭვები. მე ჩემი შინაგანი ალღოსი მჯერა. მთელი გულით მწამს, რომ მამაჩემი ნევრასტენიკი და თვითმკვლელი არ ყოფილა.

**— არსებობს კიდევ ერთი ვერსია: თითქოსდა მამათქვენი ტყვეობიდან გაიქცა, აშშ-ს თუ კანადას შეაფარა თავი და ომის შემდეგაც კი მატერიალურად გეხმარებოდათ თქვენ და დედას.**

— არა! არა და არა. დასავლეთში სტალინის სახელის გამოყენებით ფულს აკეთებდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირში პიროვნების კულტი დაგმეს. ერთ-ერთ ბულვარულ ქართულ გაზეთში ისეთი ამბავიც კი დაბეჭდეს, თითქოს ერთხელ ჰიტლერმა მამაჩემი თავისთან დაიბარა და მის მიმართ მამის — სტალინის მიერ გამოჩენილი გულქვაობისთვის თანაგრძნობა გამოუცხადა. იქვე ისიც ეწერა, რომ ევა ბრაუნამდე ჰიტლერის პირველი ცოლი ქართველი იყო და რომ თითქოს თავისი პირველი სიყვარულის ხსოვნის პატივისცემით მან არარიგითი სამხედრო ტყვე ერაყში გაუშვა. ამასთან, თითქოს ჰიტლერი მამაჩემს გადახვევია და „სახეზე მას ობოლი მამაკაცური ცრემლი ჩამოჰგორებია". ასე გაჩნდა კიდევ ერთი ვერსია: თითქოს მამამ ერაყში ცოლი შეირთო და მე სადამ ჰუსეინის ლვიძლი და ვარ!

არ არსებობს სტალინის ვაჟიშვილის არცერთი ჩანაწერი მაგნიტოფონზე და კინოფირზე აღბეჭდილი არცერთი მისი გამოსახულება. არცერთი „ოქმზე" არ არის მისი ხელმოწერა. ოქმებში მამას დაბადების ადგილად მითითებულია ბაქო, არადა, ის ქართულ სოფელ ბაჯში დაიბადა. ცხადია, რომ ყველა „დოკუმენტური" სიყალბის მიზანია პაპაჩემისთვის დარტყმის მიყენება.

**— გერმანელების მიერ იაკობ ჯუღაშვილის დატყვევების შესახებ ცნობის შემდეგ დედათქვენი შინსახკომმა დააპატიმრა. სტალინმა როგორ დაუშვა ასეთი რამ? ამბობენ, რომ მან არცკი მოუბოდიშა რძალს, როდესაც იულია ჯუღაშვილი მთლად გაჭაღარავებული გამოვიდა ციხიდან.**

— ერთ-ერთი მიზეზი იყო ტყავის ქურთუკში ჩაცმული მამას ფოტოგრაფია გერმანულ ფურცელზე. ამ ფოტოს აღება მხოლოდ საოჯახო ალბომიდან შეიძლებოდა (შეიძლება ის გერმანელთა აგენტურამ ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მოიპარა). თუ იცით, როგორ ეპყრობოდა შინსახკომი „ხალხის მტრებს" — ტყვედ ჩავარდნილ ოფიცრებს? სტალინმა კიდევ ერთხელ აგრძნობინა ყველას, რომ მისი ვაჟიშვილი და მისი ოჯახი არაფრით არ განსხვავდებოდნენ სხვებისგან. თავისი რძლისთვის რატომღა უნდა დაეშვა გამონაკლისი? დედამ წელიწადნახევარი გაატარა ციხეში: ჯერ მოსკოვში, მერე ენგელსში. ამასთან, მე არასოდეს მსმენია, რომ მას ერთი აუგი სიტყვაც კი ეთქვას პაპას მისამართით.

**— ამბობენ, რომ თქვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ნებართვით გათხოვდით?**

— მე და ჰოსინი 37 წელია ცოლქმარი ვართ, აქედან 7 წელი ვცდილობდით ქორწინების რეგისტრაციის ნება მოგვეპოვებინა. ჩემი ქმარი წარმოშობით ალჟირიდანაა, ის მათემატიკოსია, მეცნიერებათა კანდიდატი, გაეროს საგანგებო სიტუაციების ექსპერტი. ბუნებრივია, მე მინდოდა მისი სამშობლო მენახა. ჩემი გვარით ეს შეუძლებელი იყო. მოვახერხეთ ნაცნობების მეშვეობით პირადად ი. ანდროპოვისთვის გადაგვეცა წერილი. მაშინ ყველაფერს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი განაგებდა. ლუბიანკის შეფის რეაგირებას არ დაუყოვნებია: „ჩემი არწივები გაერკვევიანო". ანდროპოვის „არწივებმა" მმაჩის ბიუროს მითითება მისცეს დაერეგისტრირებინათ ჩვენი ქორწინება, ოღონდ ერთადერთი პირობით — გალინა ჯუღაშვილი და მისი ვაჟიშვილი არასდროს დატოვებენ სსრკ-ს.

**— ჯუღაშვილის გვარით ცხოვრება არ გეშინიათ? ზოგისთვის სტალინი გამარჯვებულია, სხვებისთვის — ტირანი და დესპოტი, რომელმაც მილიონობით ადამიანი დაღუპა. ზოგჯერ მას ჰიტლერს ადარებენ. თქვენთვის ვინ არის სტალინი?**

— ჩემთვის ის პაპაა. ღვიძლი პაპა! მე შემეძლო სულ იოლად გამომეცვალა გვარი, როგორც ეს სვეტლანამ გააკეთა. ეს პაპაჩემისა და ჩემი მშობლების ღალატი იქნებოდა. სტალინი ჩემი ერთადერთი პაპაა. მეორე პაპა, დედის მხრიდან, მე არ მინახავს, იგი ჩემს დაბადებამდე მომკვდარა. სტალინი ჩემი პაპაა, მე მისი სისხლი მიდგას და როგორ არ უნდა მიყვარდეს?

**ვლ. სვარცევიჩი.**

**ფოტოები საოჯახო ალბომიდან და აბვერის არქივიდან.**

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ



გალინა მამასთან ერთად (1940 წ.)

---

ჭრელი ამბები

## გადასანერგი ქსოვილები ავადმყოფის საწოლთან იზრდებიან

**ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯში ექსპერიმენტი მოაწყვეს იმ კოლაგენის მონაწილეობით, რისგანაც პაციენტთათვის გადასანერგად კანის, ძვლებისა და მყესებისაგან აკეთებენ სტრუქტურულ კარკასებს. ჩვეულებრივ იმათ უბრალოდ გამოზრდიან ხოლმე კარკასებზე. ამჯერად კი მეცნიერებმა კოლაგენი 100-ჯერ შეკუმშეს, რითაც მთლიანად გასცალეს წყლისგან. ამის შემდეგ ახალი ქსოვილის გამოზრდის დრო ერთი კვირიდან 35 წუთამდე შემცირდა.**

მალე ქსოვილშემცვლელის გამოზრდა, სპეციალურ დანადგარებზე, პირდაპირ პაციენტის საწოლთან იქნება შესაძლებელი.

## კონტეინერი-კოტეჯი

**რისთვის აგებენ კოტეჯებს, ოცნებობენ ულამაზეს ვილებსა და სასახლეებზე, როდესაც კონტეინერშიც შეიძლება იცხოვრო კომფორტულად და მყუდროდ. სწორედ ამგვარი კოტეჯების სერიულ გამოშვებას დაიწყებს ერთ-ერთი ავსტრალიური ფირმა.**

უკვე ჩამოწერილ, „მსოფლიოშემოვლილ" კონტეინერებს გადააქცევენ ექსტრავაგანტულ საცხოვრებელ სახლებად, რომლებიც ყოველგვარ საცხოვრებელ პირობებს დააკმაყოფილებენ. ერთი ამგვარი კოტეჯი-კონტეინერი 11 ათასი ავსტრალიური დოლარი ღირება. მისი აწყობა ერთ დღეში შეიძლება და სურვილისამებრ ნებისმიერ ადგილზე შეიძლება მისი გადატანა.

## ნამცეცა რობოტი – ადამიანის მკურნალი

**მსოფლიოში ყველაზე პატარა მობილური რობოტი შექმნეს ამერიკელმა სწავლულებმა დარტმუტის კოლეჯიდან. მისი სიგრძე 0,25 მილიმეტრია, სიგანე კი — 0,06 მილიმეტრი. მექანიზმი სავსებით ავტონომიურია: მეცნიერებმა პირველად მსოფლიოში შეძლეს ასეთი მიკროსკოპული მასშტაბით ძრავის, მართვის სისტემისა და იმ კომუნიკაციის სისტემის შეერთება, რომელიც გარედან ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.**

ორი აქტუატორი-„ფეხის" წყალობით, ნამცეცას ყოველ წამში 10 ათასამდე პაწია ნაბიჯის (ნაბიჯუნას) გადადგმა შეუძლია, თითოეული 10 ნანომეტრის (მეტრის წარმოუდგენლად მცირე ნაწილის) სიგრძისა, ამასთან გადაადგილების ხერხი მუხლუხის ცოცვას მოგვაგონებს. ენერგია მიეწოდება იმ ზედაპირის დამფარავი ათასობით პაწაწინა ელექტროდით, რომელზეც მანქანა მოძრაობს. ამავე ელექტროდებით ეგზავნება რობოტს მართვის ბრძანებები.

გამოგონების ავტორის ბრიუს დონალდის მტკიცებით, მსგავსი მიკრორობოტები ერთობ ფართოდ გამოიყენებიან მედიცინაში — სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და განკურნებისათვის.

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

# აშშ სავაჭრო ბალანსის დეფიციტმა რეკორდულ ნიშნულს მიაღწია



**ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო ბალანსის დეფიციტი სექტემბერში გაიზარდა რეკორდულ ნიშნულამდე — 66,1 მილიარდი დოლარი.**

მნიშვნელოვანწილად ეს შეიძლება აიხსნას ნავთობის ფასების ზრდით და ქარიშხალ „კატრინას“ შედეგად მიყენებული ზარალით.

შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, სექტემბერში იმპორტი გაიზარდა 2,4 პროცენტით და შეადგინა 171,3 მილიარდი დოლარი, მაშინ, როცა საექსპორტო მიწოდებები შემცირდა 2,6 პროცენტით და 105,2 მილიარდ დოლარამდე იკლო.

ამავე დროს, ჩინეთი იტყობინებოდა, რომ იმპორტთან შედარებით ექსპორტის მოცულობის ზრდამ ოქტომბერში 12 მილიარდი დოლარი შეადგინა.

ჩინურ საქონელზე მოთხოვნილების ზრდას ექსპერტები განმარტავენ იმით, რომ მრავალ სავაჭრო კომპანიას სურს შექმნას საქონლის მარაგი საშობაო დღესასწაულების პერიოდისთვის.

სავაჭრო ბალანსის დეფიციტის წინანდელი რეკორდი დაფიქსირდა თებერვალში, როცა იგი 60,4 მილიარდ დოლარს უტოლდებოდა.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, შეგნებული გვქონდა, რომ სექტემბრის მონაცემებზე გავლენას მოახდენდა ქარიშხალ „კატრინას“ მიერ მოყენებული ზარალი, მაგრამ შედეგებმა ყველაზე ცუდ მოლოდინსაც კი გადააჭარბა“, — განაცხადა „ბენკ ოფ ნიუ-იორკის“ სავალუტო განყოფილების თანამშრომელმა მაიკლ ვულფოკმა.

სექტემბერში რეკორდულ ნიშნულს მიაღწიეს ასევე კვების პროდუქტების, სამრეწველო მოწყობილობისა და მასალების, აგრეთვე, ნავთობის საიმპორტო მიწოდებებმა.

ამერიკული ექსპორტის მოცულობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა ასევე „ბოინგის“ კომპანიაში მომხდარმა გაფიცვამ. ყოველივე ამის შედეგად საზღვარგარეთ გაიგზავნა მხოლოდ ორი თვითმფრინავი, როცა აგვისტოში ეს მაჩვენებელი 26-ს აღწევდა.

ამრიგად, მარტო სამოქალაქო ავიაციის გამო, ამერიკულ ექსპორტს „დააკლდა“ 2,4 მილიარდი დოლარი, ანუ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდის დაახლოებით მესამედი.

# რაისმა ახლო აღმოსავლეთში ტურნე დაიწყო

**ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი პარასკევს დილით ჩავიდა ერაყის ქალაქ მოსულში.**

სახელმწიფო მდივანს უნდა დაეწყო მოგზაურობა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგრამ ერაყში მისი ვიზიტის შესახებ — ალბათ, უშიშროების მოთხოვნებიდან გამომდინარე — წინასწარ არაფერს იტყობინებოდნენ.

როგორც მოელიან, კონდოლიზა რაისი შეხვდება ერაყში შეერთებული შტატების ელჩს, აგრეთვე, ამერიკელ სამხედროთა წარმომადგენლებს. შეხვედრების დროს უნდა განიხილონ 15 დეკემბრისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების წინ ქვეყანაში შექმნილი ვითარება.

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ეწვევა ასევე, ბაჰრეინს, საუდის არაბეთს და ისრაელს.

ბაჰრეინში უნდა დაფუძნდეს მომავლის ფონდი, რომლის ამოცანა იქნება რეგიონში მცირე ბიზნესის დახმარება. ახალი ორგანიზაციის ბიუჯეტი 50 მილიონ დოლარს შეადგენს.

გარდა ამისა, შეერთებული შტატების გამოჰყოფს 30 მილიონ დოლარს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებისთვის.

კონდოლიზა რაისს ასევე დაგეგმილი აქვს მოლაპარაკებების გამართვა ისრაელის პრემიერ-მინისტრთან არიელ შარონთან და პალესტინის ავტონომიის მეთაურთან მაჰმუდ აბასთან.

თუმცა, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ამ მოგზაურობის დროს, რაისს მოუწევს პასუხი გასცეს რამდენიმე რთულ კითხვას. კერძოდ, სავარაუდოდ, საქმე შეეხება იმას, თუ როგორ ეპყრობიან ამერიკელები პატიმრებს და ნამდვილად არსებობს თუ არა გასაიდუმლოებული საპყრობილეები, რომლებშიც ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს დაკავებული ჰყავს მუსლიმანი ტერორისტები.



# ლიბერიის არჩევნებში „რკინის ლედი“ ლიდერობს

**ლიბერიაში 14-წლიანი სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ გამართულ პირველ პრეზიდენტის არჩევნებში ლიდერობს ელენ ჯონსონ-სერლიფი.**

მეორე ტურის კენჭისყრის შედეგების თანახმად, საარჩევნო უბნების 90 პროცენტში ჯონსონ-სერლიფმა მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების სულ ცოტა 59 პროცენტი, მისმა მეტოქემ — ყოფილმა საფეხბურთო ვარსკვლავმა ჯორჯ ვეამ კი — 41 პროცენტი.

ამავე დროს, ვეა აცხადებს, რომ არჩევნებისთვის მზადების დროს იყო მთელი რიგი დარღვევები;



იგი ასევე აკრიტიკებს საარჩევნო კომისიის მუშაობას.

თავის მხრივ, გაეროს მისიის ხელმძღვანელმა ლიბერიაში გამართული არჩევნები დაახასიათა როგორც „გამჭვირვალე და მშვიდობიანი“.

გამარჯვების შემთხვევაში ელენ ჯონსონ-სერლიფი გახდება აფრიკის სახელმწიფოებში პირველი ქალი, რომელიც პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს.

ჯორჯ ვეამ აღძრა ოფიციალური საჩივარი არჩევნების შედეგების გაყალბების გამო, რასთან დაკავშირებითაც ეროვნული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ფრენსის ჯონსონ-მორისმა განაცხადა: „ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მოკლე ვადებში განვიხილოთ ეს საჩივარი“.

ჯორჯ ვეას ასობით მომხრე ღამით შეიკრიბა მისი პარტიის „დემოკრატიულ გარდაქმნათა კონგრესის“ შტაბ-ბინასთან. ისინი ერთხმად გაიძახოდნენ ვეას მხარდამჭერ ლოზუნგებს.

როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, გაეროს სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებს მოუწიათ რეზინის ხელკეტების გამოყენება ყოფილი ფეხბურთელის მომხრეთა გასაფანტავად.

სამოქალაქო ომის 100 ათასი ყოფილი მონაწილიდან უმრავლესობა — თანაც, კონფლიქტის ორივე მხარის წარმომადგენლები — მხარს უჭერს ჯორჯ ვეას.

ცნობილი კლუბების „მილანის“ და „ჩელსის“ ყოფილმა ვარსკვლავმა მოუწოდა თავის მომხრეებს თავშეკავებისკენ. მან ჟურნალისტებს წარუდგინა საარჩევნო ბიულეტენები, რომლებიც, ვეას თქმით, წინასწარ იყო შევსებული ჯონსონ-სერლიფის მხარდამჭერთა მიერ და დაურიგეს საარჩევნო უბნების თანამშრომლებს ურნებში ჩასაყრელად.

„მთელი მსოფლიო ამბობს, რომ ეს არჩევნები თავისუფალი და სამართლიანი იყო, მაგრამ ეს სიცრუეა“, — განაცხადა ვეამ პრესკონფერენციაზე.

# მოკლედ



**ბრიტანელმა ჟურნალისტებმა გადაიღეს დოკუმენტური ფილმი რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იუშჩენკოს მოწამვლის შესახებ. ფილმის ავტორთა მტკიცებით, უკრაინის პრეზიდენტის მოწამვლის მცდელობის მთავარი ვერსია არის ეგრეთ წოდებული რუსული ვარიანტი. ამ თითქმის ერთსაათიან ფილმს საფუძვლად დაედო ექიმების, კონტრდაზვერვის აგენტების, ჟურნალისტების ჩვენებები, საარქივო დოკუმენტები. ფილმის პრემიერა გაიმართა ჩეხეთის საზოგადოებრივი ტელევიზიით.**

* * *

**ბელორუსიაში ქმნიან თავიანთ საოპერაციო სისტემას, რომელმაც უნდა შეცვალოს ძვირადღირებული „ვინდოუსი“. რიგით მომხმარებლებს ხშირად უჭირთ 300 დოლარად ღირებული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, მიაჩნიათ ბელორუსიაში. იქ ახლა მიმდინარეობს საოპერაციო სისტემის შემუშავება, რომლის ღირებულება დაახლოებით 15 დოლარს შეადგენს. ეს იქნება სისტემა ღია კოდით და, შესაძლოა, ბელორუსულ ენაზეც.**

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბირთვული პრობლემის შესახებ ექვსმხრივ მოლაპარაკებაზე გამოაცხადეს შესვენება გაურკვეველი დროით. მოლაპარაკების მონაწილე ყველა მხარემ მიაღწია მორიგებას იმის თაობაზე, რომ მთელი ძალ-ღონე მოახმარონ მეოთხე რაუნდის დროს მიღებული ერთობლივი განცხადების დებულებების შესრულებას. ზოგიერთი ინფორმაციით, მოლაპარაკების მეხუთე რაუნდი უნდა განახლდეს არა უგვიანეს 2005 წლის დეკემბრისა.**

* * *

**SPITZER ტელესკოპმა გადაიღო ახალი ვარსკვლავების დაბადების პროცესი. გიგანტური ვარსკვლავებისგან გამოფრქვეული**



**გაზის ნაკადი იმდენად მკვრივი ხდება, რომ იწვევს მეორე თაობის ვარსკვლავების ჩამოყალიბებას. ტელესკოპმა შეძლო აღებეჭდა ამ მნათობების წარმოქმნის პროცესი.**

* * *

**ფრანგ ხულიგნებთან სოლიდარობის მიზნით, ბერძენმა ანარქისტებმა ქვები და საღებავით სავსე ქილები დაუშინეს ათენსა და სალონიკში მდებარე ფრანგული ინსტიტუტის შენობას.**



№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

# რატომ აჯანყდნენ იმიგრანტები?

## 1968 წლის შემდეგ პირველი უდიდესი სამოქალაქო დაუმორჩილებლობა

*პარიზის გარეუბნებში ბოლო კვირეებში დაწყებული არეულობა ევროპის სხვა ქალაქებსაც მოედო. იმიგრანტების პროტესტი ვანდალურ ქმედებებში გამოვლინდა. მღელვარებათა ტალღას, რომელსაც არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერები და არ აქვს კარგად ჩამოყალიბებული მოთხოვნები, ფრანგულ საზოგადოებაში ღრმადაა ფესვგადგმული.*

მსგავსი ექსტრემალური სახით გამოხატული ამბოხებები საფრანგეთისათვის ნაცნობი და გავრცელებული ფენომენია. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, გასული ათი თვის განმავლობაში ფრანგული ქალაქების გარეუბნებში დაბალი ინტენსივობის ძალადობრივი მოვლენების დროს მთლიანობაში 28 ათასი მანქანა დაზარალდა, ძირითადად დაიწვა. მას შემდეგ კი, რაც



ამბოხი დაიწყო, მხოლოდ ერთი ღამის განმავლობაში 1400-მდე მანქანა ზიანდება.

ექსპერტთა შეფასებით, მიმდინარე მღელვარება არაჯანსაღი რასობრივი ურთიერთობებისა და ქალაქის გარეუბნებში არსებული მძიმე სოციალური პროცესების ერთობლიობის პროდუქტია. ამის ფესვები საფრანგეთის მთავარი ქალაქების გარეუბნების მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიების მიმართ ოცდაათწლიანი უყურადღებობის შედეგია. ამგვარ დასახლებებში არაკვალიფიციური ახალგაზრდა თაობები გაიზარდა. ისინი ძირითადად მეორე და მესამე თაობის იმიგრანტები არიან ჩრდილოეთ და საჰარის აფრიკიდან. ისინი ცხოვრობენ მძიმე პირობებში, სამუშაოს მიღების არანაირი პერსპექტივა არ აქვთ, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის მათი კრიმინალურ სამყაროში შეღწევისათვის.

იმიგრანტთა ინტეგრაციის ფრანგულმა მოდელმა დაძაბულობას ზედმეტი მუხტი შესძინა. საფრანგეთის ინტეგრაციის პოლიტიკა ფრანგულ საზოგადოებაში ინდივიდის ასიმილაციას ითვალისწინებს და არა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების განვითარებისათვის ხელშეწყობას. ამგვარ პირობებში, სადაც რასასა და რელიგიურ კუთვნილებას მნიშვნელობა არ ენიჭება, იმიგრანტებს თანაბარი შესაძლებლობის მიღების შანსი ეძლევათ. ფრანგულმა მოდელმა გაამართლა ადრეული იმიგრაციის პერიოდში, მაგრამ მან სირთულეები შექმნა პოსტკოლონიურ პერიოდში იმიგრირებულთათვის. დაბალანაზღაურებადიანი, ნაკლებად კვალიფიციური სამსახურების მოძიება [illegible] ლების სისტემა კი მეორე თაობის იმიგრანტებისათვის ვერ უზრუნველყოფს წარმატებულ კარიერულ წინსვლას. ამგვარი მიდგომის შედეგად აფრიკული წარმოშობის საშუალო კლასი ვერ ჩამოყალიბდა. შედეგად, მინიმალურია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკურ ინსტიტუტებში წარმომადგენლობა. ამიტომაც მათთვის პრაქტიკულად შეუძლებელია სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებში საკუთარი ინტერესების დაცვა.

საფრანგეთის გარეუბნებში ამბოხება 27 ოქტომბერს ელექტროსადენების ყუთში ორი თინეიჯერის სიკვდილმა გამოიწვია. თინეიჯერები ფიქრობდნენ, რომ პოლიცია მათ მისდევდა და თავი ელექტროსადენების ყუთს შეაფარეს, სადაც ეს უბედური შემთხვევა მოხდა. ამას მეამბოხეთა მიმართ საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის, ნიკოლას სარკოზის მწვავე განცხადებები მოჰყვა, რაც მთელმა იმიგრანტულმა, განსაკუთრებით მუსლიმურმა მოსახლეობამ საკუთარ თავზე მიიღო.

ჯერჯერობით არ არის დადგენილი თუ ვინ შეიძლება იყოს ამბოხების ორგანიზატორი, ისლამისტები თუ სხვა ჯგუფების წარმომადგენლები. მეჩეთებიდან და იმამების მიერ გაკეთებული განცხადებები მთავრობის კრიტიკას კი შეიცავს, მაგრამ ისინი ამბოხის შეწყვეტისაკენ მოუწოდებენ.

პირველი ათი დღისათვის მთავრობის რეაქცია შენელებული იყო. სარკოზი, რომელიც პრეზიდენტ ჟაკ შირაკისა და პრემიერ-მინისტრ დომინიკ დე ვილეპენის პოლიტიკურ მოწინააღმდეგედ ითვლება, ეულად იყო დარჩენილი. მისმა განცხადებამ, რომ იგი მეამბოხეების წინააღმდეგ ტოლერანტობას არ გამოიჩენს, ვითარების დარეგულირებას ვერ შეუწყო ხელი. წარუმატებელი გამოდგა ჟაკ შირაკის მოწოდება სიმშვიდისაკენ და ასევე წესრიგის დასამყარებლად პოლიციელთა დამატებითი ძალების გამოყვანაც.

მთავრობის პირველი სერიო[illegible]ული რეაქცია 7 ნოემბერს გამოჩნდა, როდესაც ვილეპენმა ღონისძიებათა პაკეტის შესახებ განაცხადა. მთავრობა გარეუბნების პრობლემების მოსაგვარებლად 5 მილიარდ ევროს გამოჰყოფს. მთავრობა პირობას იძლევა, რომ ადგილებზე 20 ათასამდე სამუშაო ადგილი შეიქმნება, გარეუბნების განახლების ბიუჯეტი 25 პროცენტით გაიზრდება, საშუალო სკოლებში 5 ათასი ახალი საკლასო ოთახი გაიხსნება, საგანმანათლებლო სტიპენდიები 100 ათას სტუდენტზე გავრცელდება, დახმარება გაეწევათ აკადემიურად ნაკლებად წარმატებულ მოსწავლეებს, ასევე გარეუბნებში დამატებით შეიქმნება 2000 პოლიციელის შტატი.

ვილეპენმა ასევე 1955 წელს მიღებული კანონის გადახედვის შესახებ განაცხადა, რომელიც პრეფექტებს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლებას აძლევს. ამგვარი ძალაუფლება ამიერიდან პრეფექტებს შეზღუდული პერიოდის განმავლობაში მიეცემათ. საინტერესოა, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ ალჟირთან კოლონიური ომის პერიოდში მიღებული კანონებით მოქმედება, ხელისუფლებისადმი მეამბოხეთა მტრულ დამოკიდებულებას სიმბოლურ მნიშვნელობას სძენს.

ახალმა კანონებმა მოკლევადიან პერიოდში გარკვეული ეფექტი უკვე გამოიღო. სამშაბათს ღამეს, წინა ღამესთან შედარებით (1173 მანქანა), 617 მანქანა დაზარალდა. პარიზის გარეუბნები შედარებით დამშვიდდა. თუმცა, სრული წესრიგის დამყარება გარკვეულ დროს მოითხოვს და იგი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ღონისძიებებს განახორციელებს მთავრობა.



იმ შემთხვევაში თუ ხელისუფლება ძალისმიერ ტაქტიკას აირჩევს და მეამბოხეთა შორის გაიზრდება დაპატიმრებულთა, დაშავებულთა ან მოკლულთა რიცხვი, მაშინ ამბოხის ხარისხი კვლავ საწყის დონეს დაუბრუნდება. ამ შემთხვევაში მთავრობას მხოლოდ რეპრესიების შემდგომი გაგრძელება მოუწევს.

მიმდინარე მღელვარებათა ტალღა, სავარაუდოდ, საფრანგეთის მმართველ პოლიტიკურ სპექტრს დაასუსტებს და ულტრა მემარჯვენეებსა და საფრანგეთის ისლამისტებს ახალ ენერგიას შესძენს.

ამბოხმა ხაზი გაუსვა შირაკის წარუმატებლობას, რომელმაც ვერ შეძლო საარჩევნო დანაპირების შესრულება, ვერ მოაგვარა სოციალური პრობლემები და ვერ აღმოფხვრა კრიმინალური ჯგუფების საქმიანობა. სარკოზის გადაყენება, რომელიც მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებში პრეზიდენტობის ერთ-ერთი ძლიერი კანდიდატია, მთავრობის უკიდურესი ღონისძიება შეიძლება იყოს. სარკოზის გადაყენებას მეამბოხეების გარდა, ყველაზე აქტიურად ფრანგი მემარცხენეები ითხოვენ.

იმიგრანტების წინააღმდეგ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებისაკენ მთავრობას მოუწოდეს ნაციონალისტური ფრონტის ლიდერმა ჟან მარი ლიპენმა და კონსერვატიული „მოძრაობა საფრანგეთისათვის“ ლიდერმა ფილიპ დე ვილერმა. გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობაში ამბოხისაგან გამოწვეული შიში, ულტრამემარჯვე პარტიების საარჩევნო წარმატებასაც შეუწყობს ხელს. ეს პარტიები მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას უჭერენ მხარს და ქვეყნიდან ემიგრანტების გაძევებას მოითხოვენ. აღსანიშნავია, რომ ანტისაიმიგრაციო რიტორიკის წყალობით, ჟან მარი ლიპენმა რამდენიმე წლის წინათ საფრანგეთში პოლიტიკური შოკი გამოიწვია და საფრანგეთის პრეზიდენტის არჩევნებში ჟაკ შირაკის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა.

ამბოხი მომავალში რადიკალურ ისლამისტურ ჯგუფებს ახალ შესაძლებლობებს მისცემს. შევიწროებულ ემიგრანტებს შორის, განსაკუთრებით გარეუბნებში, მათ უფრო გაუადვილდებათ თავისი ტერორისტული ქსელებისათვის ახალგაზრდა, ხელისუფლებაზე განაწყენებული მუსლიმი კადრების მოზიდვა. თუმცა, ყველაფერი ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ დასრულდება ამბოხი და რა შედეგს გამოიღებს ვილეპენის მიერ დაპირებული სოციალური ღონისძიებები.

მიმდინარე ამბოხი 1968 წლის მაისის ცნობილი მღელვარების შემდეგ, საფრანგეთში უდიდესი სამოქალაქო დაუმორჩილებლობის ფაქტია. ჯერჯერობით ამ ამბოხის დასასრული არ სჩანს. პირიქით, ევროპის სხვა დედაქალაქებშიც სოლიდარობის ნიშნად, მსგავსი მღელვარებებია. ამბოხი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საფრანგეთის ურთიერთობაზე საკუთარ ისლამურ მოსახლეობასთან, რომელიც ქვეყნის მთელი მოსახლეობის 7%-ს შეადგენს ამ მაჩვენებლით საფრანგეთი ევროპაში პირველ ადგილზეა. თუმცა, სანამ ურთიერთობაში სერიოზული გარდატეხა მოხდება, მანამდე ფრანგული ქალაქების გარეუბნები კვლავ ცეცხლის ალშია.

**მამუკა მკურნალიძე.**
**„საქართველოს რესპუბლიკის“ საერთაშორისო მიმომხილველი.**

## ◉ ჭრელი ამბები

### 340 მილიონი დოლარი მოიგო!

**ამ ამერიკელის გვარს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. არადა, რაღას აღარ ჰყვებიან მის შესახებ გაზეთები და ტელეარხები.**

**ჯეკპოტის ისტორიაში ორეგონის შტატის ამ მოქალაქემ გაუგონარი რეკორდი მოხსნა: ლატარეის ბილეთით მან 340 მილიონი დოლარი მოიგო. ამერიკელმა ერთბაშად ექვსი ციფრი ამოიცნო — 7, 21, 43, 44, 49 და 29. გაგიკვირდებათ: ყველა ამ ციფრის გამოცნობის ალბათობა 146 მილიონიდან ერთს შეადგენდა. თუმცა ამ გათამაშებაში აღმოჩნდა კიდევ 47 ბილეთი, რომელშიც პირველი ხუთი ციფრი სწორედ იყო მი-**



**თითებული და რომ არა ეს მათი იღბლიანი თანამემამულე, რომელმაც მთელი ბანკი მოხსნა, ამ კომბინაციის გამომცნობი 47 კაციდან, თითოეულს 200 ათასი დოლარი შეხვდებოდა.**

**შუა აგვისტოდან მოყოლებული, როცა „პაყერბოლის“ ლატარიის ხაზიდან ბოლო ჯეკპოტი ამოიღეს, ზედიზედ ოცი გათამაშების მანძილზე არავის არაფერი მოუგია. და აი, 340 მილიონი დოლარი! ყველა შტატში მოთხოვნილება ლატარიის ბილეთზე მკვეთრად გაიზარდა. ბევრი მოქალაქე ჩამოდის ორეგონაში „ბედნიერი ბილეთის“ საყიდლად. ამერიკის ტელევიზია ხომ ლატარიის ბუმს, რომ იტყვიან, ცეცხლზე ნავთს ასხამს. ამას წინათ, ABC ტელეარხით აჩვენეს სერიალი, სადაც ერთმა გმირმა 156 მილიონი დოლარი მოიგო და მას შემდეგ ციფრები 4, 8, 15, 16, 23 და 42, რომელმაც სერიალის გმირს ეს უზარმაზარი თანხა მოაგებინა, მუდმივად ფიგურირებს ლატარიის ბილეთებზე, თუმცა რაიმე წარმატება ამ ციფრებს ჯერ-ჯერობით არავისთვის მოუტანია.**

### ვალერი მელაძე

### სცენაზე და ცხოვრებაში



**შვიდი წარმატებული ალბომი, ოცზე მეტი ვიდეოკლიპი, ათასობით კონცერტი რუსეთსა და უცხოეთში (ბუნებრივია, აქ საქართველო არ იგულისხმება), ასეთი ნამსახურობითი ნუსხით ბევრი მომღერალი ვერ დაიკვეხნის. ვალერი მელაძე კი, მარტო ზემოჩამოთვლილის გარდა პრაქტიკულად თითქმის ყველა რუსეთის პრემიისა თუ ჯილდოს კავალერია.**

**სცენაზეც და ცხოვრებაშიც ვალერი მელაძე ნამდვილი მამაკაცია — რომანტიკული, ტემპერამენტული და ამასთან, ინტელიგენტური, რაც ბევრი ფსევდოპოპულარული არტისტისთვის, უბრალოდ, მიუწვდომელია.**

**ვალერი მელაძე თავისი თითოეული სიმღერით ამკვიდრებს იმ აზრს, რომ რუსეთელი მსმენელი იმაზე უფრო ჭკვიანი და გემოვნებიანია, ასეთად რომ ცდილობენ წარმოაჩინონ იგი პოპულარული მუსიკის „პრიმატიზაციის რბოლაში“ ჩაბმულმა პროდიუსერებმა.**

**ვალერი არ უფრთხის არც ექსპერიმენტებს, არც მოულოდნელ ნაბიჯებს. ამიტომ ყოველი მისი მომდევნო ნაბიჯი იმ სასიამოვნო მოულოდნელობებს შეიცავს, რითაც ასე მდიდარია მომღერლის საესტრაფდო ცხოვრება, რის გამოც უყვარს იგი ათასობით მაყურებელს. სწორედ მათ ამ დღეებში ეძლევათ იშვიათი შესაძლებლობა დატკბნენ თავიანთი კერპის გამოსვლით — კრემლის სასახლეში გაიმართება ვალერი მელაძის კონცერტი, რომელიც მიეძღვნება მისი სოლო კარიერის**

**გურამ პავლიაშვილი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №32

# ისტორია მეორდება

*საქართველოს ისტორიის ყველა ეპოქაში აქტუალობას არ კარგავს ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“. ამ ნოველის გამოძახილია ცნობილი საზოგადო მოღვაწის, მწერლის და მთარგმნელის, დიმიტრი ყიფიანის ვაჟის, მსახიობ კოტე ყიფიანის მეუღლის – ნინო ყიფიანის 1919 წლით დათარიღებული საარქივო ჩანაწერი.*

*„კვირაძალის საკითხავის“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ ხელნაწერის პირველ პუბლიკაციას.*

## საქართველო იქურდება!..

**ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენი მონობის შავბნელ დროს, გაჭედილი თეატრის სცენიდან ერთი ნაწარმოები ასეთი სათაურით მოგვესმა „საქართველო იყიდება“.**

პატარა სურათში გადმოცემული იყო, თუ როგორ ნაკუწ-ნაკუწ იგლიჯებოდა ჩვენი სამშობლო და ჩვენი მიწა-წყალი სხვის ხელში გადადიოდა.

იხ. მე-12 გვ.

# როცა საფლავების ბვისავენ...

**ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქალიშვილს, თამარ (ციცნა) ჩოლოყაშვილს სამუდამო გადასახლებამდე „112“-ე მუხლი წაუყენეს. ოფიციალური დოკუმენტები რუსულად იწერებოდა. ამიტომ ბრალდების მუხლი ისე იკითხება: „№ 112 за недонесене, ანუ ეს ნიშნავდა, რომ „ხალხის მტრებზე“ (თუნდაც საკუთარ მამაზე) ჩეკას გამოძიებას მან არავითარი ინფორმაცია არ მისცა.**

დღევანდელ საქართველოში, იმ ფონზე, როცა ასე წარმატებით ამუშავდა ე. წ. **„ჩაშვების ინსტიტუტი“,** კანონმდებლობას თურმე კიდევ ახალი „მარგალიტი“ უნდა შეემატოს: ანონიმურ დამსმენთა მასალების მიხედვით, საგამომძიებლო საქმის დაწყება... **ასე რომ, „ანონიმკების“ მწერალთა დრო დაბრუნდა, რაც განუკითხაობისა და რეპრესიებისკენ მიგვაქანებს...**

ცოტა არ იყოს, უცნაურია, რატომ გადაწყვიტა ჩვენმა ხელისუფლებამ ამ იდეოლოგიისგან სრულიად განსხვავებული პერსონის ხმამაღლა ხსენება, რატომ მოინდომეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნეშთის ლევილიდან თბილისში გადმოსვენება? რას უნდა ნიშნავდეს ეს რიტუალური ხასიათის ინიციტივა?

* * *

ცოტა რამ ისტორიიდან: **ქაქუჩა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი** პიროვნულად არცერთ პარტიას არ წარმოადგენდა. **ის უბრალოდ მებრძოლი იყო,** რომელსაც ენდობოდა მთელი საქართველო...

1914 წელს ავსტრიის ფრონტზე მძიმედ დაჭრილი ოფიცერი ჩოლოყაშვილი წმ. ნინოს ქართულ მონასტერში განიკურნება და ქართულ ცხენოსანთა რაზმს აყალიბებს.

**შალვა ამირეჯიბი წერს: „აქ მან შეასრულა თავისი შესანიშნავი რეიდი. თავისი ასეულით მან გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა. დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ის უკვე ქართულ ჯარში მსახურებს. მონაწილეა ყველა იმ ომისა და სამხედრო საქმეების, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.**

**1921 წელს, ეროვნული კატასტროფის დროს, როდესაც რუსთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა, ის საქართველოში რჩება... 1922 წელს მარტის 12-ს თავისი „საქართველოს შეფიცულებით“ ჩოლოყაშვილი ტყეში გადის. ეს ნიშნავდა ბოლშევიკურ რუსეთთან ომის გამოცხადებას...**

**28 აგვისტოს, ბედენის მთაზედ, „საქართველოს დამოუკიდელობის კომიტეტის“ თავმჯდომარემ კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.**

**ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დატოვეს. აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა, ისევ ფრიალებს და ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს. მისი სახელი სამუდამოდ გადაბმულია ქართველი ერის ისტორიასთან, დამოუკიდელობისათვის ბრძოლასთან და ამ ისტორიაში ის შევა, როგორც ბრწყინვალე ეროვნული გმირი!“**

* * *

შალვა ამირეჯიბი იმ მებრძოლთა სიაში იყო, ვინც ქაქუცასთან ერთად დატოვა სამშობლო. მან ოდესღაც პარტიის წევრობას, მოხსენებებით გამოსვლას და თვით პოეტობასაც „მებრძოლის“ ბედი არჩია... პიროვნულ თავმოყვარეობას უბრალო „მებრძოლის“ სახელით იკმაყოფილებდა... და ასე შეერწყა ერთმანეთს:

„პოეტის ქნარი მიბმული ყელზე
და მეომარის ბასრი მახვილი“...



ქაქუცას ყველა გადარჩენილი თანამებრძოლი 1930 წელს მის კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგა.. წირვა პარიზის ბერძნულ ეკლესიაში აუგეს...

**— დაკრძალვის დღეს მოზღვავებული ქართველობა ეკლესიაში ვერ დაეტია — იგონებს ალექსანდრე კარგარეთელი — მთელი ქუჩა ხალხით გაივსო. დამსწრეთა რიგში იყო თავისუფალ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, თავის მთავრობის შემადგენლობით; ყველა პოლიტიკური პარტიების მეთაურები და საქ. დამფუძნებელი კრების დეპუტატები; პარიზში მყოფი სამხედროები, მათ შორის, საზღვარგარეთიდან, ქართველ მხედართა დელეგატები, ჩვენი მეზობლების — სომხების, აზერბაიჯანელების და მთიელების დელეგაციები, დიდი შემადგენლობით, ყველა საზღვარგარეთული ქართული სათვისტომოს და ორგანიზაციების წარმომადგენლები და მთელი ქართველობა ქაქუცა ჩოლოყაშვილის პატივსაცემად და მის დასატირად მოსულნი... გამოასვენეს ქართული ეროვნული დროშით გადაფარებული ბელადის კუბო, ყვავილებით და გვირგვინებით პროცესია დაიძრა სენტუანის სასაფლაოსკენ... მთელმა ხალხმა ეს მანძილი — სრული ასი კილომეტრი ფეხით გაიარა“...**

სენ ტუანის სასაფლაოდან ქაქუცა შემდგომ ლევილში, ქართველთა სასაფლაოზე გადაასვენეს.... მის საფლავზე ფრანგული და ქართული წარწერაა:

„ქაქუცა ჩოლოყაშვილი – ეროვნული გმირი“.

* * *

**გუჩა კვარაცხელია არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი** — ჩემი აზრით, ჩვენი დიდი ეროვნული გმირი სხვა ქვეყანაში, თანაც ევროპაში, საფრანგეთში, თუ მარხია, გარკვეულად უკეთესიცაა, რადგან მას ყველა ნახულობს — აქედან გამომდინარე, ინტერესდებიან საქართველოს ისტორიითაც...

სამწუხაროდ, ისედაც არავინ გვიცნობს და გმირების საფლავები უცხოეთში ჩვენი სავიზიტო ბარათებივითაა. ისინი უფრო ბევრის მეტყველია, ვიდრე თანამედროვე ოფიციალური პირების სიარული საერთაშორისო ორგანიზაციებში.

დავანებოთ თავი საფლავებს... დაე, ჩვენი წინაპრები იყვნენ იქ, სადაც არიან და იქიდან დაიცვან ჩვენი ქართველობა...

საფლავების შეწუხება მკრეხელობაა რელიგიური თვალსაზრისითაც.

ასეთი ინიციატივები, როგორიცაა ნეშთების გადასვენება-გადმოსვენება, ვფიქრობ იმის საკომპენსაციოდ და ყურადღების გადასატანადაა გამიზნული, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საქართველოში არ კეთდება...

**ელდარ ნადირაძე (ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი)** — ერთ პერიოდში ჯავახეთიდან თბილისში მე-17 საუკუნის საკულტო ძეგლები გადმოიტანეს. ეს იყო დიდი შეცდომა. ამით ჯავახეთის ისტორიულ მემკვიდრეობას, შეელიენ, რაც შემდგომ შესანიშნავად გამოიყენეს სომხებმა.

ძეგლიც და საფლავიც, სადაც ოდესღაც არსებობდა, იქ უნდა დარჩეს. ძეგლიც და საფლავიც, ორივე ერთნაირად დროის და ისტორიის ზუსტი ნიშნებია და თავისი საკრალური მნიშვნელობა აქვთ. ძეგლი ისე, როგორც საფლავი, არსად არ უნდა გადაიტანონ, თუ მას არ ემუქრება წარღვნა, მსგავსი სტიქია ან რაიმე უბედურება.

როდესაც რეზო თაბუკაშვილმა მიხეილ თამარაშვილის ნეშთი გადმოასვენა, ეს გამართლებული იყო იმით, რომ მისი საფლავის ვადა იწურებოდა, ანუ ვინაიდან ფულს აღარავინ იხდიდა, საფლავს აუქმებდნენ...

ქაქუცა ჩოლოჩაშვილის ნეშთს მსგავსი არაფერი ემუქრება. საფლავების წაშლით ისტორია იშლება!

ეს არის ჩვენი პრეზიდენტის იაფფასიანი ტრიუკები. ვინაიდან მთავარ საქმეს ვერ აკეთებს, მეორეხარისხოვანზე გადააქვს ყურადღება, მაგრამ ხალხი არ ტყუვდება და ზუსტად იცის მის მოქმედებაში რამდენია გულწრფელობის კოეფიციენტი...

დღეს ასჯერ უფრო გამძაფრებულია სოციალური მდგომარეობა. ნამდვილი, დიდი რეფორმების ნაცვლად ცრუ რეფორმები კეთდება...

**ვფიქრობ, ქაქუცას ნეშთის გადმოტანა უპატივცემულობაა იმ ისტორიული დოკუმენტალიზმის წინაშეც, როდესაც ეროვნულ გმირს არ დაედგომებოდა საქართველოში... ქაქუცა ხომ იძულებული იყო გაქცეულიყო...**

სჯობს, იმაზე იფიქრონ, რომ ისტორია მეორდება. იფიქრონ იმაზეც, რომ ქართველი იძულებული არ გახადონ სამშობლოს ტოვებდეს...

* * *

1943 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაპატიმრებული ცოლი და შვილი ბარგით გამოიძახეს და სამუდამო გადასახლებისთვის ნათვლულის სადგურზე წაასხეს...

**— არავის აჩვენოთ, რომ პატიმრები ხართ. გაიღიმეთ და ჩვეულებრივი მგზავრივით მოიქეცით!** — უბრძანებია ციხის უფროსს..

მას მერე დიდი დრო გავიდა. სისასტიკის და სიყალბის არაერთი გამოვლენით ჩვენი საზოგადოების მოთმინების ფიალა აივსო...

უკეთესი დღეების მოლოდინში თავაზიანად ველარ გავიღიმებთ, რადგან თვალსაწიერზეც არ ჩანს, როდის დადგება ის უკეთესი დროება...

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

# საქართველო იქურდება!..




(მეთერთმეტე გვერდიდან)

კარგად მახსოვს, მარტო ერთი სათაურის გაგონებაზე, მანამდე რაღაც ვოდევილით აჟრიამულებული ხალხი უცბად რა მკვდარ სიჩუმემ შეიპყრო და თანდათან სურათის გაშლის დროს ყველა ჩვენგანი როგორ მოიკუმშა და თავი რა მწარედ ჩაქინდრა.

მას აქეთ განვლო კარგა ხანმა და ცვლილებაც განვიცადეთ. თუ იმ დროს ვისმე ჰქონდა ნება და თან წაქეზებაც, რომ ჩვენი მამული ნაჭერნაჭერ უცხოელებზე გაეყიდა, დღეს ჩვენ თავისუფალი ერი ვართ და საჭე ამ თავისუფლებისა ხალხს ჩაჰბარდა, ხალხზე მიდგა მისი ბედი...

მაგრამ ამისდა მიუხედავად, ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მოვლენის წინ, ის ზარდამცემი შთაბეჭდილების სურათი დღეს თვალწინ ცხადად მეხატება. შინაარსით თითქმის იგივეა, შეცვლილია მხოლოდ სათაური და მოქმედნი პირნი: **„საქართველო იყიდება“** მაგიერ **„საქართველო იქურდება“** აწერია და გამყიდველებად რომ მემამულენი იგულისხმებოდნენ, გამქურდველებად **„რევოლუციონერი“ დემოკრატები** გამოდიან.

დიახ, **საქართველო იქურდება, იქურდება და იტაცება საქართველოს ქონება თითქმის ყოველი დაწესებულებიდან, სადაც კი არსებობს ეს ქონება,** ფუთობით, თოფობით თუ ბითუმად. მიდის და მიდის დამშეული, გაშიშვლებული **ხალხის ხელიდან აუარებელი ქონება და გადადის უცხოთა ხელში, მათდა სასარგებლოდ და ამ ბოროტების ჩამდენ რამდენიმე ათეულისა თუ ასეული მოხელის საკეთილდღეოდ!**

მესმის ქურდობის ეს ვაკხანალია, შეჯიბრება იმაში, თუ რომელი მათგანი უფრო მეტად გასძარცვავს თავის ხალხს, რომელი უფრო მეტად გაისქელებს ჯიბეს და შიშსა მგვრის, რომ მათმა ასეთ აღვირახსნილობამ ერთხელ ქართველ ხალხს ქურდის სამარცხვინო დაღი არ დააკრას!

ნეტა როდის მოეღება ამას ბოლო?! როდის განიგდება ეს ახალი გადამდები ჭირი?! როდის მოვა გონს ქართველი კაცი, რომლის დახასიათება, როგორც მამაცის, თავმოყვარის, კეთილშობილის, რაინდის სულით — ყველასაგან ცნობილია და როგორც ქურდისა კი დღემდის არავის არა სმენია!

ამის ახლო ნიშნები ჯერ არსაიდან არ სჩანს და აი, მალე ვიდღესასწაულებთ ჩვენი დამოუკიდებლობის, თავისუფლების დღეს, მაგრამ მე კი ვგრძნობ, რომ **მონობის დროსაც თავმოყვარეობა ჩვენი ასე არ დამცირებულა, სვინდისი ჩვენი ასე არასდროს არ შელახულა!**

# „გრძნობა…

**ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებით კიტა აბაშიძემ შემაძრწუნებელი სიტყვები წარმოსთქვა: „ქართველი ერი ამ მოქმედებით წყეულ ერთა რიცხვში ჩაეწერა“.**

იქვე გაიხსენა ქრისტეს ჯვარცმა და შხამიც, საკუთარმა თანამემამულეებმა რომ ასვეს ბრძენ სოკრატეს...

„ერი, რომელიც თავის დიდებულ კაცს ჰკლავს, მორიელია, თავისივე შხამით თავს რომ იწამლავს. ამიტომაც ურიასტანი მოისპო, საბერძნეთი დაემხო და ქართველმა მოჰკლა ქართველი ერის სული... **დიდებული კაცი ერისა არის მისი სული... ეს ფაქტი მაჩვენებელია იმისა, რომ ქართველი ერი უკურნებელი სენით არის ავად და მისი დღეები დათვლილია...** მოჰკლა და მერე პარადი გააკეთა. მოძღვრის დასაფლავებაზე... იტირა — ვინ? სამძიმარი გამოუცხადა — ვის? ნუგეში სცა — ვისა? განა, არ იცოდა რა ხდებოდა იმ დღეს? ამ დღეს ქართველმა ერმა თავისთვის საფლავი გათხარა“...

მრავალი წლის მერე ასეთივე უმკაცრესი განაჩენი გამოგვიტანა გრიგოლ რობაქიძემ: **„მე იმ ერს არ ვენდობი, რომელმაც ილია მოჰკლა!“...**

ილიას გათხრილ სამარესთან შურისძიების და მიტევება-არმიტევების საკითხიც დაისვა:

„მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს — ილიას ხსოვნას შურისძიება არ ეკადრებაო. დიახაც, ეკადრება“ — თქვა **მიხაკო წერეთელმა.**

ქალაქში გავრცელდა პროკლამაციები: — „ქართველებო, ნუ ვაპატიებთ ნურავის ასეთ საშინელ შეურაცხყოფას. ნუ მოვიჭრით თავს ქვეყანაში! მხოლოდ საშინელი შურისძიებით შეიძლება ამ იუდობის ბეჭდის ჩვენი შუბლიდან მორეცხვა! ხელი ხმალს იკარ, ქართველო! ქართველებო, კმარა ამდენი მოთმინება! აღივსო მოთმინების ფიალა. ვინც უნდა იყოს ილიას მკვლელი, გარეული თუ შინაური, დაჰკარ, ვაჟკაცო, გულცივად და შეუბრალებლად. კმარა ამდენი სილაჩრე, აზრით, მოქალაქეობით და იარაღით!“..

მკვლელებს **„მეოცე საუკუნის ჰეროსტრატები“** უწოდა, მაგრამ სრულიად განსხვავებული აზრი გამოთქვა **ვაჟა-ფშაველამ:** „როგორ მოვექეცით ამ უბედურებს? ნუთუ ისე, როგორც გვირჩევს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველებისადმი: ცეცხლი და მახვილი მკვლელებსო. ესღა გვაკლია, რომ ბარბაროსობას კიდევ სხვა ბარბაროსობა დავურთოთ... ვხოცოთ, ვჟლიტოთ ერთმა მეორე და გავახაროთ ისედაც ჩვენის უბედურებით გახარებული მტერი? სისხლი სისხლისთვის, ცოდვა მივუმატოთ ცოდვას?!... **ამ პირუტყვებზე როგორ ვიძიოთ შური ისე, როგორც ადამიანებზე.** ეს ხომ ჩვენივე სირცხვილია, ჩვენის ადამიანობის დამცირება?!..“

* * *

ქართველების აზრი ორად გაიყო: **მიტევება თუ შურისძიება?** აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტიცაა გასათვალისწინებელი: არ არსებობდა ბოლომდე ჩამოყალიბებული აზრი, თუ ვინ იყო მკვლელობის შემკვეთი. შემსრულებლებზე შურისძიებას კი ალბათ დიდი მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, მაგრამ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველი ერის რეაქცია? ნუთუ მხოლოდ გლოვა? მკვლელობის კვალი სოციალ-დემოკრატებთან მიდიოდა. მაგრამ ვინ იდგა მათ უკან? სცენარში, რითაც ილიას მკვლელობა

# ქართული ალბომი



რა არის დრო? რეალურია თუ წმინდა აბსტრაქციაა, რომელიც მხოლოდ ცნობიერებაში არსებობს და სწორხაზოვნად, წარსულიდან მომავლისკენ მიემართება?..

იქნებ დრო სინამდვილეში თავისი საბოლოო ფორმით არსებობს და აღინიშნება სიტყვით: „მარადისობა?“

იქნებ დრო მხოლოდ სუბიექტური ჭვრეტის საგანია და კონკრეტულ სუბიექტთან ერთად ქრება და იკარგება? ბრუნდება თუ არ ბრუნდება უკან დრო?..

ვხედავთ, რომ დრო ისევე გვშორდება, როგორც ჩვენივე წარსული... როგორც წინაპრების ულამაზესი, მშვიდი სახეები და სახელები, მათი ღირსებით სავსე ცხოვრების სტილი და განუმეორებელი იერი...

„წინაპართაგან წასულა ყველა!..“ მაგრამ სად წავიდნენ ისინი, გენეტიკურად და სულიერად ახლობლები... რატომ ვერ ვემსგავსებით მათ?..

შეჩერებული კადრის სიზუსტით გვიმზერენ ძველი ფოტოები... ხანდახან გვეჩვენება, რომ ამ დახვეწილ, დაფიქრებულ სახეებს ჩვენთვის რაღაცის შეხსენება სურთ...

იმისთვის, რომ არ გაწყდეს სიმი წარსულსა და აწმყოს, ჩვენსა და მათ შორის, შეუფარავი სიამაყით ვიხსენებთ მათ — წინაპრის სახელით რომ მოვიხსენიებთ...

„კვირამალს საკითხავი“ გთავაზობთ ახალ რუბრიკას „ქართული ალბომი“... აქ, როგორც წარსულის ტერიტორიაზე, შევხვდებით ერთმანეთს...



პეტრე დარისპანი-ძე წერეთელი
1860 — 1933

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

# ერთი ღალატის ცნობისა"...

## 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადების დღე იყო




მზადდებოდა, უამრავი ადამიანი მონაწილეობდა. თავად ასოციალური გლეხებიც, ინტელიგენციაც... მათი დაუსჯელობის მსგავსი სინდრომი ჩვენს უახლოეს ისტორიაშიც არაერთხელ განმეორდა.

და მაინც, შურისძიება თუ მიტევება?

* * *

ჩვენ წინაშეა ერთი გაყვითლებული ხელნაწერი. ფურცელზე ხან მელნით, ხან ფანქრით ნაწერი, ჩასწორებებით, ზოგან შეწყვეტილი აზრით, შემდეგ ისევ მიბრუნებაა დაწყებულ ფიქრთან. სათაური პირობითია: „სიკვდილისათვის". ეს არის ილიასეული ავტოგრაფი — მოკლე კონსპექტი სანკტ-პეტერბურგში, სახელმწიფო სათათბიროზე წარმოსათქმელი სიტყვისა... ილია იქ გამოსვლისთვის ემზადებოდა...

„კანონის სათავე ცხოვრებაა, მაგრამ არც უიმისობაა, რომ კანონი არ მოქმედებს ცხოვრების ავკარგიანობაზე. აქ ერთმანეთის ზეგავლენა უეჭველია" — ეს ილიას პუბლიცისტური წერილიდანაა, გაცილებით ადრეა დაწერილი და მნიშვნელოვანია მისი მსოფლმხედველობის ეტაპობრიობის დასადგენად. „თუ ცხოვრება სწვრთნის კანონს, კანონიც ცვლის თვით ცხოვრებასა და, მაშასადამე, საზოგადოებასაც, ერსაც. სათნოებათა არა ქმნა კი უსათუო ნიშანია იმისა, რომ ერი ქვეყნის ზურგიდან ასაგველად გამზადებულა"...

დავით ალმაშენებლის ისტორიკოსი **„შემცოდეთა წყალობით წვრთნაზე"** მოგვითხრობს ვინაიდან კანონის დამძიმებით **„შეცოდებულთა გარემიაქცევენ სინანულისგან"...**

თამარ მეფის დროინდელი მემატიანე გვამცნობს, რომ სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, თამარმა აკრძალა სიკვდილით დასჯა და ადამიანის დამასახიჩრებელი, ღირსების დამამცირებელი სასჯელები. ლაშა გიორგიც დედასთან ერთად მთლიანად გამოხატავს რენესანსული საქართველოს იურიდიულ შეგნებას...

და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ილია ჭავჭავაძემ იცის და იზიარებს...

1907 წლის სახელმწიფო საბჭოს სხდომის მოწვევამდე რუს დეპუტატთა შორის ფრიად სკეპტიკური აზრი გამოითქვა: „კეთდება პათეტიკური განცხადებები... რომ თითქოს სიკვდილით დასჯის მოსპობა სურთ. ამავე დროს არ შეიძლება არ გავიხსენოთ სისხლისღვრები ბაქოში, ტფილისში... ხოცვა-ჟლეტა მუსულმანებთან და სომხებთან, ჩეჩენ-ინგუშთა წეს-ჩვეულებანი და აქვე ღიმილის გარეშე არ მივიღოთ კავკასიის წარმომადგენელთა განცხადება, რომ მათი წარგზავნილები სახელმწიფო სათათბიროზე გამოვლენ ადამიანთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ (პროფესორი ნ. ს. ტაგანცევი).

* * *

**„ბრძნობაც ერთი დარგია ცნობილისა და საჭიროა, როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე..."** — ამ არაჩვეულებრივი ფრაზით იწყება ილიას კონსპექტი **„სიკვდილისათვის"...**

ახლოვდებოდა 1907 წელი...

და იყო აქ რაღაც წინასწარმეტყველური... („გთხოვ, შეუნდე, არ იციან, ღმერთო, რას იქმან"...) ილია ჭავჭავაძე თავისი სიტყვით სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი არა მარტო სკეპტიკოსთა გასაგონად, არა მარტო სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გამოსასვლელად, არამედ თითქოს საკუთარი სიკვდილისთვის ემზადებოდა...

**„სიკვდილით დასჯა** — წერს მოხსენების კონსპექტში — **აჩლუნგებს გრძნობას ბუნებრივს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით კი თვალიც ეჩვევა და გრძნობაც... ახლა სიკვდილი ჩვეულებრივი რამ ამბავია... ის არყევს ზნეობას, ართმევს მას, რისი მოცემაც არ შეუძლია... ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე... საბუთად მოყვანა იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას, არაფერს არ მოასწავებს, რადგან დანაშაულის სიმრავლე ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული.**

აქედან ხელნაწერი გრძელდება რუსულად: „Группа, ставящая для себя этот вопрос слишком малочислена, чтоб произвести какое-либо впечатление, какого-либо затешательство среди огромного болъшинства осталных. Я не так прост, чтобы полагать чтобы уход наш..."

აქ ხელნაწერი წყდება. მოვლენათა შესაძლო ლოგიკა კი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ილია ჭავჭავაძემ იცის, რომ დემონსტრაციული ჟესტი სახელმწიფო საბჭოს დატოვებისა მხოლოდ გაუზიარებელ პროტესტად დარჩება „უდაბნოსა შინა": ის დიდ ცვლილებებს არც მოელის („Я не так прост, чтобы палагать"), მაგრამ თავს მაინც ვალდებულად თვლის გამოვიდეს სიტყვით და საჭირო შემთხვევაში უმრავლესობას დაუპირისპირდეს („ხმები კი არ უნდა დაითვალოს, უნდა აიწონოს..." — ილია ჭავჭავაძე.)...

* * *

გადის ძალიან ცოტა დრო და პეტერბურგში ჩასული კიტა აბაშიძე, რომელიღაც რუსულ გაზეთში, თავზარდამცემ ინფორმაციას წააწყდება: „ტფილისის მახლობლად სასიკვდილოდ ესროლეს სახელმწიფო საბჭოს წევრს თავად ი. ჭავჭავაძეს და მოკლეს მსახური"...

პეტერბურგის სახელმწიფო საბჭოს სტენოგრაფიული ანგარიშების მიხედვით, საკითხი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ დღის წესრიგში აღარავის გამოუტანია (თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ შემორჩენილი ანგარიშები დაბეჭდილია ხარვეზით)...

ერთი წლის შემდეგ კი პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებამ, მათ შორის, ე. წ. „ზაპადნიკებმა" გადაწყვიტეს დაეარსებინათ დასავლეთ ევროპის ადეკვატური ორგანიზაციების ანალოგი ლიგა — სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ.

ლიგის დაარსება მიეძღვნა **ლევ ტოლსტოის** იუბილეს და დიდი მწერლის ჰუმანურ იდეალებს. **„ილაპარაკეთ მხოლოდ იმაზე, რაც ადამიანში სიკეთეს ამკვიდრებს"** (ლ. ტოლსტოი).

„მისთვის სიკეთის სამსახური არათუ ტვირთია, არამედ განთავისუფლებაა ყოველგვარი ტვირთისგან. ტოლსტოიმ შეუმცდარად დაინახა საით უნდა წავიდეს. (ლ. შესტოვი).

1881 წელი. ლევ ტოლსტოი წერს წერილს იმპერატორ ალექსანდრე მესამეს (ლ. ტოლსტოი. თხზულებათა კრებული, ტ. XVII), თხოვნით, აპატიოს ტერორისტთა ჯგუფს მამის, ალექსანდრე მეორის მკვლელობა:

იხ. მე-14 გვ.



პეტრე წერეთლის ოჯახი: არჩილ ,დავით, კონსტანტინე, ნიკალა, მამია, იასონ, ოლია წერეთლები.

# დავიწყებული სახელები

**„პროვინციის კულტურტრეგერები" უწოდა გერონტი ქიქოძემ მსახიობ ევტრაფი თალაკვაძეს და მხატვარ ვლადიმერ მალაზონიას, როცა მათ იუბილეზე, ოზურგეთის (მახარაძის) თეატრის სცენაზე ავიდა.**

**ეს იყო 1954 წლის 18 დეკემბერი (ეს სიტყვა მწერლის პირად არქივშია დაცული).**

...„ჩვენს სამშობლოს საქართველოს და კერძოდ გურიას, დიდი კულტურული ტრადიციები აქვს.

ანტიკურ პერიოდში ჩვენი სამშობლო იმდროინდელი მოწინავე ერების ბერძნების, რომაელების კულტურულ წრეში შედიოდა. ამას, სხვათა შორის, ამტკიცებს ურეკის არქეოლოგიური გათხრებიც...

როგორც არქეოლოგიური გათხრები, ისე წერილობითი ცნობები ადასტურებენ, რომ ქართველ ერს ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ პერიოდში ჰქონია ამფითეატრები...

თუ დღეს ზოგიერთი ქართველი მსახიობი ისე საუცხოოდ თამაშობს ოიდიპოს მეფის ან ანტიგონეს როლს, ეს ისტორიული ტრადიციითაც უნდა აიხსნებოდეს.

მარტო ქალაქმა მახარაძემ ქართულ თეატრს რამდენიმე შესანიშნავი მოღვაწე მისცა: ალექსანდრე წუწუნავა, მისი დები ეველინა და ცეცილია, ასევე სესილია თაყაიშვილი.

გავიხსენოთ ვალერიან შიუკაშვილი, რომელმაც ხელი შეუწყო თეატრალური რეალიზმის განმტკიცებას, როგორც დრამატურგიაში, ისე მსახიობის ხელოვნებაში..."



გურიის კულტურული ტრადიციების და ხელოვნების სხვადასხვა დარგების მომიხილვის შემდეგ გერონტი ქიქოძე ისევ იუბილარების მოღვაწეობას უბრუნდება და მათ ღვაწლს ზოგადად თეატრის ზნეობრივ მნიშვნელობასთან ანზოგადებს. მოწიწებით ახსენებს მათ პიროვნულობას.

„ისინი თეატრს უცქერიან არა როგორც მარტოოდენ გასართობს, არამედ დიდ აღმზრდელობით როლს ანიჭებენ. მათთვის სცენა ისეთივე წმინდა ადგილია, როგორც ძველი მორწმუნეებისთვის საკურთხეველი იყო. ამიტომაც ხალხი თავის მხრივ, მათ ისევე უცქერის, როგორც ჩვენი წინაპრები მოგვებს უცქეროდნენ"...

**საერთოდ, ცნობილია გერონტი ქიქოძის აზროვნების ლაკონიზმი და ზედმეტი სიტყვებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება. აღმატებულ შეფასებებს ის იშვიათად წარმოთქვამდა.**

**შემოინახა თუ არა თეატრის ისტორიამ, ახსოვს კი ვინმეს პროვინციის ეს ორი მოღვაწე? ჩვენ მათი ფოტოებიც ვერ მოვიძიეთ...**

**ნუთუ, ასე უკვალოდ იკარგება ადამიანის სახელი? იქნებ ვცადოთ და ასეთი დავიწყებული მოღვაწეები ამოვიყვანოთ დროის ლაბირინთებიდან. გამოგვეხმაურეთ.**

# „ვინმეს რომ მაშინ ეთქვა“...

(მეცამეტე გვერდიდან)

**„ვფიქრობ: ხომ შეიძლება, არ დაწერო და მერე გაიგო, რომ არავის უთქვამს მეფისთვის ის, რაც შენ უნდა გეთქვა... და შემდგომ, როცა შეუძლებელი იქნება რაიმეს შეცვლა, მეფე იფიქრებს და იტყვის: „ვინმეს რომ მაშინ ეთქვა“...**

**...ვითხოვ თქვენგან ჯერ კიდევ უმაგალითო სულიერ ძალას... რომ თქვენ, რუსეთის მეფემ, გარემოს ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, მოსიყვარულე შვილმა, მამის მოკვლის შემდეგ აპატიოთ მკვლელებს და სიკეთე მიაგოთ ბოროტების წილ...**

**არ ვისურვო, ეს არ შემიძლია... ეს და მხოლოდ ეს უნდა გააკეთოთ“...**

წერილი უპასუხოდ დარჩა, მაგრამ ს. ა. ტოლსტაიას მოგონების მიხედვით, მეფეს უბრძანებია, გადაეცათ გრაფ ტოლსტოისთვის, რომ საკუთარ თავზე თავდასხმას შეუნდობდა, მაგრამ არ ჰქონდა მამის მკვლელების შენდობის უფლება.

გადის დრო. 1907 წლის 30 აგვისტო. ილია ჭავჭავაძე მოკლეს.

და მერე ხდება ის, რასაც ლევ ტოლსტოის განხორციელებული იდეალი შეიძლება ეწოდოს. **ოლღა გურამიშვილი** შუამდგომლობას აღძრავს თბილისის გენერალ-გუბერნატორთან:

**„სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა ჩემთვისა და მთელი საქართველოსთვის ძვირფასს ილია ჭავჭავაძის სამ მკვლელს. სიცოცხლეში ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სულიერი ძალ-ღონე, ღვთის მიერ მასზე მოვლენილი მაღალი ნიჭი შესწირა ადამიანის სულში ადამიანური გრძნობის, კაცთა შორის სიყვარულის განმტკიცებას. მე ღრმად მწამს, დღეს რომ ჩემი ქმარი ცოცხალი იყოს, შეუნდობდა იმათ, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს იგი და თავის უბედურ გზააბნეულ ძმებად მიიჩნევდა. დღეს კი ჩემი ქმრის ხსოვნა საქართველოს ერის სულიერ ცხოვრებაში იმის მკვლელთა სიკვდილით დაიჩრდილება... მოგმართავთ თქვენ გულწრფელისა და მხურვალე თხოვნით: ნუ დაამტკიცებთ სასამართლო განაჩენს ამ უბედურთა სიკვდილით დასჯის შესახებ. თვით მე მხოლოდ შემთხვევით გადავრჩი სიკვდილს... რათა დავაბოლოო ის ღვაწლი კაცთა მიმართ მხურვალე სიყვარულისა, რომელსაც ჩემმა ქმარმა მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა — შევუნდო იმ უბედურთ, გზააბნეულ მოყვასთ, რომელთაც თვით ის შეუნდობდა“...**

გაზეთმა **„რუსსკიე ვედომოსტმა“** აღფრთოვანებული სტატია უძღვნა ამ ფაქტს: **„როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის: მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს, საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც იგი მხეცურად დასჭრეს, ევედრება მთავრობას: სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებს. აქამდე ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდისო, ახლა უნდა ვსთქვათ, ზნეობრივმა მზემაც აღმოსავლეთიდან — საქართველოდან აღმოაშუქა...“ (ივ. გორბუნოვ-პოსადოვი, გამომცემლობა „პასრედნიკის“ ხელმძღვანელი, ლევ ტოლსტოის მეგობარი და თანამოაზრე).**

ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ლევ ტოლსტოი წერს ივ. გორბუნოვს: **„წავიკითხე თქვენი მშვენიერი სტატია... როგორი ამაღელვებელია... საიდან იცით თქვენ ჭავჭავაძეების შესახებ და როდის მოხდა ეს?!..**

**„ეს წერილი საოცარია!** — ეტყვის შემდგომში ლევ ტოლსტოი ექიმ მაკოვსკის — **ეს პასუხია კითხვაზე: „თქვენ რომ მოეკალით?!“...**

* * *

**არტურ ლაისტის** მოგონებიდან: „არ მიფიქრია, რომ უკანასკნელად ვნახავდი ჩემს ძვირფას მოხუც მეგობარს... ილია დაღონებული იყო, ჯანის სისუსტეს უჩიოდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დატრიალებულ ამბებზე ფიქრობდა... სხვასთან ყოფნის და ლაპარაკის წინანდებური ხალისი აღარ ჰქონდა... ბოლო დროს ხშირად ხმარობდა სიტყვას **„უმადურობა“...**

* * *

**რატომ** აღელდა, რა არ მოეწონა კიტა აბაშიძეს, როცა ილიას, მართლაც, დიდებულ დასაფლავებას, უთვალავ გვირგვინს და დაუსრულებელ სამგლოვიარო პროცესიას უმზერდა?... ალბათ ისიც, რომ იმ ზღვა, დაღონებული ხალხიდან ცოტა ხნით ადრე არ აღმოჩნდა არც ერთი ადამიანი ილია ჭავჭავაძეს გვერდით რომ დადგომოდა... არ აღმოჩნდა არც ერთი კაცი, თუნდაც იმ ცილისმწამებლურ, სალანძღავ წერილებზე ეპასუხა, ასე უცერემონიოდ რომ იბეჭდებოდა პრესაში...

საოცარია ის აგდებული ტონიც და მდაბიო „შაირების“ მაგვარი პოლემიკა, რითაც ერის მამას, დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობის ავტორს, ამასთანავე უკვე მოხუც პოეტს მოიხსენიებდნენ:

„ქათამმა თხარა, თხარა და მისი დასაკლავი დანა გამოთხარაო“... (**ეს „ქათამი“ ფილიპე მახარაძის აზრით, ილია ჭავჭავაძეა**)...

„ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვასა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ მალმიძს, ძმანო ვერსით გაძლება“...

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სრულიად მარტოდმარტო დარჩა... თითქოს რაღაც საიდუმლო ცოდნას ატარებდა მისი მოწყენა და სიმშვიდე. თითქოს იცოდა, რომ არაჩვეულებრივი სიკვდილისთვის ემზადებოდა“...

„იმ წუთებში, როცა უდიდესი ქართული აზრი ტოვებდა თავის სამყოფელს, — წერს აკაკი გაწერელია, — ქართული ინტელიგენცია, როგორც მორალურად მთლიანი ერთეული არ არსებობდა“...

**სწორედ იმის გამო, რომ ინტელიგენცია, თავისივე თვისებების გამო, არ გახლავთ შეუვალი ერთობა, მისი საზღვრები ბრბომ უცერემონიოდ გადალახა და ეს სისხლის აღრევასავით სტიქიური პროცესი უმართავი გახდა...**

**ბრბოდ ქცეული, სალდაფონური ინტელიგენცია, საქართველოს სხვა საბედისწერო თარიღებშიც მიიღებს მონაწილეობას და დამარცხებული ყოველთვის ერის სული აღმოჩნდება... ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა.**

**ნინო ხოფერია**





# „ქართველებს გრძელი ბრძოლები არ უყვართ“...



**ერთ დროს ჩვენს თანამოსაუბრესთან ერთად ვცხოვრობდით ერთიან სახელმწიფო სივრცეში. ახლა ის უცხოელი გახდა, თუმცა კულტურული ურთიერთკავშირები არ შეწყვეტილა...**

ლევან ზაქარეიშვილს მსოფლიოში იცნობენ. იმისი ბოლო სურათი **კანში უჩვენეს. დსთ-ისა და ბალტიის ღია ფესტივალზე „კინოშოკი“ ქართველი რეჟისორის ფილმმა „თბილისი-თბილისი“ პრიზი დაიმსახურა საუკეთესო რეჟისურისათვის. ბაქოში შემდგარ ფესტივალზე, „აღმოსავლეთი-დასავლეთი“, კი მთავარი როლის შემსრულებელი გიორგი მასხარაშვილი წარმოაჩინა.**

***— ლევან, მოდით, ჯერ უბრალოდ თბილისზე ვილაპარაკოთ.***

— ყველა ნორმალური ადამიანის მსგავსად, მე მიყვარს ჩემი ბავშვობის ქალაქი. მთაწმინდის რაიონში დავიბადე, მერე რამდენჯერმე შევიცვალეთ საცხოვრისი და იმ რაიონში აღმოვჩნდით, სადაც „თბილისი-თბილისია“ გადაღებული. ახლა ჩემს მშობლიურ ქალაქში ეულად დგას ვაგონი, რომელსაც „თბილისი-თბილისი“ აწერია, მე კი ის ქალაქი მიყვარს, სადაც ბევრი მატარებელი ჩამოდიოდა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, რიგიდან, ასეთი თბილისი მუდამ მიხარებდა გულს. არ მინდა იმ ქალაქში ცხოვრება, რომელიც თვალწინ კვდება.

***— რომელი სენისგან უნდა განიკურნოს ყველა ჩვენგანი, დაბრუნება რომ შესაძლებელი გახდეს?***

— აგრესიისგან. ეს განკურნებადია, ოღონდ დიდხანს მოგვიწევს მკურნალობა, რომ გამოჯანსაღებულებმა კვლავ შევიყვაროთ ერთმანეთი. არ მეეჭვება, რომ ასეც იქნება, თუმცა ეგებ ჩვენ ვერც მოვესწროთ.

***— სტრუქტურულად თქვენს „თბილისი-თბილისში“ ყვებით მოთხრობის გმირის რეალურ ცხოვრებასა და სიზმრებზე. ამ სიზმრებში ნებისმიერი ისტორიის შემოსვლა შეიძლებოდა...***

— მაგალითად, იმ მუნჯი და ბრმა კაცის ამბისა, რომელმაც ღირსეულად განვლო ცხოვრება კვარტალში, სადაც იმას ყველა იცნობდა, პატივსა სცემდა, ეხმარებოდა. ერთხელაც ეს კაცი მიხვდა, რომ მხოლოდ წარსულით ცოცხლობს და პატივსაც წარსულის გამო მიაგებენ, მომავალი კი უკვე აღარასოდეს ექნება. მიხვდა და ფანჯრიდან გადაეშვა. ეს ყველაფერი გადაღებულიც იყო, მაგრამ სურათში არ შესულა. ერთობ მანერული გამომივიდა და მასალაზე უარი ვთქვი...

***— თქვენს წინანდელ ნამუშევრებში თუ შეცვლიდით სადღეისოდ რაიმეს?***

— არ მიყვარს ჩემი ფილმების ყურება, ყოველთვის სირცხვილი მიპყრობს ხოლმე. ბევრ რამეს ხელახალ მონტირებას გავუკეთებდი, მაგრამ მეზარება...

***— ძველი ქართული კინო არც ერთ სხვაში არ აგერეოდა. არა გაქვთ შეგრძნება, რომ ერთხელაც ყველაფერი ნორმალური ყოფის ჩარჩოებში დაბრუნდება, ოღონდ ასეთი ხასიათის, ასეთი ინდივიდუალობის კინოს საქართველო ველარასოდეს მიაღწევს?***

— დარწმუნებული ვარ, სხვა ინდივიდუალობა მოვა. დროსთან ერთად მუდამ იკარგება რაღაცა, ჩვენ დავკარგეთ ძველი ცხოვრება, მაგრამ ხომ მოვიდა ახალი.

***— ჰო, ოღონდ როგორი იქნება ახალი ქართული კინო, თქვენ როგორ გგონიათ?***

— პატიოსანი და ავი. სიავეში როდი ვგულისხმობ მოღრეცილ სახეებსა და მოღერებულ მუშტებს. იმ კინოზე ვლაპარაკობ, სადაც ნახევარი კი არა, სრული სიმართლე გამოჩნდება, წმინდა, შიშველი, როგორც ანტიკური ქანდაკება, როგორც დავითი.

***— თქვენი სურათი საკმაოდ მკვეთრია, ეგებ დაუნდობელიც. რამდენად შესძელით ქართული ხასიათის შესახებ მბობა? ცოდვა გამხელილი სჯობს და, თქვენ ხომ ამ ფილმით ზოგჯერ გვიცვლით იმაზე წარმოდგენებს.***

— რთული შეკითხვა დამისვით... დასაწყისში ჩვენთვის ჩვეულ დოყლაპიობას ვახსენებ. თუმცა გაუთავებელი სუფრისადმი მიდრეკილთ, აფეთქების უნარიც გვაქვს. ქართველები — წამის ხალხია, გრძელი ბრძოლები არ უყვართ და ყველა შეტაკებას უცბად იგებდნენ. სხვა სიტუაციაში სიზარმაცე სძლევთ ხოლმე. აი, ისევ სიზარმაცეზე ავლაპარაკდი...

***— „თბილისი-თბილისის“ მისამართით კრიტიკული შენიშვნაც გამოითქვა — იუმორის გაქრობა, რომელიც ადრინდელ ქართულ კინოში სრულიად გამორჩეული გახლდათ.***

— არც მინდოდა მანდ იუმორი; ისე კი, შემიძლია იუმორით სავსე სურათის გამოშვება. ოღონდ ეს იუმორი შავი გამოვა. აქ იუმორობანა არ მსურდა.

***— საერთოდ, რომელი ფილმები მოგწონთ?***

— ვგიჟდები „კასაბლანკაზე“, განსაკუთრებით ფინალზე. ძალიან მიყვარს პაზოლინის „აკატონე“. ეს ახლა გეჩვენება, თითქოს განათება ისეთი არ არის, რომ ტემპი იკარგება, ან უბრალოდ, დიდმა რეჟისორმა რაღაც მოიტყუა... მე კი ფინალის დროს, როცა აკატონეს ავტომობილი ეჯახება, ფეხსაცმელები გასძვრება და ამხანაგი რომ ფეხშიშველას ხედავს, ეკითხება — ხომ არა გცივაო, ჟრუანტელი მივლის... ან გოდარის ფილმის ფინალი, „უკანასკნელი ამოსუნთქვით“... მთელი „ახალი ტალღა“ პაზოლინიდან აზვირთდა, არც ფელინიდან და არც ანტონიონიდან.

***— თქვენთვის სურათი, მგონი, ფინალით იწყება... იცით, როგორი ფინალი ექნება თქვენს ახალ პროექტს?***

— ვიცი. ცოლი ქმარს ესვრის. ქმარი კი გაუღიმებს: „დიდი მადლობა“...

**ნიკალაი ხრუსტალევი**
**„კულტურა“**

**ჩვენი ტელეფონებია:**
**99-55-01; 893 14-57-56.**
**ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მამუკა ვაშაკიძე, ლევან ბოჭორიშვილი.**



# ქრონოგრაფი

## 14 ნოემბერი, 1940 წელი



**გერმანიის ავიაციამ მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ყველაზე ძლიერი საჰაერო თავდასხმა-დაბომბვა განახორციელა ბრიტანეთის კუნძულებზე.**

500-მა ბომბდამშენმა თვითმფრინავმა პირისაგან მიწისა აღგავა ქალაქი კოვენტრი, რომელიც 35 კილომეტრით აღმოსავლეთით მდებარეობს ქალაქ ბირმინგემისგან. დაიღუპა 600-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე, დაინგრა 55 ათასი სახლი, საწარმო, საყოფაცხოვრებო ნაგებობა, მათ შორის, XIV საუკუნის ცნობილი ტაძარი. სწორედ მაშინ გამდიდრდა გერმანული ლექსიკონი სიტყვით coventrieren, რაც „პირისაგან მიწისა აღგვას“ ნიშნავს.

## 15 ნოემბერი, 1815 წელი



**გაიხსნა პირველი რეგულარული საზღვაო რეისი პეტერბურგსა და კრონშტადს შორის, რომელსაც აწარმოებდა შოტლანდიელი კარლ ბერდის მიერ პეტერბურგის მექანიკურ-საჩამომსხმელო ქარხანაში დამზადებული ხომალდი „ელისაბედი“. ჯეიმს უაიტის კონსტრუქციით აგებული ორთქლის მანქანის პრინციპის ხომალდი 9,5 კმ/სთ სიჩქარეს ანვითარებდა და ორ პორტს შორის მანძილს 2 საათსა და 45 წუთში ფარავდა.**

## 16 ნოემბერი, 1848 წელი

**ლონდონში თავისი უკანასკნელი კონცერტი ჩაატარა სახელგანთქმულმა კომპოზიტორმა ფრედერიკ შოპენმა (1810-1849). პოლონელმა კომპოზიტორმა და პიანისტმა მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე 30 კონცერტი ჩაატარა.**



იგი უპირატესობას პატარა მუსიკალურ სალონებს ანიჭებდა. ჭლექით დაავადებული შოპენი 1848 წელს საგასტროლოდ დიდ ბრიტანეთს ეწვია. მან პირველი კონცერტი დედოფალ ვიქტორიას მიუძღვნა, შემდეგ გამოვიდა მანჩესტერში, გლაზგოსა და ედინბურგში. უკანასკნელი კონცერტი ლონდონის გილდჰოლში პოლონელი ემიგრანტებისთვის ჩაატარა. ავადმყოფობის გამო მან მხოლოდ ერთ საათს გასძლო ფორტეპიანოსთან. ერთი კვირის შემდეგ იგი პარიზში დაბრუნდა და ვანდიმსკის მოედანზე საკუთარ სახლში გარდაიცვალა. ურნა კომპოზიტორის გულით, ანდერძის თანახმად, მისივე დამ ვარშავაში ჩაიტანა და წმიდა ჯვრის ტაძარში დაკრძალეს.

## 17 ნოემბერი, 1800 წელი

**აშშ-ს კონგრესმა თავისი სხდომა პირველად ჩაატარა ქვეყნის ახალ დედაქალაქ ვაშინგტონში, ჯერ კიდევ დაუსრულებელ კაპიტოლიუმის შენობაში.**

ამავე შენობაში დღემდე ტარდება ქვეყნის კონგრესის სხდომები. ისტორიული კონგრესის პირველი სესია გაიხსნა 1789 წლის 4 მარტს ნიუ-იორკში, ამის შემდეგ მთელი ათი წლის განმავლობაში კონგრესის სხდომები ფილადელფიაში ტარდებოდა.



**შინ კრემლში მუშაობდა. მან უსამსახურო პუტინს რეკომენდაცია გაუწია პავლე ბოროდინთან, იმჟამინდელ პრეზიდენტის საქმეთა მმართველთან. ასე მოეწყო პუტინი ელცინის ადმინისტრაციაში, ასე იხსნეს მომავალი სახელმწიფო მეთაურის კარიერა.**

# რამდენიმე შტრიხი პუტინიანისთვის



## მე და დაგვიანება?..

**შარშან ზაფხულს სოჭში, საპრეზიდენტო იახტაზე „კავკასია“, პუტინი არაფორმალურ ვითარებაში შეხვდა ჟურნალისტებს. „რატომ აგვიანებთ ასე ხშირად?“ — ცოტა არ იყოს უცერემონიოდ ჰკითხა ერთ-ერთმა.**

— განა ოდესმე მოვსულვარ ლონისძიების დაწყების შემდეგ? — მოხდენილად მოუჭრა რუსეთის მეთაურმა...

## სალტიკოვ-შჩედრინიდან ო. ჰენრიმდე

**ნამდვილად ცნობილია, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ პუტინი კითხულობდა სალტიკოვ-შჩედრინს, როგორც ჩანს, რუსეთელი ჩინოვნიკის ფსიქოლოგიის შესასწავლად, რაც დიდად როდი შეცვლილა გამოჩენილი მწერლის შემდეგ...**

პრეზიდენტის წიგნის თაროებზე შემჩნეულია აგრეთვე ისტორიკოს სოლოვიოვის ნაწარმოებები და ამერიკელი ო. ჰენრის სახელგანთქმული „მეფენი და კომბოსტო“.

პერიოდიკას რაც შეეხება, პუტინი ძირითადად ეკონომიკურ ჟურნალებს სწყალობს, აგრეთვე „Комсомольская Правда“-ს. სხვათა შორის, ერთი ტელემარათონის მსვლელობისას ამ გაზეთიდან წაუკითხა მთელ ქვეყანას, რომ სტავროპოლის მხარის ხუტორის მცხოვრები ქალის, კარაჩენცევისთვის ორი წელიწადია, წყალი ვერ გაუყვანიათ. დაჰპირდა კიდევაც იქაურ გუბერნატორს, ჩორნოგოროვს — ახალი ვადით არ დაგნიშნავ, სანამ კარაჩენცევას წყალს არ „ჩაუსხამთო“...

## უმუშევრობის ერთი გაელვება

**სობჩაკმა როცა საგუბერნატორო არჩევნებში წააგო, პუტინი უმუშევარი დარჩა. ძველი ამხანაგი მიეშველა, ახლანდელი ფინანსთა მინისტრი კუდრინი, რომელიც მა-**



ახლა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ახალგაზრდობა მუშაობს, ბევრს 30 წელიც არ შესრულებია. ეგ არის, ხელფასებია მცირე — დასაწყისისთვის 200 დოლარი...

## რაში ეხარჯება შემოსავალი

**ისტორიამ ცოტა შემოინახა შემთხვევა, როცა პუტინს ხელში ფული დაუნახეს. სამაგიეროდ, იმ ცოტა შემთხვევაში, ხალხი თავისი გულუხვობით (თუ გნებავთ, ფულუხვობით) განუცვიფრებია. მაგალითად, ორ ულუფა ბლინებში, სასაუზმეში (სოჭი, Красная Поляна) ათასი რუბლი (62,5 ლარი) გადაუხდია, ამდენივე ულუფა ნაყინში კი (ჟუკოვსკის ავისალონზე) — ორჯერ ნაკლები.**

წლიური ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი მან პეტერგოფისთვის საჩუქარზე დახარჯა — 375-კილოგრამიან ზარზე კარილიონისათვის (სამრეკლოსთვის).

ცნობილი გახდა, რომ გარკვეულ თანხად (როგორად — საიდუმლოდ ინახავენ) პრეზიდენტმა იყიდა რარიტეტული „გაზ-21“, კაპოტზე ძველმოდური ირმითა და სუპერთანამედროვე გადაცემათა კოლოფითა და ძრიათი. ამ ავტომობილით გაასეირნა ბუში და გახსნა გვირაბი სოჭში.

## არაყი „პუტინურა“

**იცის კი პრეზიდენტმა ასეთი სასმელის არსებობა? რა თქმა უნდა, იცის. ამისთვის საკმარისია თავისი ნოვო-ოგარიოვოს რეზიდენციის კრემლისკენ გზაზე აქეთ-იქით სარეკლამო ფარებს შეხედოს არყის „თავხედური“ დასახელებით.**

გამოთქვა კიდევაც თავისი მოსაზრება:

— მე არ შემიძლია ასეთი სახელწოდების აკრძალვა, მაგრამ უბრალოდ ვთხოვდი ყველას — ნუ გააკეთებთ ამას.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

# კიდევ ერთი შექსპირული მთვი

**კლასიკოსის გამოსახულებიანი პორტრეტი ნაყალბევი გამოდგა! ლონდონის ეროვნულ საპორტრეტო გალერიაში ხმაურიანი სკანდალი ავარდა. შექსპირის ეგრეთ წოდებული გრაფთონული სურათი დიდხანს ითვლებოდა დიდი დრამატურგის ავთენტიკურ გამოსახულებად. ექსპერტთა ჯგუფმა კი გულმოდგინე შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ ტილოზე სხვა ვინმეა გამოხატული.**

ანონიმური მხატვრის პორტრეტზე საავტორო თარიღად 1588 წელია დასმული — როცა პოეტს 24 შეუსრულდა. ოფიციალური ბიოგრაფიის თანახმად, უკვდავი პიესების ავტორი სწორედ მაშინ შეუერთდა მოხეტიალე თეატრს და ორი შვილის მამაც გახდა, თუმცა ამით ქისა არ გასქელებია. ამან გაუჩინა მკვლევართ შემდეგი მოსაზრება: კოსტიუმის სტილი არის მიზეზი ჩვენი ვარაუდისა, რომ გრაფთონულ პორტრეტზე შექსპირი არ არის ასახული — სამოსი ერთობ ოსტატურადაა შეკერილი და ძვირი ეღირებოდა. ალისფერს, ხარჯების შესახებ მაშინდელი კანონებით, მხოლოდ მაღალი რანგების წარმომადგენლები ატარებდნენ. პრობლემა მარტო ის კი არ არის, რომ შექსპირს არ შეეძლო ძვირფასი ტანსაცმლის დაკვეთა, არამედ ისიც, რომ ასეთი სამოსელის ტარების ნებაც არ ჰქონდა.

ალბათ გამოცანად დარჩება, თუ ვინ არის პორტრეტზე გამოსახული. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ 1588 წელს ინგლისში 24 წლის რამდენიმე ათასი ახალგაზრდა კაცი ცხოვრობდა, ოღონდ იმათგან მხოლოდ ასს, დიდი-დიდი, ორასს შეეძლო ასეთი კოსტიუმის ტარების ნების მიცემა თავისი თავისთვის.



უცნობი ავტორის უსახელო პორტრეტის გამოკვლევას სწავლულებმა ცხრა თვე მოანდომეს. ყველაფერი გაკეთდა მომავალი წლის გამოფენისათვის, რომელზეც პოეტის ექვსი ყველაზე ცნობილი გამოსახულება უნდა წარმოადგინონ. დიდ შეცდომად გრაფთონის პორტრეტის აღიარება ბრიტანელ მეცნიერთათვის ვაჟკაცური ნაბიჯია — განა ახლახან, აპრილში არ იყო, რომ ფლაუერსის სახელგანთქმული პორტრეტი, რომელიც ასევე ითვლებოდა კლასიკოსის გამოხატულებად, ნაყალბევად დასახელდა?..




# ათასი საიდუმლოს კუნძული

**მას შემდეგ, რაც კორესპონდენტი დაბრუნდა აღდგომის კუნძულის ვულკანური კატაკომბებიდან, სადაც, როგორც მეცნიერები ვარაუდობენ, შეიძლებოდა იდუმალი მიწისქვეშა ცივილიზაცია ყოფილიყო, კორესპონდენტი შეხვდა ჟაკ-ივ კუსტოს წყალქვეშა ექსპედიციის მონაწილეს, რომელმაც ზღვის ფსკერზე გაურკვეველი საგნები აღმოაჩინა...**

— 1978 წ. ჩვენ გულდასმით გამოვიკვლიეთ ფსკერი აღდგომის კუნძულის გარშემო, — ამბობს ავსტრალიელი ჰოვარდ ტირლორენი, რომელიც 27 წლის წინათ კუსტოსთან ერთად ჩამოვიდა ამ კუნძულზე და მერე დარჩა კიდევაც აქ. — ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ბატისკაფით ჩაშვებულა დაბლა, დაგიდასტურებთ, რომ წყალქვეშ არსებული მთები საკმაოდ უცნაურია: ზოგიერთ მათგანზე იყო ღიობები, რომლებიც ფანჯრებს მოგაგონებთ. ერთხელ ჟაკ-ივ კუსტო შემთხვევით ერთ-ერთ მისთვის უცნობ წყლის ღრმა ღრმულს გადააწყდა, იგი იქ ზედიზედ სამ დღეს ეშვებოდა. იქიდან რომ ამოვიდა, თვალები გაბრწყინებული ჰქონდა და გვითხრა, რომ ეს ღრმული უფრო გულდასმით უნდა გამოგვეკვლია. თუმცა იქ მან დაწვრილებით ბევრი ვერაფერი დაათვალიერა, მაგრამ გამოგვიცხადა, უზარმაზარი ქალაქის ერთ-ერთი კვარტლის კედლის მსგავსი მოხაზულობა შეიმჩნევაო. ერთი დღის შემდეგ კი მოგვადგნენ პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლები, რომელთაც პინოჩეტი კურირებდა; ხელი მოგვაწერინეს ქაღალდებზე, რომ ინფორმაციას არ გავამჟღავნებდით და კვლევების შეწყვეტა გვიბრძანეს. ჩვენ შევწყვიტეთ მუშაობა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო იმ ღრმულში განსაკუთრებული? არ ვიცი. ვერ გამიგია, რამ შეაშინა ასე ჩილეს სახელმწიფო უშიშროება, მაშინ ჩვენ არაფერი აგვიხსნეს. შესაძლოა, ეს იყო ერთ-ერთი იმ „მოხეტიალე კუნძულთაგანი“, რომლებსაც ხშირად ხედავენ რაპანუის სიახლოვეს. პინოჩეტის გადადგომის შემდეგ მე არაერთხელ ვცადე ამ საკითხის დაყენება, მაგრამ უშედეგოდ.

## „ირგვლივ ატლანტიდის ნარჩენები დაცურავს“

**„მოხეტიალე კუნძულები“ აღდგომის კუნძულის კიდევ ერთი საიდუმლოა“. 1802 წ. ვინმე კაპიტანმა გუინმა განაცხადა, რომ რაპანუიდან სამხრეთით, 50 მილის მოშორებით რაღაც კუნძულს წააწყდა, მაგრამ ამის შემდეგ მის მიერ მითითებული მიწა აღარავის უნახავს.**

1879 წ. ჯანი პინოკიომ, იტალიური გემის „პოდესტა“ კაპიტანმა, ასევე იხილა მოშორებით კლდოვანი კუნძული, რომელსაც გემის საპატივცემულოდ „პოდესტა“ უწოდა. კუნძულის არსებობა იტალიის ჰიდროგრაფიულმა სამსახურმაც დაადასტურა. 1912 წელს კი ბრიტანული გემის „გლუედონის“ კაპიტანმა სანტიაგოში განაცხადა, რომ აღდგომის კუნძულის სიახლოვეს ამოტივტივდა უზარმაზარი კლდოვანი კუნძული, კლდეებში კი ფანჯრები იყო გამოჭრილი. კაპიტნის ნათქვამი გემის ყველა ოფიცერმა დაადასტურა. საძებნელად გაგზავნილმა ჩილურმა სამხედრო გემმა „ბაკედანომ“ კლდოვანი კუნძული ვერ აღმოაჩინა. საოცარია: სავსებით სანდო კაპიტნები აღდგომის კუნძულის სიახლოვეს ახალი მიწების აღმოჩენის შესახებ იუწყებიან, მერე კი ეს მიწები უკვალოდ ქრება!

იხ. მე-17 გვ.

# ქრონოგრაფი

## 18 ნოემბერი, 2002 წელი



**ლონდონში დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელისაბედ II-ის თანდასწრებით გაიმართა „ბონდიანის“ მეოცე ფილმის პრემიერა. ფილმში „მოკვდი არა დღეს“ მთავარი გმირის ჯეიმს ბონდის როლს მეოთხედ ასრულებდა პირს ბროსნანი.**

პირველ სამ დღეში ფილმმა 47 მილიონი დოლარი მოიგო, რითაც დაჩრდილა ამ სერიალის წინა — რიგით მეცხრამეტე ფილმი. ლეგენდარულ ჯეიმს ბონდზე გადაღებული ახალი ფილმი მის გადამღებ ჯგუფს 142 მლნ. დოლარი დაუჯდა.

## 19 ნოემბერი, 1765 წელი



**ვარშავის „ოპერალნეში“ გაიხსნა პოლონეთში პირველი საჯარო დრამატული თეატრი, რომელმაც საფუძველი დაუდო პოლონურ პროფესიონალურ სასცენო ხელოვნებას.**

იმავე დღეს დადგეს ბელიავსკის კომედია, რომელსაც ასრულებდა დასი პოლონეთის მეფის სტანისლავ ავგუსტ პონიატოვსკის პატრონტაჟით. „ოპერალნი“, რომელმაც დრამატული თეატრი შეიფარა, 1725 წელს იყო აგებული. მისი ხელმძღვანელი გახლდათ ცნობილი საოპერო არტისტი, რეჟისორი, დრამატურგი და პედაგოგი ბოგუსლავსკი.

## 20 ნოემბერი, 1805 წელი



**საომარი მოქმედებების მსვლელობისას, როდესაც ვენაში ნაპოლეონის საოკუპაციო ჯარები შევიდნენ, პირველად აჟღერდა ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ერთადერთი ოპერა „ფიდელიო“, რომელსაც თავად კომპოზიტორმა უდირიჟორა.**

საგმირო ოპერამ, რომელიც მსოფლიო მუსიკალურ ხელოვნებაში უდიდეს ქმნილებადაა აღიარებული, თავის პრემიერაზე მაყურებელთა იმედები ვერ გაამართლა.

# ყველაფერი ყველაფერზე

## დაიწვა ალექსანდრე სოლჟენიცინის პირველი აგარაკი



**მოსკოვის ოლქის ნარო-ფომინსკის რაიონი. აქ იყო გამოჩენილი მწერლის აგარაკი, სადაც დაიწერა „ერთი დღე ივან დენისოვიჩის ცხოვრებიდან“, „კიბოს კორპუსი“, „გულაგის არქიპელაგი“... სწორედ ეს აგარაკი შთანთქა ორიოდ კვირის წინათ გაჩენილმა ხანძარმა. ცეცხლმა გაანადგურა აგრეთვე ალექსანდრე სოლჟენიცინის პირველი ცოლის ნატალია რეშეტოვსკაიას არქივი.**

სოფელ როჟდესტვოს მახლობლად მომცროსახლიანი ნაკვეთი მწერალმა 1965 წელს შეიძინა და მეუღლესთან ერთად დაბინავდა. აქ იკრებდა ძალ-ღონეს მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შემდეგ, ყვავილების, ხეხილის მოშენებასაც მიჰყო ხელი.

უკვე განქორწინების შემდეგ რეშეტოვსკაიამ აგარაკზე უნიკალურ არქივს მოუყარა თავი — მასალები ნობელის პრემიის ლაურეატის შესახებ, იშვიათი ფოტოგრაფიები, ძველი ხელნაწერები. ცოცხალი კლასიკოსის ექს-მეუღლე რომ გარდაიცვალა, ახალმა პატრონებმა აგარაკი ვინმე ქართველს მიაქირავეს, სახელად ზურაბს. იმ დღეს, როცა ხანძარი ავარდა, მდგმური მეგობარ ქალთან ერთად იყო იქ. ჯერ სახურავი აბრიალდა, მერე მთელი სახლი. ბინადრებმა მოასწრეს შენობიდან გამოხტომა. ცეცხლმა იმსხვერპლა ძველებური ფორტეპიანო, საკერავი მანქანა „ზინგერი“, ავტოინსტრუმენტები, რომლებითაც სოლჟენიცინმა საკუთარი ხელით შეარემონტა მესამე მოდელის „ჟიგული“, ნობელის პრემიით ნაყიდი... ხანძარმა არც ფოტომასალები და სხვა დოკუმენტები დაინდო.

ადგილობრივი მცხოვრებლნი ფიქრობენ, რომ უბედურების მიზეზი ძველი გაყვანილობა შეიქნა, რომელიც 1955 წლის შემდეგ არ გამოცვლილა. არც ისაა გამორიცხული, რომ გაფუჭებულმა პრიმუსმა შეასრულა ავბედითი როლი.

ასეა თუ ის, იმედია, ხანძრის გაჩენას „ვინმე ქართველს, სახელად ზურაბს“ არ დააბრალებენ — რუსეთში ამჟამინდელი გრუზინოფობიის ფონზე...

## ეს ყოვლისდამცველი მობილური

**პარიზში გაიხსნა პირველი ევროპული კინოფესტივალი, რომელზეც მობილურ ტელეფონებზე გადაღებულ ფილმებს უჩვენებენ. მისი მიზანია ხელოვნების ახალი ფორმის წარმოდგენა, აგრეთვე ტრადიციულ კინემატოგრაფზე შესაძლო ეფექტის გარკვევა.**



ამერიკულ ფესტივალ „სანდერსზე“ (დამოუკიდებელი კინოსი) უკვე ანიჭებენ პრემიებს მობილურაზე გადაღებული ან სპეციალურად ასეთი ტელეფონებისათვის გაკეთებული სურათებისათვის.

რამდენიმე თვის წინათ პარიზის ფესტივალის ორგანიზატორებმა ახალი თაობის 100 მობილური ტელეფონი დაურიგეს კინოს მუშაკებს, მწერლებს, მუსიკოსებს — გადაღებებზე ექსპერიმენტების ჩატარების საცდელად. შედეგი შთამბეჭდავი გამოდგა — პაროდიებით დაწყებული, პირადი ვიდეოდღიურებით დამთავრებული. 14 ლენტი შეირჩა — 30-წამიანი დოკუმენტური და საათნახევრიანი სრულ მეტრაჟიანი. ფილმები დემონსტრირებული იქნება დიდ ეკრანზე, თუმცა ჟანრის ჭეშმარიტი მოყვარულები ორიგინალშიც, ანუ პირდაპირ მობილურებზეც შეძლებენ ნახვას.

კინორეჟისორი ვლადიმერ ანსელმი, ფესტივალზე წარმოდგენილი ერთ-ერთი სურათის ავტორი, ფიქრობს, რომ მობილურის, როგორც ვიდეოკამერის, შეზღუდული შესაძლებლობანი აიძულებს მეტ გამომგონებლურობას: „შემოქმედებითი შრომისათვის გამოყენებულ ნებისმიერ აპარატს აქვს საკუთარი ვიწრო საზღვრები და ჩვენი ამოცანა იმათი გადალახვაა...“

## მონათა სამარხს გადააწყდნენ

**ნიუ-იორკში გაიხსნა გამოფენა, რომლის ექსპონატები მოწმობენ, რომ ეს ქალაქი მონათმფლობელობის ცენტრი იყო. ექსპოზიციამ „მონობა ნიუ-იორკში“ ცენტრალური პარკის საისტორიო საზოგადოების შენობაში ორგანიზებულმა, ნამდვილი შოკი გამოიწვია. ხალხის „შესანჯღრევად“ მომწყობებმა საკმარისი მულტიმედიური რესურსები მოიხმეს. საისტორიო საზოგადოების ინიციატივას წინ უძღოდა ნაპოვნი, რაც გამოფენის ორგანიზების ერთ-ერთ საბაბად იქცა.**

1991 წელს მუშებმა, რომლებიც სითი-ჰოლის ახლოს ამზადებდნენ ერთ-ერთი კოშკის საძირკველს, დიდ სიღრმეში ჩამარხული ჩონჩხი აღმოაჩინეს. არქეოლოგები და ისტორიკოსები მიხვდნენ, რომ ეს ზანგების სასაფლაო იყო. სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ ჰოლანდიურ-ვესტინდურ კომპანიას, რომელსაც ეკუთვნოდა ახალი ამსტერდამი — მომავალი ნიუ-იორკი, მონები კოლონიზაციის სულ და-



საწყისში შემოჰყავდა. უზარმაზარ სივრცეზე (დასავლეთ აფრიკა, ბრაზილია, კარიბი, დასავლეთ ევროპა) ცოცხალი საქონლით კარგად აწყობილი ვაჭრობა კომპანიის ერთ-ერთი საქმიანობა იყო...

ზანგთა სასაფლაოზე ნაპოვნი ჩონჩხები მოწმობენ, რომ მონათა სიცოცხლის ხანგრძლივობა სულ 30 წელს შეადგენდა. ნეშტებს ჭრილობებისა თუ სნეულებების კვალი შერჩენიათ: „ზანგური“ კოდექსით, მონათმფლობელებს ყმების რა გინდა-რა დასჯის უფლება ჰქონდათ, ურჩთა დასახიჩრება და მოკვლა არ შეიძლებოდა მხოლოდ...

## მეცნიერების სიახლენი

### როგორ აღვადგინოთ ნერვული უჯრედები

**კანადის სასკაჩევანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა მარიხუანის სუსტი ანალოგების — სინთეტიკური ნარკოტიკების ინექცია გაუკეთეს თაგვებს.**

გარკვეული დროის შემდეგ კი შეამჩნიეს ტვინში ახალი უჯრედების ზრდა და, შესაბამისად, „ცინცხალი“ ნეირონთშორისი კავშირების გაჩენა. ეს, თავის მხრივ, შემაწუხებელი და დეპრესიული მოშლილობების აცილებაში ეხმარება — ჯერჯერობით მხოლოდ თაგვებს. ახლა სწავლულები ამ ნივთიერების საფუძველზე აპირებენ მომავლის ანტიდეპრესანტის შემუშავებას.

### წითელ პლანეტაზე ბაქტერია ექსტრემოფილი დაბინადრდება

**ტენიანობის დონე მარსზე ნულოვანია და ტემპერატურათა სხვაობაც ერთობ მკვეთრია, არ** არის ოზონის ფენა და მაგნიტოსფერო. ამიტომ იქ ძნელია სიცოცხლე.



მიუხედავად ამისა, ამერიკის პერსპექტიულ კონცეფციათა ინსტიტუტის გენეტიკოსები ფიქრობენ, რომ დედამიწური ბაქტერია-ექსტრემოფილი Pyrococcus furiosus ამოცანას თავს გაართმევს. დედამიწაზე ის ხომ 400 გრადუსის ტემპერატურის მქონე წყაროებში ბინადრობს და ნახშირორჟანგის გაზით იკვებება. მარსზე სწორედ ასეთებია საჭირო. სწავლულები იმედოვნებენ, რომ ექსტრემიზმისადმი მიდრეკილი ბაქტერია მაინც დაიწყებს წითელ პლანეტაზე ცხოვრებას.

# ათასი საიდუმლოს კუნძუ-

(მეთექვსმეტე გვერდიდან)

ერთხელ თვითონ აღდგომის კუნძულიც გაქრა, — გვიყვება ჩილეს არქეოლოგთა ასოციაციის პრეს-მდივანი ვიქტორ მენდესი. — 1922 წელს მთელ მსოფლიოს მოედო მსოფლიოს წამყვანი საინფორმაციო სააგენტოების ცნობა — ჩილეში მომხდარი მიწისძვრით გამოწვეული ცუნამის შედეგად რაპანუი მთლიანად განადგურდა და წყლის ქვეშ აღმოჩნდა. დასაზვერად გაგზავნილმა აეროპლანებმა აღნიშნულ რაიონში საჰაერო გადაღებები აწარმოეს — იქ სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ იყო. მაგრამ სულ სამი დღის შემდეგ სხვა აეროპლანმა აღმოაჩინა, რომ აღდგომის კუნძული ადგილზე იყო! ვერავინ ვერაფერი გაიგო. ადგილობრივი მცხოვრებლები ირწმუნებოდნენ, ცუნამი კი იყო, მაგრამ აღდგომის კუნძული გადარჩაო.

ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება გამოითქვა. ცნობილმა ახალზელანდიელმა ეთნოგრაფმა მაკმილან ბრაუნმა გამოთქვა ვარაუდი, რომ აღდგომის კუნძული იმყოფება მაგნიტურ ზონაში, სადაც ჩნდება და ქრება მიწები... სხვა განზომილებებიდან, ზოგჯერ კი ქრება თავად კუნძული. ეთნოგრაფის აზრით, ეს ადასტურებს, რომ ატლანტიდა არ გამქრალა, მან უბრალოდ სხვა განზომილებაში გადაინაცვლა, მისი „ნაწილები“ კი ხანდახან მცირე დროით ამოტივტივდება ხოლმე წყნარ ოკეანეში.

... 1975 წელს ესპანეთის მთავრობის პირდაპირი განკარგულებით აღდგომის კუნძულზე პროფესიონალ არქეოლოგთა ჯგუფი ჩავიდა. მიზეზი — კატალონიის პროვინციულ მუზეუმში აღმოჩენილი ჩვ. წელთაღრიცხვამდე III საუკუნით დათარიღებული სტატუეტის — კონძულზე არსებული კერპების ასლის აღმოჩენა იყო. ეს პატარა ფიგურა იმ ბერძენი დაქირავებულების ბანაკის გათხრების ადგილზე აღმოაჩინეს, რომლებიც რომის იმპერიის მხარეზე იბრძოდნენ. ადგილობრივი მეცნიერები გაოგნებულები იყვნენ: როგორ შეიძლებოდა სტატუეტი ოკეანის უშორესი კუნძულიდან ევროპაში მოხვედრილიყო, თანაც ანტიკურ ხანაში? „ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ კუნძულელებს თვითმფრინავი ეყოლებოდათ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მათ ის არ ჰყოლიათ!“ — წერდა გაზეთი „ელ პაის“. ესპანელებმა შემოიარეს ყველა მისაწვდომი მღვიმე, დაწვრილებით შეისწავლეს ქანდაკებები ზღვის სანაპიროზე. დადასტურდა, რომ კატალონიური სტატუეტი იმავე მასალისაა, რომლისაც თავად კერპები. მაგრამ მერე გამოკვლევები ჩიხში მოექცა. მას შემდეგ სტატუეტი ბარსელონაში, მუზეუმში იმყოფება, ის კი დღემდე დაუდგენელია, თუ როგორ აღმოჩნდა სტატუეტი ევროპაში. 1985 წელს ესპანეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში მუზეუმის დირექტორის მოადგილემ მანუელ კლაროსმა ვარაუდი გამოთქვა, რომ აღდგომის კუნძულის გიგანტური ქანდაკებები ტელეპორტაციისთვის იყო განკუთვნილი, რომელთა მეშვეობითაც კუნძულელებს მთელ მსოფლიოში შეეძლოთ გადაადგილება. ამ მოსაზრების თანახმად, ადგილობრივი მოსახლეობის თითქმის სრული გადაშენების შედეგად აღდგომის კუნძულზე დაიღუპა ყველა შამანი, რომლებსაც ტელემაპორტირებელი ენერგიის მართვა შეეძლოთ, ამიტომაც დღეს ეს აბსოლუტურად შეუძლებელია.



### მოხუცი კუნძულელები რუსულად ლაპარაკობდნენ

**... ყველაზე საინტერესო კი მოგზაურობის ბოლოს მელოდა. ხელში რუსული წიგნი რომ დამინახა, კუნძულის ერთ-ერთი მაცხოვრებელი დაინტერესდა, რომელი ქვეყნიდან ვიყავი ჩასული. როცა გაიგო, რომ რუსეთიდან ვიყავი, სახლში შემიპატიჟეს და მაჩვენეს XIX საუკუნეში გამოცემული ბიბლიის ფურცლის ნაგლეჯი...**

ეს რუსულ ენაზე გამოცემული ბიბლია იყო. ემილიომ ამიხსნა, რომ მისი დიდი პაპა და ერთ-ერთი მისი თანაკლასელი ამ ბიბლიას კითხულობდნენ და ერთმანეთს რუსულად ელაპარაკებოდნენ. როგორც გაირკვა, 1871 წელს, როდესაც რუსი მეცნიერის მიკლუხო-მაკლაის გემი აღდგომის კუნძულის ყურეში შევიდა, მისი ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ნაპირზე დარჩენის სურვილი გამოთქვა. ამ ადამიანს, რომლის სახელიც ემილიოს არ ახსოვდა, ფრანგ ეპისკოპოს ჟოსანთან ერთად კუნძულზე საშუალო სკოლა დაუარსებია, რომელშიც ბავშვებს მათემატიკას და უცხო ენებს, მათ შორის, რუსულსაც ასწავლიდნენ. ემილიომ გადმოცემით იცის, რომ 30-იან წლებში კუნძულზე ოცამდე ადამიანი ლაპარაკობდა რუსულად, თავად მას კი ერთადერთი წინადადება ახსოვს: «Õðàí è âàñ Áî ã!» („ღმერთი იყოს თქვენი მფარველი“). თურმე რუსი მეზღვაური თავისუფალ დროს კატაკომბებში ატარებდა და სულ „რაღაცის მიკვლევას ცდილობდა“. ეს ადამიანი 1904 წელს მომკვდარა, მაგრამ მისი საფლავი რაპანუიზე არ შემორჩენილა.

... აღდგომის კუნძულის აეროდრომზე ტურისტებით სავსე ლაინერები ეშვება. მასშტაბური სამეცნიერო ექსპედიციები კი თითქმის შეწყდა: ჰეიერდალისა და კუსტოს კვლევები წარსულს ჩაბარდა. შორეული აღდგომის კუნძული მთელი მსოფლიოს მეცნიერთა ინტერესის საგანი აღარ არის, ის ახლა შვებულებაში მყოფთა ჯიბეებიდან დოლარების ამოქაჩვის საშუალებაა. კუსტოს ლეგენდარული გუნდის ყოფილი მონაწილის ნაამბობი ცოტას თუ ვინმეს აინტერესებს. სამწუხარო კია, დღეს ხომ არსებობს უახლესი სკანერები, რომლებსაც შეუძლიათ 500 მეტრის სიღრმეზე „ჩაიხედონ“ დედამიწის წიაღში. სამძებრო რობოტებს ზღვის დიდ სიღრმეებში შეუძლიათ მუშაობა, ელექტრონიკით გაძეძგილ ლაბორატორიებს კი შეუძლიათ, მოლეკულებად დაშალონ კუნძულის კერპები და მათი წარმომავლობა გამოარკვიონ. ტექნოლოგიათა შემდეგი განვითარების გათვალისწინებით, იმის იმედი, რომ აღდგომის კუნძულის საიდუმლოებების და თავსატეხების გამოცნობას შევძლებთ, მაინც არსებობს. თუმცა ეს ხვალ არ მოხდება...

**გიორგი ზოტოვი,**
**აღდგომის კუნძული — სანტიაგო.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### ახლა „ალ-ყაიდას“ გაახმოვანებს

**ბრიტანული ტელეჟურნალისტიკის ვეტერანი, სერ დევიდ ფორსტი (ეს საპატიო ტიტული ინგლისის დედოფალმა უბოძა) სამუშაოდ ცნობილ არაბულ ტელეარხში „ალ-ჯაზირაში“ გადავიდა. ის მთავარი წამყვანი გახდება ინგლისურენოვან არხზე „ალ-ჯაზირა ინტერნეშნლ“, რომლის პრეზენტაცია მომავალი წლის გაზაფხულზე შედგება.**

თვით ტელეჟურნალისტი ამბობს, რომ ახალი სამუშაოთი ფრიად კმაყოფილია: „ადრე თუ ჩემი გადაცემები მხოლოდ დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის აუდიტორიაზე იყო გათვალისწინებული, ახლა ეს მთელი პლანეტის ექვსი მილიარდი კაცი იქნება, რაც არსებითია“.

მისი გადაცემა „საუზმე ფორსტთან“, ინტერვიუებისა და მსოფლიო მოვლენების ანალიზის შემცველი, „ბი-ბი-სის“ პირველი არხის ეთერში 500-ჯერ (!) გავიდა. ბოლო გადაცემა მაისში შედგა, რის შემდეგ ფორსტი გამოემშვიდობა ტელემაყურებლებს. სხვათა შორის, ის ერთადერთია, ვინც ინტერვიუ ჩამოართვა აშშ-ის შვიდ (!) პრეზიდენტსა და დიდი ბრიტანეთის ექვს (!) პრემიერ-მინისტრს. პოპულარული კი 1960-იან წლებში გახდა, როცა „ბი-ბი-სის“ სატირულ პროგრამას უძღვებოდა „ასეთი გახლდათ სწორედ ის კვირა“. მას აქეთ რამდენიმე პოლიტიკური ახალამბებიანი პროგრამის წამყვანი იყო დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში. 1980-იან წლებში ფორსტი ტელეარხში „აი-თი-ვი“ ილვწოდა, „ბი-ბი-სიზე“ კი 1992-ში გადავიდა.

„ის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იქნება ინგლისურ ენაზე სადღეღამისო საახალამბებო ტელეარხზე“, — ხაზგასმით ითქვა „ალ-ჯაზირას“ დოკუმენტში. ბოლო წლებში ეს ტელეკომპანია ხშირად გადასცემს ეთერში „ალ-ყაიდას“ ლიდერების განცხადებებს.

### ვეშაპებს ოკეანეში სიცოცხლე გაუმწარეს

**ეს საშინელი სანახაობა ამ დღეებში გადაეშალათ თვალწინ ავსტრალიის კუნძულ თასმანიის ერთ-ერთი პლაჟის მნახველებს. რამ აიძულა 140 ვეშაპი ნაპირზე ამოტყორცნილიყო და მწველი მზის სხივებზე ნელ-ნელა მომკვდარიყო?**

მაშველები და მოხალისეები გიგანტების დასახსნელად დაფაცურდნენ. დახმარება, სამწუხაროდ, მხოლოდ ცოტასი მოხერხდა: 11 ცხოველი ვაი-ვაგლახით შეასრიალეს უკან, ოკეანეში, 70 კი დაიღუპა.



ამასობაში ამერიკელმა ეკოლოგებმა ლოს-ანჟელესის ფედერალურ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების წინააღმდეგ. ბუნების ქომაგნი დარწმუნებული არიან, რომ ვეშაპების მასობრივ სუიციდში დამნაშავეები არიან წყალქვეშა ნავების გამოსავლენად გამოყენებული საშუალოსიხშირეებიანი რადარები. ვეშაპები და დელფინები ვერ უძლებენ ამ რადარების იმპულსებს და „ხსნას“ ნაპირზე ელტვიან.

### ვინ იცის...

**1969 წლის 18 სექტემბერს ნეილ არმსტრონგმა, კაცმა, რომელმაც ადამიანთა შორის პირველმა დადგა ფეხი მთვარეზე, მიმართა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს.**

„მომდევნო 20 საუკუნის მანძილზე კაცობრიობა შეუდგება თავისი ყველა მომხიბლავი გამოცანის ამოცნობას — საით მივდივართ? ისე, მართლაცდა, დედამიწა საათში მრავალი ათასი მილის სისწრაფით მიექანება ვარსკვლავ ჰერკულესისკენ, კოსმოსში რაღაც უცნობი მიზნისაკენ. ადამიანმა უნდა შეიცნოს მის გარშემო არსებული სამყარო, რათა მასში საკუთარი დანიშნულება გამოიცნოს.



მაგრამ საიდუმლო და იდუმალი მოვლენები ჩვენი არსებობის სრულიად აუცილებელ ინგრედიენტებს წარმოადგენს.

საიდუმლო გაკვირვებას იწვევს, გაკვირვება კი არსის გაგების ადამიანური სურვილის საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ ვინ იცის, თუ რა საიდუმლოებები იქნება ამოხსნილი ჩვენს ცხოვრებაში, ანდა რა ახალი საიდუმლოებები დარჩებათ ამოსახსნელად მომავალ თაობებს?“

# ტვინის უბადლო მკურნალი

## შოთა ხევსურიანი — 80



**დაბადებიდან ოთხმოცი წლის თარიღს კვლავაც ქვეყნის სამსახურში ჭარმაგად ხვდება ქართველ ნეიროქირურგთა შორის თავკაცად აღმართული სწავლული ექიმი და მეცნიერი შოთა ხევსურიანი — მოხდენილი, დარბაისელი, მოყვასი, ჩვენი სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით მოჯადოებული და აღტკინებული ვაჟკაცი.**

ასობით გადარჩენილი სიცოცხლე და მადლიერი პაციენტი, დამოძღვრილი ახალგაზრდა კოლეგების არაერთი თაობა, ჯანმრთელობის შეწირვის ზღვარზე დაუცხრომელი გარჯა საოპერაციო თუ საწერ მაგიდასთან და კიდევ ერთი განსაკუთრებული წვლილი — ძნელბედობის ჟამს ქვეყნის საკეთილდღეოდ ახალი სამედიცინო დარგის — სამხედრო-საველე ნეიროქირურგიის ჩამოყალიბება, ასეთია ძალზე მოკრძალებულად წარმოდგენილი პროფესორ შოთა ხევსურიანის ნაამაგარი.

ქართული ნეიროქირურგიის აღიარებული მებაირაიხტრის, აკადემიკოს კონსტანტინე ჩიქოვანის გზის გამკვლევთა ლაშქარში ნახევარი საუკუნის წინათ მოიკიდა მან სიცოცხლის გვირგვინის — ტვინის მკურნალის ურთულესი ჭაპანი და ზიდა ის ღირსეულად და ძლევამოსილად, გზადაგზა ნაადრევად ვალგადახდილ წინამორბედთა მისაგებელი შესანდობარით, ხოლო ახალბედათა გაწვრთნით, კურთხევით და მხარში ამოყენებით.

მედიცინის ყარაჩოხელს ქართული ნეიროქირურგიის მრავალ გამარჯვებაში წვლილი შეუტანია, მრავალი ნაიარევიც უტარებია; გასული საუკუნის მიწურულს, როდესაც ლამის განწირული გლადიატორის სულისკვეთებით, მწირი ტექნიკური აღჭურვილობით, მაგრამ ერთგულ მოწაფეთა გუნდით უთანასწორო ბრძოლების გამართვა უხდებოდა თანამემამულეთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად და ქართული ნეიროქირურგიული სკოლის რეპუტაციის გადასარჩენად, მსოფლიო ნეიროქირურგიამ განიცადა რევოლუციური გარდაქმნა სწორედ ტექნოლოგიური არსენალის უმაგალითო პროგრესის შედეგად. ამგვარ ფუფუნებას მოკლებული პროფესორი შოთა ხევსურიანი პირადი მაგალითის ძალით შთააგონებს და ახალისებს თავის ახალგაზრდა კოლეგებს არაორდინარული, ხშირად ავანგარდული მოქმედებისაკენ, რომელიც ემყარება ნეირომეცნიერული ლოგიკის ალღოს.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი შოთა სისხლხორცეულად მიეკუთვნება კლასიკური ნეიროქირურგიის „ფალავანთა“ პლეადას, იგი ნოსტალგიის გარეშე, ეპოქის შესატყვისად ნეიროქირურგიული ხელოვნების უმაღლეს ღირსებად აღიარებს არა ოპერატორის ვირტუოზულ ტექნიკას, არამედ სამედიცინო მენეჯმენტის ნატიფ ტექნოლოგიურ და ინტელექტუალურ უზრუნველყოფას.

მხცოვანი მეცნიერი ოპტიმისტურად მიიჩნევს, რომ ყოველივე ეს სწორედ ის ძვირფასი რესურსია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია საქართველოში ნეიროქირურგიული კულტურის აღორძინება და ინტეგრირება საერთაშორისო წიაღში.

ჩვენი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოება მადლიერებით აფასებს ამაგდარი დასტაქრის ღვაწლს. ღვთის ნებით ქართული ნეიროქირურგიის შეუდრეკელი რაინდი კვლავაც დამუხტულია ახალი მიჯნების დასაუფლებლად.

**რომან შაქარიშვილი,**
**საქართველოს ნევროლოგთა და ნეიროქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი**

◉ მკითხველის მოსანიშნად

# დიაბეტი კონტროლზეა

**შაქრის ავადმყოფობა მსოფლიოს დიდი ხანია აწუხებს და ხშირად „საუკუნის დაავადებადაც“ მოიხსენიება. რუსეთში 15 მილიონზე მეტი ადამიანი იტანჯება ამ სენისგან.**

მედიცინის მიღწევებმა ხელი შეუწყვეს ისეთი პრეპარატების განვითარებას, რომლებიც სისხლში შაქრის დონის დაწევაში გვეხმარებიან, ოღონდ პრეპარატებს საერთო არსებითი ნაკლი სდევთ: გვერდითი ქმედებები ყოველ ორგანოზე (მხედველობა, გულ-სისხლძარღვთა სისტემა, თირკმელები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, სახსრები...). ადამიანი ამჩნევს, რომ იმისი ორგანიზმი სუსტდება და ცვთება.

სიტუაცია ძირფესვიანად შეცვალა კომპლექსის **ინსუნალის** დამუშავებამ, რომელიც სისხლში შაქრის დონის ყველაზე მძლავრი რეგულატორია სადღესიოდ ცნობილ ყველა პრეპარატს შორის. კომპლექსმა ინსუნალმა შემდეგი პრობლემების გადაწყვეტით ისახელა თავი: „სისხლში შაქრის შემცველობის კონტროლი და სტაბილიზაცია; სისხლძარღვების კედლების გამაგრება; არტერიული წნევის დაწევა; ყველა შიგა ორგანოსათვის იმ დამცავი ბარიერის შექმნა, რომელიც დიაბეტის გართულებებს აგარიდებთ; მთელი ორგანიზმის მუშაობის გაუმჯობესება.

აბსოლუტური უვნებლობის წყალობით, კომპლექსი ინსულინი გამოიყენება საკურსო მკურნალობაში, რომელიც მიმართულია დიაბეტის სრულ კომპენსირებასა და კონტროლირებაზე.

კომპლექსის მომხმარებელთა გამოხმაურებებით, სისხლში შაქრის ოდენობა ნორმალური ხდება მე-7, მე-8 დღეს.

МОСКОВСКИЙ МК КОМСОМОЛЕЦ





# რით გამოვდევნოთ ქოლესტერინი?

**არსებობს პროდუქტები, რომლებიც ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოდევნას უწყობს ხელს. მათ რიცხვს განეკუთვნება: პარკოსნები (ბარდა, ოსპი, ცერცვი), მცენარეული ზეთები, სოია, ბოსტნეული, ხილი. ყველა ეს პროდუქტი შეიცავს წყალში ხსნად მცენარეულ უჯრედის (პექტინს, წებოვანას).**

ვიტამინებსა და მინერალურ ნივთიერებებს ყველაზე დიდი რაოდენობით მუქი მწვანე, ყვითელი და ნარინჯისფერი ბოსტნეული და ხილი შეიცავს. კენკროვანებსა და ხილში პექტინის დიდი შემცველობის უპირველესი მაჩვენებელი მათი ხარშვისას ჟელეს წარმოქმნაა. პექტინი უხვადაა შავ მოცხარში, ქლიავში, გარგარში, სტაფილოში, ვაშლში. ვაშლისგან პექტინის ფვხნილსაც კი ამზადებენ, რომლის ყიდვა საკვები დანამატის სახით აფთიაქებში შეგიძლიათ. ქოლესტერინის დონის შესამცირებლად ეს ფხვნილი დღეში 5-15 გრამის რაოდენობით უნდა მიიღოთ. ქოლესტერინის გამოდევნას ხელს უწყობს აგრეთვე წებოვანაც, რომელსაც შეიცავს მარცვლეული: მსხვილად დაფქვილი ფქვილის პური, ბურღულეული (წიწიბურა, შვრია), ბრინჯი.

# როგორ დავამარცხოთ სახსრების ტკივილები

***ორი წლის წინათ აფთიაქებში ვალენტინ დიკულის ბალზამები გამოჩნდნენ. ამ ხნის მანძილზე იმათ ასობით ათას ადამიანს უშველეს და სახსრების დაავადებებისას ყველაზე პოპულარულ საშუალებად აღიარება მოიპოვეს. ბალზამებისადმი ინტერესი კი სულ უფრო იზრდება. გავეცნოთ ცნობილი მკურნალის რჩევებს სახსრებსა და ხერხემალში ტკივილებისას, აგრეთვე პასუხებს ყველაზე ხშირ და მტკივნეულ (!) შეკითხვებზე.***

### რჩევები

1. მოერიდეთ ხანგრძლივ სტატიკურ მდგომარეობებს, დღეში რამდენჯერმე ფრთხილად გაიკეთეთ ხერხემლის პრობლემური ზონების მასაჟი.
2. იკვებეთ სრულფასოვნად, ოღონდ ზომიერად, ზედმეტი წონა ტვირთია ხერხემლისა და სახსრებისთვის.
3. მეტი იმოძრავეთ, აიცილეთ გადამეტცივება, სტრესები და ნეგატიური ემოციები.
4. ნუ დაელოდებით გამწვავებებს, შეინარჩუნეთ სახსრებისა და ხერხემლის სიმრთელე რემისიის პერიოდში.
5. გაიმაგრეთ ზურგისა და მუცლის პრესის კუნთები. შეასრულეთ ვარჯიშები ხერხემლის გაჭიმვაზე.

### კითხვები და პასუხები

**— როგორი კომლექსი შევადგინოთ თქვენი პრეპარატებისგან, წელის, მუხლების, ხელების ტკივილის დროს?**

— ისარგებლეთ ბალზამითა და რადიკულინის აბებით. ისინი სპეციალურად არიან დამუშავებული წელის ტკივილებისას საშველად. რადიკულინის აბები, სადაც შედის პანტომარი (ირმის გაუმაგრებელი რქების ფხვნილი), გააუმჯობესებენ მთელი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მდგომარეობას, სტიმულს მისცემენ ხრტილისა და ხერხემალთშორისი დასკოების აღდგენას, გააქტიურებენ გაცვლით პროცესებს. რადიკულინის მიღების კურსი ერთი თვეა, ერთკვირიანი შესვენების შემდეგ გაიმეორეთ.

ხელებისა და მუხლებისთვის კი სახსრებისათვის სპეციალური ბალზამით ისარგებლეთ: ის შეიცავს ანთებისსაწინააღმდეგო და მარეგენირებელ კომპონენტებს.

**— სახსრების დაავადებათათვის განკუთვნილ ბევრ წამალს სახიფათო გვერდითი ქმედებები ახასიათებს. რამდენად უვნებელია დიკულის ბალზამები?**



— მართლაც, არასტეროიდულ ანთებისსაწინააღმდეგო პრეპარატებს, ხანგრძლივად თუ იყენე[illegible] კუჭიდან სისხლდენისა და ხრტილის დარღვევის გამოწვევა შეუძლიათ. მე ნატურალური, ბუნებრივი მედიცინის მტკიცე მომხრე გახლავართ, 30 წელზე მეტია, რაც სამკურნალო ბალახებს მივსდევ. ჩემი ბალზამები და რადიკულინის აბები მხოლოდ ბუნებრივი კომპონენტებისგანაა შემდგარი, ამიტომაც სრულიად უვნებელია, კერძოდ, კუჭისთვისაც, ეფექტიანობით კი — სამკურნალო პრეპარატებთან სადარი.

**— რატომ არის დიკულის ბალზამები აფთიაქებში ძნელად მოსაძიებელი?**

— წლეულს მკვეთრად გაიზარდა ბალზამებზე მოთხოვნა. თანაც დიდი ნაწილი უცხოეთში მიდის: ინგლისში, გერმანიაში, აშშ-ში, ისრაელში. ჩემს კლინიკებში ვსარგებლობ ბალზამებით პაციენტთა განსაკურნავად — ჰოდა, დეფიციტიც წარმოიქმნება. ჩვენ ძალიან ვცდილობთ მდგომარეობის გამოსწორებას. საქმე ის არის, რომ ჩემი ბალზამები საკმაოდ იშვიათ კომპონენტებს შეიცავენ, რომლებსაც ყოველთვის ვერ იშოვით. რეცეპტურიდან გადახრას კი ვერ დავუშვებთ. ვფიქრობ, რომ უახლოეს დროში შევძლებთ გამოშვების მოცულობათა გაზრდასა და ყველას დახმარებას.

**— ართრიტი თუ 20 წელზე მეტია, რაც გვაწუხებს, ადრე თუ გამწვავებები სეზონის შეცვლისას გვემართებოდა, ახლა კი ყოველ თვენახევარ-ორ თვეში, როგორ შეიძლება დახმარება?**

— ასეთი „სტაჟით“ ართრიტის განკურნება ნაკლებდასაჯერებელია, თუმცა მოყვანილ სიტუაციაში, საბედნიეროდ, ხერხდება შველა.

სულ ახლახან, ხანგრძლივი კლინიკური გამოცდების შემდეგ, აფთიაქებში ჩემი ახალი პრეპარატი შევიდა — სახსრების დაავადებებისას სახმარი წვეთები. ბალზამების მსგავსად, ისინიც შემოწმებული ხალხური რეცეპტების საფუძველზეა შემუშავებული და მხოლოდ სამკურნალო მცენარეთა ექსტრაქტებისაგან შედგებიან. წვეთის ფორმის წყალობით ეს სამკურანლო კომპონენტები უკეთ აითვისებიან და სისტემურ გამაჯანსაღებელ ზეგავლენას ახდენენ სახსრებსა და იმათი ჯანმრთელობისათვის პასუხმოსაკითხ ორგანოებზე.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА



ფრენბურთი

# პირველი ლედის თასზე



**საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის ბატონ მიხეილ სააკაშვილის მეუღლის, ქალბატონ სანდრა რულოვსის დიდი სიმპათიების შესახებ ფრენბურთელთა ასპარეზობისადმი. საქართველოს ფრენბურთის ეროვნულმა ფედერაციამ შარშან დააწესა პირველი ლედის სახელობის თასის გათამაშება ფრენბურთში, რომელსაც შემოდგომაზე, ტრადიციულად გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლე მასპინძლობს. საპატიო თასისთვის გადამწყვეტ მატჩში ტრადიციულად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ქალთა ნაკრები გუნდები ხვდებიან ერთმანეთს. 2004 წლის შემოდგომაზე შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ქალთა ნაკრებმა მოიგო და პირველად დაისაკუთრა ეს გარდამავალი პრიზი.**

გუშინაც თბილისის სპორტის სასახლეში სწორედ ეს გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. საინტერესო შეხვედრა ანგარიშით — 3:0 (25:22, 25:18, 25:19) კვლავ დასავლეთ საქართველოს ნაკრების ფრენბურთელებმა მოიგეს. თასი გამარჯვებულ გუნდს ქალბატონმა სანდრამ გადასცა. გაგაცნობთ საპატიო პრიზის მფლობელის შემადგენლობას ნინო შანიძე, თამილა გეგუჩაძე, ირინა შენგელია, მარიკა გეჩლიანი, ირინე კახაძე, ნონა ღვინჯილია, ნელი პირაპეტიანი, ნათია არველაძე (გუნდის კაპიტანი), თამარ გვანცელაძე, თინა მიქაძე, თამთა დავითულიანი, ინგა იოსებაშვილი. უფროსი მწვრთნელი ნუგზარ მიქაძე.

**შალვა ქორიძე,**

**სურათზე:** დასავლეთ საქართველოს ნაკრები ქალბატონ სანდრასთან ერთად.
**რობერტ ბაგოიანის** ფოტო.

კალათბურთი

## ქებათა ქება ზღვისპირელებს

**კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნულ ჩემპიონატში პირველი სიურპრიზი VI ტურში მოხდა — სოხუმელმა სტუდენტებმა თბილისის „დინამოს“ 85:84 მოუგეს.**

დავით უსტიაშვილის გუნდს ტრავმირებული ცინცაძე აკლდა, მაგრამ ისინი, ვინც ვერის ბალის სარბიელზე გამოვიდნენ, ვალდებულნი იყვნენ მეტი პასუხისმგებლობით მოკიდებოდნენ საქმეს. ეს, უპირველესად, ეროვნული ნაკრების წევრს გამყრელიძესა და ლაფანაშვილს ეხებათ.

მეტოქისგან განსხვავებით, ვაჟა კვარაცხელიას შეგირდებმა მაქსიმალური შემართებით იბრძოლეს და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს. მათგან განსაკუთრებულად თორთლაძემ იყოჩაღა, ვინაც გადამწყვეტი სამქულიანი საფინალო სასტვენამდე 13 წამით ადრე ჩააგდო. როცა გუნდში ასეთი ლიდერია, დაგვეთანხმებით, დანარჩენებსაც ეხსენებათ მხრებიდან ფსიქოლოგიური ტვირთი. ასე მოხდა გუშინაც — შეხვედრის განმავლობაში მონაცვლეობით გამოირჩეოდნენ პატარაია, მეტრეველი, ქვილითაია, გოლეთიანი და მოდებაძე, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა სენსაციური წარმატების მისაღწევად.



მძაფრი დუელი იყო მოსალოდნელი ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდისა და ვიცე-ჩემპიონის — „ავიამშენის“ მატჩში, მაგრამ უსპონსოროდ დარჩენილმა პოლიტექნიკოსებმა, ეტყობა, ვარჯიშებზე ოფლისღვრას უკლეს, რაც, შესაბამისად, ტაბლოზეც აისახება — ავიატორებმა 110:79 იმძლავრეს და ყველას აგრძნობინეს, რომ წინა ტურში განცდილი მარცხი უკვე დავიწყებულია.

გუშინვე გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა თსუ „ნიკორამ“ იოლად სძლია ქუთაისელებს და განაგრძობს უდანაკარგოდ ასპარეზობას.

I წრის ფინიშზე ითამაშებენ: **17 ნოემბერს:** თსუ „ნიკორა“ — სსუ (12 საათზე), „ავიამშენი“ — ქუთაისი (14 საათზე), „აზოტი“ — სტუ (17 საათზე). **27 ნოემბერს:** „დინამო“ — მაქაბი“ (18 საათზე).

ჭადრაკი

## „ოქრო“ რუსებს ერგოთ

**ისრაელის ქალაქ ბეერ შევაში მოჭადრაკე ვაჟთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი პირველი ტურებიდანვე ისე წარიმართა, რომ ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა რუსების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აღზევებას.**



მოგეხსენებათ, სტარტიდანვე ჩინელი მამაკაცები დაწინაურდნენ. 7 ტურის შემდეგ ისინი 4 ქულითაც კი უსწრებდნენ ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს, მაგრამ ბოლოსწინა ტურში ჩინელებს კვანტი სომხებმა გამოსდეს და პირველი მარცხი აგემეს. ამის მიუხედავად, უახლოეს მდევრებთან 2,5-ქულიან სხვაობას მაინც ინარჩუნებდნენ. ჩემპიონატის დასკვნით დღეს რუსებმა, მართლაც, შეუძლებელი შეძლეს — 3,5:0,5 დაამარცხეს ლიდერი, 22 ქულა მოაგროვეს და ჩემპიონობა მოიპოვეს. ჩინელები გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ. 18,5 ქულით ბრინჯაოს მედლები სომხებმა დაიმსახურეს. მეოთხე ადგილზე გავიდნენ უკრაინელები (17,5), რომლებმაც ბოლო ტურში ქართველებს სძლიეს (ზურაბ აზმაიფარაშვილი — ვასილი ივანჩუკი, რუსლან პონომარიოვი — ბაადურ ჯობავა და ლევან ფანცულაია — ანდრეი კოლოკიტინი დაზავდნენ, მიხეილ მჭედლიშვილი კი სერგეი კარიაკინს დანებდა). ამ მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრებმა 13,5 ქულით მე-7 ადგილი დაიკავეს.

**გიორგი გაგუა**

სპორტულ ორბიტაზე

### დიდი ფეხბურთის უკვდავებისთვის

**როგორც უკვე გაცნობეთ, ბრაზილიაში დაიწყო ფეხბურთის მუზეუმის მშენებლობა. ის სან-პაულუში აშენდება და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის სამშობლოში დიდი ფეხბურთის ისტორიას ასახავს.**

როგორც ფიქრობენ, მუზეუმის მშენებლობაზე 11 მილიონი დოლარი დაიხარჯება და 2007 წელს გაიხსნება დამთვალიერებელთათვის.

ექსპოზიციის, რომელიც 2,6 ათას კვადრატულ მეტრს დაიკავებს, მთავარი ექსპონატები იქნება ის საგნები, რაც უშუალოდ დაკავშირებულია ბრაზილიის ნაკრების მიერ ხუთჯერ მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებასთან, ბურთები, რომლებითაც ნაკრები ფინალებში თა-



მაშობდა, ფორმა, ბუცები, იშვიათი ფოტოსურათები, ცნობილი ფეხბურთელების პირადი ნივთები.

ამას გარდა, მუზეუმს ექნება სპეციალური აუდიოდარბაზები, სადაც შეიძლება სხვადასხვა გუნდების ფანატიკოსი ქომაგების ხილვა და ერთხელ კიდევ იმის მოსმენა, თუ როგორ ხვდებიან გულშემატკივრები თითოეულ გატანილ გოლს.

### თმებში წვდომა არ იკმარეს

**ლიტვის ქალთა კალათბურთში მომხდარი უპრეცედენტო ჩხუბის მონაწილენი ძალზე იოლად გადარჩნენ. ისინი 300 ლიტით (87 ევრო) და ერთ თამაშში დისკვალიფიკაციით დააჯარიმეს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ლიტვის ქალთა კალათბურთის ლიგის სადისციპლინო კომისიამ.**

ინციდენტი კი გასულ შაბათს მოხდა, კლაიპედას „ლემინტაინესა“ და მარია იამპოლის „არვის“ მატჩზე. მართალია, კლაიპედელმა კრისტინა უსაიტემ უხეში თამაშისთვის ბოდიში მოუხადა „არვის“ ამერიკელ ლეგიონერს ნადია მორგანს, მაგრამ ამერიკელი ამან არ დააკმაყოფილა და მეტოქეს თმებში სწვდა, რისთვისაც სახეში მუშტი მიიღო...

როგორც ქალთა ლიგის პრეზიდენტმა აუდრა გინელიავიჩენემ განაცხადა, ამ ჩხუბის მონაწილეთა მიმართ იმიტომ გამოიყენეს მინიმალური სანქციები, რომ ქალიშვილებმა გულწრფელად აღიარეს დანაშაული.



### ვიტალი კლიჩკო — რინგიდან პოლიტიკაში?

**12 ნოემბერს უნდა გამართულიყო მძიმე წონის მოკრივეების — მსოფლიო ჩემპიონის, უკრაინელი ვიტალი კლიჩკოსა და ამერიკელი ჰასიმ რახმანის ორთაბრძოლა, მაგრამ ის აღარ შედგება წინა კვირაში უკრაინელის მიერ ვარჯიშის დროს მიღებული მუხლის ტრავმის გამო. გუშინწინ კი კლიჩკომ განაცხადა, რომ იგი წყვეტს მოკრივის კარიერასა და მიდის დიდი სპორტიდან. ეს გადაწყვეტილება მან სამედიცინო შემოწმებისა და სასწრაფო ოპერაციის შემდეგ მიიღო.**

მკურნალობას ალბათ სულ ცოტა ნახევარი წელი მაინც დასჭირდება, რაც WBC ვერსიის მსოფლიო კრივის საბჭოს წესების მიხედვით კლიჩკოს მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვით ემუქრებოდა.

ერთ-ერთი გერმანულ გამოცემასთან ინტერვიუში ვიტალიმ გაკვრით თქვა, რომ კარიერის გაგრძელებას პოლიტიკაში აპირებს. გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ის, შესაძლოა, კიევის მერი გახდეს.

### ვეა პრეზიდენტი ვერ გახდა

**მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა ფეხბურთელმა, „პარი სენ-ჟერმენისა“ და „მილანის“ ყოფილმა მოთამაშემ, 1995 წელს, „ოქროს ბურთის“ მფლობელმა, 39 წლის ჯორჯ ვეამ მოიგო ლიბერიის პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური, დააგროვა ხმების 28 პროცენტი, მაშინ, როდესაც მის მეტოქეს 20 პროცენტი ჰქონდა, მეორე ტურში ყოფილმა ფეხბურთელმა ამომრჩეველთა ხმების 41,2 პროცენტი დააგროვა, ხოლო მისმა მთავარმა კონკურენტმა, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ექსპერტმა ელენ ჯონსონ-სირლიფმა — 59,9 პროცენტი.**

ისე რომ, ვეა ვერ გახდა პირველი ფეხბურთელი ქვეყნის პრეზიდენტის რანგში, სამაგიეროდ ვეა ჯონსონ-სირლიფი პირველი ქალი პრეზენტაცია აფრიკის კონტინენტის მთელ ისტორიაში.





### მძლეოსნობა კი არა, ეროტიკა

**პოპულარული ჟურნალის Playboy ფურცლებზე კიდევ ერთხელ გაიელვა გერმანული სპრინტის ვარსკვლავმა ზინა შილკემ, რომლის ფორმებმა ბევრ მამაკაცს მშვიდი ძილი დააკარგვინა.**

ბოლო ხანებში 24 წლის მორბენალი, ანა კურნიკოვას რომ ადარებენ, არცთუ წარმატებით გამოდის სარბენ ბილიკებზე, სამაგიეროდ მისი მოშიშვლებული სხეული კვლავ ბევრი მკითხველ-მრავალი გამოცემის ყურადღების ცენტრშია. ის უფრო ხშირად ჩანს ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, ვიდრე სპორტული კვარცხლბეკის საფეხურებზე.

ყოველი გარბენის შემდეგ შილკეს თავ-პირის მტვრევით მისდევს ფოტოგრაფების მთელი გუნდი. ლამაზმანიც იმედს არ უცრუებთ — ჭიპში გაყრილი რგოლით, თეძოებზე ამოსვირინგებული ჩინური იეროგლიფებით და მოდური მზის სათვალეებით ხიბლავს მათ.

**განცხადება**

**მიმდინარეობს** სააქციო საზოგადოება „ალმავლობის“ ლიკვიდაცია. დაინტერესებულ პირებს და საზოგადოების კრედიტორებს შეუძლიათ მოგვმართონ ერთი თვის ვადაში საზოგადოების ფაქტობრივ მისამართზე — თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 88, ტელ: 8 99 76 69 14, ან 877 41 91 56.

ლიკვიდატორი **გურამ მეგრელიშვილი.**

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

◎ წიგნი

# ქისტების ისტორიის თანამიმდევრობით თხრობის ცდა




**ქართული ისტორიოგრაფიისთვის ღირებული შენაძენია წლეულს გამოცემული ხასო ხანგოშვილის ისტორიულ-პოპულარული ნარკვევი — „ქისტები“, რომელიც სულ ახლახან დაბეჭდილ მათე ალბუთაშვილის ნაშრომთან „პანკისის ხეობა“ ერთად აგრძელებს გასულ საუკუნეში ქართველი მეცნიერების თ. სახოკიას, ს. მაკალათიას, გ. ჩიტაიას და სხვათა მიერ დაწყებულ კუთხეთა შესწავლის ტრადიციას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოებები სხვადასხვა დროს, განსხვავებულ პირობებში არის შექმნილი, მათ აერთიანებს საერთო მოტივი. ეს არის მშობლიური კუთხისა და საქართველოს მიმართ უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება.**

ხასო ხანგოშვილის ნაშრომი „ქისტები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განაცხადია კავკასიოლოგიური კვლევის მიმართულებით. ეს არის პირველი ცდა ქისტების ისტორიის თანამიმდევრობითი თხრობისა, სადაც ავტორი, როგორც ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებზე, ასევე წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, წარმოაჩენს ამ კუთხის ისტორიას საერთო კავკასიურ მოვლენათა ფონზე.

ქისტების ყოფა და მისი ისტორია არის სანიმუშო მაგალითი ერთიან კავკასიურ ოჯახში სხვადასხვა ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობისა. ქისტი, როგორც ქართულ ლიტერატურაში, ასევე ქართველთა ცნობიერებაში არასოდეს არ ყოფილა უცხო. ქისტები, როგორც ბატონი ხასო მიუთითებს, ქართველთა შეგნებაში აღიქმებოდნენ, როგორც ქართველური ტომი, რომელიც თავისრესების განუყოფლობას კავკასიის სივრცეში მშვიდობის დამკვიდრებისთვის.

ბოლო პერიოდის ჩეჩნეთის ისტორიის გადმოცემისას ავტორის გაბედულობა შესაშურია. ჯერ კიდევ დაუსრულებელ პროცესებს იგი, ჩემი აზრით, საკმაოდ მართებულად აფასებს. შეიძლება არ დავეთანხმოთ პატივცემული მკვლევარის ყველა მოსაზრებას, მაგრამ ჯერ არავის შეუკრებია და გადმოუცია ასე სრულყოფილად გასული საუკუნის მიწურულისა და XXI საუკუნის დამდეგს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენები, რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული სასტიკი ღონისძიებები ჩეჩენი ხალხის მიმართ.

ქართველი ხალხი თანაგრძნობითა და დაუფარავი აღფრთოვანებითაც შეხვდა ჩეჩნეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას. თავდაპირველად, კავკასიის ხალხთა



ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქისტი მოკავშირეები

ში ატარებდა როგორც ქართულ, ასევე ჩეჩნურ კულტურას.

დღეისთვის, როდესაც არის გარკვეული ცდა ერთმანეთს დაშორდნენ კავკასიის ხალხთა ინტერესები, ხასო ხანგოშვილის ნაშრომი კიდევ ერთხელ შეახსენებს კავკასიის ხალხთა ისტორიითა და მისი მომავლით დაინტერესებულ მკვლევარებსა და პოლიტიკოსებს, ამ ხალხების ინტეგანმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სწორედაც კავკასიის ხალხთა ინტერესთა თანხვდომა და თანადგომა იყო. ეს უკანასკნელი წლების მოვლენების მნიშვნელოვანი გაკვეთილია. თუ XIX საუკუნის მოვლენებიდან ვერ გაკეთდა შესაბამისი დასკვნები, დღეს მაინც უნდა დავფიქრდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კავკასიის ხალხებისთვის ერთიანობა. რუსეთის პრეზიდენტმა ბ. ელცინმა აღიარა კიდეც, რომ მხოლოდ მაშინ შეძლო პირდაპირი საბრძოლო ოპერაციების დაწყება ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, როდესაც საქართველოში დაემხო ეროვნული ხელისუფლება და მისთვის სასურველი რეჟიმი დამყარდა.

ხასო ხანგოშვილის ნაშრომი უპირველეს ყოვლისა, საინტერესოა, როგორც სამეცნიერო გამოკვლევა, მაგრამ ავტორისეული სადა ენა და თხრობის მანერა აუცილებლად მიიზიდავს მკითხველთა ფართო წრეს.

თუმცა ბატონი ხასო გულისტკივილით აღნიშნავს, ჩეჩნებს არ გააჩნიათ ერთიანი თავდაცვის ინსტიქტი და მათში ინდივიდუალური თავდაცვის გრძნობაა ძლიერად განვითარებულიო, 90-იან წლებში მთელი მსოფლიო დიდი აღტაცებით შეჰყურებდა თავისუფლებისმოყვარე ჩეჩენ ხალხს. მათ ამ პერიოდში დაამტკიცეს, რომ ეს ხალხი ღირსია თავისუფლების და ეს თავისუფლება ერის ერთიანობაზე დგას. 1992 წელს საქართველოდან გროზნოში დევნილებს აღაფრთოვანებდა ჩეჩენთა ერთიანობა და შეუდრეკელობა.

ხასო ხანგოშვილის ნაშრომი უდავოდ საყურადღებო გამოკვლევაა კავკასიის ხალხთა ისტორიის და ქართველი და ჩეჩენი ხალხის საუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ. ამ ნაშრომით ავტორმა პირველმა მოგვცა ქართველი და ჩეჩენი ხალხის საუკუნოვანი კეთილმოსურნე ურთიერთობის ისტორია, ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე ეპიზოდურად რომ იყო წარმოდგენილი.

ეს ნაშრომი, ქართულ-კავკასიური ურთიერთობების ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ახლახან გამოცემულ წიგნებთან: ნიკო ჯავახიშვილი — „ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან“, მათე ალბუთაშვილი — „პანკისის ხეობა“ ერთად, უაღრესად მნიშვნელოვან კავკასიოლოგიურ გამოკვლევებად მიმაჩნია.

ამრიგად, ამ ნაშრომების გამოცემა ახალი ეტაპია კავკასიოლოგიური კვლევის დარგში. სწორედ ასეთი სახის ნაშრომები დაამკვიდრებს ჩვენში ახალ სკოლას, რომელიც შეძლებს საქართველო აქციოს კავკასიოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანეს ცენტრად.

**ბეჟან ჯავახია,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

◎ ინფორმაცია

## სტუდენტთა შეფასების ახალი სისტემა

**ივანე ჯავახიშვილის** სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების ახალი სისტემა დაწესდა.

სწავლების ყველა საფეხურსა და ყველა კურსზე სტუდენტების შეფასება ახალი, 100-ქულიანი სისტემით მოხდება.

100 ქულა წარმოადგენს სტუდენტის მაქსიმალურ საბოლოო შეფასებას კონკრეტული სასწავლო კურსის გავლის შემთხვევაში.

კრედიტის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 100-დან 51 ქულის დაგროვება და ეს პრინციპი საერთოა მთელი უნივერსიტეტისთვის. 41-დან 50 ქულამდე დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა საბოლოო გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის საშუალება კურსის გამეორების გარეშე. 40 ქულაზე ნაკლების დაგროვების შემთხვევაში კი სტუდენტმა უნდა გაიმეოროს კურსი.

შეფასების ახალ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასე გამოიყურება: 91-100 ქულა — ფრიადი, 81-90 ქულა — ძალიან კარგი, 71-80 ქულა — კარგი, 61-70 ქულა — საშუალო, 51-60 ქულა — დამაკმაყოფილებელი.



41-50 არადამაკმაყოფილებელი ქულაა, რომლის დაგროვების შემთხვევაში სტუდენტს საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება ეძლევა, 40 ქულის შემთხვევაში სტუდენტს კრედიტის მიღებისთვის სასწავლო კურსის ხელახლა გავლა მოუწევს.

ამა თუ იმ საგანში სტუდენტთა შეფასება სულ მცირე სამი კომპონენტით განისაზღვრება (დასწრება, შუალედური შეფასებები, გამოცდა), აქედან ერთი სავალდებულო საბოლოო გამოცდაა, რომლის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს 40 პროცენტს.

როგორც უნივერსიტეტში აცხადებენ, შეფასების ძველ, ხუთქულიან სისტემასთან შედარებით ასქულიანი სისტემა სტუდენტთა წარმატების უკეთ დიფერენცირების საშუალებას იძლევა.

ინტერპრესნიუსი

## ბუნებრივ აირს ვისგან შევიძენთ?

**წლის ბოლომდე** იწურება ყველა კონტრაქტი, რომელიც საქართველოს ბუნებრივი აირის იმპორტთან დაკავშირებით გაფორმებული აქვს. ჯერჯერობით გაურკვეველია, რომელი კომპანია და რა მოცულობით მიაწვდის საქართველოს ბუნებრივ აირს.

როგორც მედიანიუსს ენერგეტიკის სამინისტროში განუცხადეს, მოლაპარაკებები ქვეყნის მთავრობასა და გაზის იმპორტიორ კომპანია „გაზპრომს“ შორის „მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს“.

საქართველოსა და „გაზპრომს“ შორის 25-წლიანი თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება 2003 წელს დაიდო. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში აცხადებენ, ხელშეკრულების გადახედვის საკითხი დღის წესრიგში საქართველოში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დადგა, რადგან „გაზპრომმა“ ტარიფის მომატება მოითხოვა. ამ საკითხზე ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს. „გაზპრომი“ ცდილობს გაზის მოწოდების თაობაზე საქართველოს მთავრობასთან ისევ



გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმოს.

— გაზის მოწოდების გრძელვადიანი პერსპექტივა საშუალებას მისცემს „გაზპრომს“, დაგეგმოს პოლიტიკა და შეამციროს ტარიფები, — აცხადებენ „გაზპრომის“ შვილობილი კომპანია „გაზექსპორტის“ საქართველოს წარმომადგენლობაში.

## ციხეში ნარკოტიკი ქალს შეჰქონდა

**სასჯელაღსრულების** დეპარტამენტის №1 საპყრობილის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, ერთ-ერთ პატიმართან პაემანზე მისული ქალი დააკავეს. მას ჩხრეკისას



ნარკოტიკული ნივთიერება აღმოუჩინეს.

პატიმარ ნუგზარ თ-თან პაემანზე გამოცხადებული მოქალაქე თეა ჯ-ია, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შეამოწმეს. პირადი ჩხრეკისას მას ტანსაცმელში აღმოაჩნდა პოლიეთილენის პარკში გამოკრული ნივთიერება. ექსპერტიზაზე დადგინდა, რომ ეჭვმიტანილი საპყრობილეში 0, 28 გრამი ჰეროინის შეტანას ცდილობდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას აწარმოებს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი.

მედიანიუსი

# განჩინება
## გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ

29 აგვისტო ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილმა, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, განვიხილე ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის უფროსის დავით ჯავახაძის განცხადება სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.**

**დავადგინე**

1. სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება.
2. მოვალე სს „ბამბის საქსოვ ფაბრიკას“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება.
3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს მურად ფურცხვანიძე, დაბადებული 1964 წლის 6 იანვარს ქ. ქუთაისში, მცხოვრები: ქ. ქუთაისი, მშენებელის ქ. № 65/12, უმაღლესი ეკონომიკური განათლებით.
4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა, სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ ქონება, კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი.
5. მოვალე ქუთაისის სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. 11) თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძველის ჩვენებით. ვადის გასვლის შემთხვევაში, განაწილება მოხდეს მათი მოთხოვნების გაუთვალისწინებლად.
6. ყველა იმ პირმა, რომელსაც მოვალე სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ (ქ. ქუთაისი, გუგუნავას ქ. 7).
7. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს მოვალე სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ ქონებას მიკუთვნებულ რაიმე ნივთს, ან ვალდებულია მოვალის მიმართ რაიმეს შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველს.
8. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ პირს, რომლებთანაც სს „ბამბის საქსოვ ფაბრიკას“ აქვს საქმიანი ურთიერთობა.
9. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე.
10. განჩინება გაეგზავნოს კავშირგაბმულობის განყოფილებას.
11. სს „ბამბის საქსოვი ფაბრიკის“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნეს სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტირებელ ორგანოს.

სწავლა მოსწავლეთა

## წარმატებულ სწავლებას საფუძვლად უდევს დამოუკიდებელი წარმატებანი

**ასეთი მიდგომისას ბავშვები ეჩვევიან არასტანდარტულ აზროვნებას, საკითხების ჩამოყალიბებას, საკუთარი ძალების გაანგარიშებას და თავს წარმოაჩენენ როგორც წარმატებულ, შემოქმნედებითად ნიჭიერ მკვლევარებად. ასეთ შემთხვევაში ცოდნის ჩამოყალიბებული ქსელები კიდევ უფრო საფუძვლიანად და ხანგრძლივი დროით წარმოჩინდებიან.**

მაგალითად, ქიმიის გაკვეთილზე ნაცვლად იმისა, რომ კათედრიდან მოწყენილად ახსნას ნახშირბადი, ბავშვებს საშუალებას აძლევს ითამაშონ მოლეკულებისაგან აგებულ „კონსტრუქტორზე“. ჯერ მოსწავლეები ხაზავენ ქაღალდზე ატომების შეერთების ყველა შესაძლო ვარიანტს, შემდეგ ამზადებენ ბურთულებისა და ლითონის წკეპლების მოლეკულის მოდელს. მაშინვე ჩანს, როგორია ატომების განლაგება კრისტალურ ცხრილში არაფუნქციურად — მათში ქიმიური კავშირები მეტად დიდი ძაბვის ქვეშ არიან. საბოლოო ჯამში ბავშვებს არა მარტო კარგად ესმით, არამედ აგრეთვე უკეთ იმახსოვრებენ, თუ როგორ უერთდებიან ერთმანეთს ნახშირბადის მოლეკულის ატომები.

## ნუ გეშინიათ შეცდომების, ისინი სასარგებლონი არიან

**„თუ 7+5=!4, მაშასადამე 8+3=13“, თავისთვის ჩურჩულებს პირველკლასელი და მაგალითებს რვეულში იწერს. უთუო მასწავლებლური რეფლექსი — დაუყოვნებლივ გაასწოროს შეცდომა. ეგებ, უფრო უკეთესია გააკეთოს ისე, რომ ბავშვმა გაიგოს იგი?**

მოსწავლემ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ მეორე მაგალითში პირველი ციფრი ერთეულზე მეტი გახდა, ხოლო მეორე — ორზე ნაკლები, მაშასადამე, მეორე პასუხიც ერთეულზე ნაკლები უნდა იყოს, ვიდრე პირველი. მაგრამ თუ მასწავლებელი შეცდომას მაშინვე საჯაროდ ცნობილს გახდის, სიხარული და სიამაყე ბავშვისა, რომელმაც „სიახლე“ აღმოაჩინა, ჩამწარებული იქნება, ენთუზიაზმი — ჩაფერფლილი. მეტი წილი შეცდომების გამო იფუშება ნაყოფიერი გონებრივი მუშაობა. ისინი დიდმნიშვნელოვან საფეხურს წარმოადგენენ სწორი და, შესაძლოა, ორიგინალური გადაწყვეტის გზაზე. თავისთავად, შეცდომა უთუოდ უნდა გასწორდეს და თანაც მკაფიოდ აიხსნას, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით, შემდეგ ეტაპზე.

## სწავლა საკუთარ რიტმსა და ტემპში

**წარმოიდგინეთ პატარები, რომლებმაც მშობლიური ენა უნდა აითვისონ არა ეტაპობრივად, არამედ ერთბაშად, ერთი დაჯდომით. სწორედ ასეთ მიდგომას უწევს პროპაგანდას ტრადიციული სკოლა.**



სასწავლო მასალის ათვისება მოქცეულია მკაცრ დროებრივ ჩარჩოებში, რაც თავისთავად აქრობს ბავშვურ თავმოყვარეობასა და კლავს საქმიანობის წყურვილს. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია: ვიღაც ასწრებს უფრო სწრაფად, ვიღაც — უფრო ნელა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ გონებამძიმე მოსწავლეები ნაკლებად უნარიანი არიან მასალის ათვისებაში, ვიდრე ისინი, რომლებიც სწრაფად ეუფლებიან მას. მასწავლებლები ავტომატურად წერენ ნელა მოაზროვნე ბავშვებს ჩამორჩენილთა რიგებში. თანამედროვე სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების შესაძლებლობას ინდივიდუალურ ტემპსა და რიტმში. მაგალითად, გაკვეთილზე მიცემული დავალებანი უნდა ითვალისწინებდეს შესრულების რამდენიმე ვარიანტს. მაგალითად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე ერთი ამბავს ყვება სურათების მიხედვით, თავისუფალი საუბრის ფორმით, მეორე კი წაკითხული ტექსტის ელემენტებს იყენებს.

## სწავლის შესწავლა: მთავარი გაკვეთილი

**ტრადიციულ გაკვეთილს საფუძვლად უდევს შემდეგი მოდელი: მასწავლებელი ყვება გაკვეთილს, იძლევა დავალებებს და იწყებს გამოკითხვას. ბავშვების მონაწილეობა მეცადინეობაში ჩვეულებრივ შეზღუდულია პასუხებით, რომლებიც იდეალში უნდა გამომდინარეობდნენ მასწავლებლის მიერ ახსნა-განმარტებებიდან.**

თანამედროვე მეთოდიკა უპირატესობას ანიჭებს დამოუკიდებლობას, შემოქმედებით მიდგომასა და ვარაუდობს მუშაობის სხვადასხვანაირ ფორმას. ბავშვები უნდა მიეჩვიონ, რომ დამოუკიდებლად გაეცნონ მასალას, გააანალიზონ იგი, გამოყონ მთავარი და დააკონსპექტონ. შემდეგ ეტაპზე მათ შეეძლებათ გააკეთონ მოხსენებანი და მოამზადონ დასაბუთებული პასუხები კითხვებზე, რომლებიც გაუჩნდებათ მასწავლებელსა და თანაკლასელებს. მეტად მნიშვნელოვანია განუვითარდეთ უნარი — აღიქვან ინფორმაცია სმენით და ჩაიწერონ მოსმენილი, ასევე იმის უნარიც, რომ მოამზადონ და გამართონ საინტერესო დისკუსია. ყველაფერი ეს ბავშვებს გამოადგებათ სამერმისოდ — უმაღლესი განათლების მიღებისას.

## შეფასება მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორ?

**თუ ბავშვს სწავლა იტაცებს, შეფასება არცთუ მნიშვნელოვანია მისთვის. იგი ასრულებს ინდიკატორის როლს: რამდენად ეფექტიანად ხდება ცოდნის ათვისება. მაგრამ კლასიკური შეფასებანი ხშირად არ იძლევიან წარმოდგენას რეალური შედეგებისა და შემდგომი მუშაობის სტრატეგიების შესახებ.**

ამიტომ ექსპერიმენტულ სკოლებში უპირატესობა ენიჭება ცოდნის შეფასების ზეპირ სისტემას კონსტრუქციული ორმხრივი ან ჯგუფური განხილვის ფორმით. ასეთი პრაქტიკა პედაგოგს საშუალებას აძლევს დიფერენციულად მიუდგეს თითოეულ მოსწავლეს და ურჩიოს, თუ როგორ აღმოფხვრას ცოდნაში წამოჭრილი პრობლემები. ნავარაუდევია საროლე თამაშის საინტერესო ვარიანტი: თითოეულ მოსწავლეს შეუძლია გამოვიდეს მასწავლებლის როლში ნებისმიერი თანაკლასელის მიმართ, მაგრამ იმ პირობით, რომ შემდეგ პარტნიორები როლებს გაცვლიან. მუშაობის ასეთი ფორმა მოსწავლეებს ეხმარება დაძლიონ შიში შეფასების დროს.

GEO

მხოლოდ მოზრდილთათვის?

# ეგეც შენი წიგნი!

**„მიხეილ ლერმონტოვი. მხოლოდ მოზრდილთათვის“ — პატარა წიგნის ეს სახელწოდება დამაინტრიგებელია. წიგნაკი ამას წინათ გამოუშვა „Пресском“-მა და ხუთიათასიანი ტირაჟით დასტამბა „ულიანოვსკის ბეჭდვითი სიტყვის სახლმა“.**



მხოლოდ მოზრდილთათვისო — იგივეა, რაც „16 წლის ასაკამდე“ ფილმიო. არადა, აკრძალული ხილი ხომ ასე გემრიელია! წიგნის მაღაზია არც კინოთეატრია, არც ღვინის დახლი და არც ინტიმ-შოპი, სადაც ავად თუ კარგად, მაგრამ მაინც აქცევენ ყურადღებას კლიენტების ასაკს. სულიერი პროდუქციის რიგებით გაწყობილი თაროები ყველასთვის მისაწვდომია. ნებისმიერი მოზარდი, რომელსაც ყელში ამოუვიდა სასკოლო რუსული კლასიკური პოეზია, შეძლებს „არატრადიციული“ ლერმონტოვის ყიდვას.

ერთი შეხედვით გეგონება, რომ გამომცემლებმა გადაწყვიტეს ლიტერატურული ხარვეზის შევსება და მკითხველთათვის ნაკლებად ცნობილი მიხეილ ლერმონტოვის დაბრუნება „უწმაწური“ ივანე ტურგენევის, ნიკოლოზ ნეკრასოვისა და ვინმე მიმბაძველი ავტორის კომპანიაში, ოღონდ საკმარისია ყდის ქვეშ შეიხედო, რომ ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინება. მხატვრის მიერ მხურვალე სურვილობისას გამოსახული წყვილი მჭერმეტყველურად მიგანიშნებს, რომ წიგნაკი „იმაზეა“.

ლერმონტოვის „იუნკერული“ პოემები (კავალერიის იუნკერთა სკოლაში დაწერილი) დიდხანს პრაქტიკულად უცნობი იყო. სამაგიეროდ, მამაკაცთა წრეებში გადადიოდა ხელიდან ხელში და „იკითხებოდა“. დღეისათვის „ტიზენჰაუზენი“ და „ოდა საჭირო ოთახს“ შეიძლება მამათმავლურ საიტებზე ნახოთ.

— პოეტს ეგებ ყველაზე საშინელ სიზმარშიც არ დაეზმანებოდა, რომ ეს ლექსები საიუნკერო სკოლის კედლებს გასცილდებოდა, — ამბობს ლიტერატურული კრიტიკოსი, ლერმონტოვთმცოდნე ალა მარჩენკო. — ისინი ხომ მხოლოდ იუნკერი ამხანაგებისთვის იყო ჩაფიქრებული და არა, რასაკვირველია, პრესისთვის.

არაფერი გასაკიცხი არ არის იმაში, რომ ლერმონტოვის ადრინდელი, მაპროვოცირებელი ლექსები უკუპიურებოდ გამოვიდა დღის სინათლეზე. გენიოსი ყველაფერში ნიჭიერია, ოღონდ რატომ უნდა ათქვეფილიყო კოქტეილი დიდი რუსი პოეტის შემოქმედებისა და იმ უცნობი ავტორის ნაწერებისგან, რომელთანაც სამშობიარო ორგანოები ადამიანისაგან მოწყვეტილად მოქმედებენ და თავიანთი გავარჯიშებული ცხოვრებით ცხოვრობენ, როგორც გოგოლის ცხვირი?

ვითომ მიმბაძველური „დემონი“, მონიშნული, როგორც „ეროტიკული პოემა ლექსად“, პროლოგითა და ეპილოგით, ისეთი ბინძური წარმოსახვითაა შეკოწიწებული, რომ სარეცხი ფხვნილით მოგინდება ხელების დაბანა. საბრალო თამარი, თავისი დედაკაცური ღირსებით, ისეთ ხათაბალებში ხვდება, რომ შეგზარავს. უცნობი ავტორი შთაგონებას ნამდვილად არ კვებავდა კავკასიის მთებში — უფრორე რომელიმე ვაგზლის საპირფარეშოს კედლებზე წარწერების შესწავლითა და თანაც ამით განსაკუთრებული სიამოვნების მიღებით.

ძველებური გრავიურების სულისკვეთებით შესრულებული მრავალრიცხოვანი გრავიურა, რომლებიც წიგნშია მოყვანილი, პატივით მოსავს ეროტომან-პორნოგრაფოსსაც — კვლავ და კვლავ უცნობს. ვაგლახ, რომ ვერასოდეს შეიტყობთ, თუ ვინ დაღვარა ოფლი დიდთათვის ამ გამოცემაზე. ტექნიკურ მონაცემებში ვერ ნახავთ რედაქტორის, მხატვრის, მხატვრული რედაქტორის, ტექნიკური რედაქტორის, კორექტორისაც კი გვარებს. თავმდაბლობით მოუვიდათ თუ უბრალოდ, მოერიდათ? ღმერთმანი, იყო კიდევაც მოსარიდებელი.

სულაც არ ვეკუთვნი იმ ფარისევლებს, რომელნიც მრისხანედ რეაგირებენ მაგარ სიტყვაზე. ის სასეიროდ მორთულიც არის ხოლმე, ვირტუოზულად ჩახლართულიც და თავის ადგილზე ნათქვამიც, ამიტომაც სრულებით არაშეურაცხმყოფელი. ლაპარაკია ქუჩურ გინებაზე, რომელიც განმარტებითვე არის საზიზღრობა.

**ელენა სვეტლოვა.**

МОСКОВСКИЙ КОМСОМОЛЕЦ

# სტუმრად ვამპირებთან

**მსოფლიოში ერთადერთი „ვამპირების მუზეუმი“ პარიზშია გახსნილი. მისი დამაარსებელია ინგლისური ენის ყოფილი მასწავლებელი ჟაკ სირჟანი, რომელიც თავის კოლექციას 10 წელია აგროვებს.**

400-ზე მეტი ფილმი, ათეულობით უნიკალური წიგნი, ხელოვნების ნიმუში, მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერები — აქ ყველაფერს ნახავთ რაც კი ვამპირებს ეხება და რაც მათზე შექმნილა მთელ მსოფლიოში. აქ არის ციცქნა „ვამპირული რესტორანი“ და სასტუმრო, რომელიც უქმე დღეებში მუშაობს მათთვის ვისაც ვამპირთა სამყაროში კარგა ხნით სურს დარჩენა. ჟაკ სირჟანი მნახველებს დრაკულას კოსტიუმით ხვდება და გიდობასაც თავად უწევს საშინელებათა სამყაროში.

**შაბათის სტუმარი**

# გეიხარე, ჩემო გემრიელო კაცო!..



## ნიკა ქავთარაძე - „ზესტაფონის ეროვნული გმირი“

**— ეს რა ქენი, ჩემო გემრიელო კაცო, აქეთ მეწვიე... „ტელევარსკვლავები“ ასე არ ანებივრებენ ჟურნალისტებს,** — ვეგებები რედაქციის სამუშაო ოთახში შემოსულ ნიკა ქავთარაძეს.

— მე ჯერ ნამეტანს არ ვკიაფობ, ჩემო ბატონო... თანაც არ გვეშლება უფროს-უმცროსობა ზესტაფონელებს...

**— გეიხარე... ზესტაფონელი ხარ შენეე...**

— კლდეეთში დაბადებული და გაზრდილი, ზესტაფონში ვსწავლობდი მე-3 საშუალოში...

**— ხშირად ჩადიხარ ხომეეე... ამ შემოდგომაზე ან სიმინდი გექნებათ კლდეეთში მოსატეხი, ან ყურძენი დასაწური...**

**— მერე კი უნივერსიტეტი და „კავეენი“ არა?**

— ჰო... სტუდკავშირში კულტურის საკითხების „შეფი“ გახლდით... გავაკეთეთ „კავეენი“, წარმატებებიც გვქონდა. ამასობაში, ქართულ ტელესივრცეში შეიქნა თავის გამოჩენის შესაძლებლობა და ეს ოცი ბიჭი — განუყრელი მეგობრები — სხვადასხვა ტელეარხზე მიმოვიფანტეთ... ჩვენი ძირითადი პროფესიები, შეიძლება ითქვას, აღარც გვახსოვს... მე, მაგალითად, ეკონომისტობას ნაღდად მირჩევნია ის, რასაც ამწუთას ვაკეთებ... არ იფიქროთ — პოპულარობის გამო... უბრალოდ, ტელევიზია გახდა ჩემი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება...

— ვაპირებ, ვმუშაობ... ალბათ, საახალწლო გადაცემაში მოვიწვევ...

**— რა აჯობებს, პრეზიდენტი რომ თავის თავზე ანეკდოტებს წეიკითხავს...**

— თუ ექნა საანეკდოტეთ საქმე...

**— მე რამდენადაც ვიცი, შენი შოუ უცხოეთიდან არ არის გადმოღებული...**

— მოდით, ჯერ ასე ვთქვათ: ეს არ არის ჩემი შოუ, ეს არის ჩვენი გუნდის შოუ, სადაც ყველანი თანაბარი ვართ. ჩემი მეგობრები რომ არა, მე მარტო რას გავაკეთებდი... ყოველი გადაცემის სცენარს ერთად ვწერთ... ისე, შოუ მართლაც ორიგინალურია, არსაიდან წამოგვიღია... რას ვიზამთ, ჩვენში ასეთი რამ ახლა მკვიდრდება, ამდენად, სამარცხვინოც არაფერია თუ უცხოურს ვაქართულებთ...

**— შინაგანი „ქიშპი“ ნაღდად გექნებათ „რუსთაველებთან“...**

— ეს ტელევიზიების საქმეა, ჩვენ ვმუშაობთ, რაც შეგვიძლია, ცდას არ ვაკლებთ და ხან ასე გამოვა, ხან ისე...

**— რამდენს გიხდიან?.. ოჯახი კმაყოფილია?..**

— ზუსტად ვერ გეტყვით... რა ვიცი... ისე, მოგეხსენებათ, ოჯახი უძირო ხრამია, ჩემო ბატონო... თუმცა, კმაყოფილი უნდა იყვნენ ჩემი მეუღლე ვერიკო — ბედელაძის ქალი და ციცქნა ალექსანდრე და ნინო... იუმორში ვატარებთ ცხოვრებას...



— არ მაწუხებენ ბებია და ბაბუა... ჩვენ მივხედავთ ყორიფელს, ოღონდ, შენ გვასახელეო... ჩევიყვანდი მეგობრებს ყურძნის საკრეფად, მარა, რა გოუძლებდა მაგათ...

**— ესე იგი კლდეეთში გყავს ბებია და ბაბუა...**

— აბა, რავა... მამია და ნორა მასწავლებლები... ბებო დღესაც ასწავლის კლდეეთში...

**— ალბათ, მთელი ზესტაფონი, თუ შუქი აქვთ, შენს შოუსაა მიცირცინებული ტელევიზორთან...**

— უჰ... ზესტაფონის ეროვნული გმირი ვარ...

**— ეს ასეთი იუმორის ნიჭი საიდან?**

— ეტყობა, გენებით გადმოვიდა... ბაბუაჩემი და მამაჩემი ძალზე ენამოსწრებული არიან... კაი პურმარილის, კაი სიტყვა-პასუხის ხალხი... მეც სკოლაში ნამეტანი აქტიური ბოვში ვიყავი... აბა, სცენაზე გამოსვლაო, აბა, სკეტჩებიო...

**— ზესტაფონი დიდი თეატრალური მოღვაწეების სამშობლოა... ჩაგებარებინა, შე კაცო, თეატრალურზე, მიემატებოდი ჩხეიძეებს, ზაქარიაძეებს, ღამბაშიძეებს...**

— მაინც ვფიქრობ, რომ ასე სჯობს... თეატრების „ბუმი“ რომ იყოს, კი ბატონო, მაგრამ რამდენი უნიჭიერესი კაცი (ახალგაზრდა კაცი) უმუშევარია დღეს... ჩვენი შოუ კლასიკა არ არის, მაგრამ ჩართული ხარ ყოველდღიურობაში, შეიძლება ითქვას, საზოგადო მოღვაწე ხარ და ეს ბევრს გავალებს...

**— გეიხარე... ხანდახან ხელისუფლებას რომ „შპილკებს“ უკეთებ, ყურს არ „გიწევენ“?**

— არ ყოფილა მასეთი შემთხვევა... მეც რა ისეთ „შპილკებს“ ვუკეთებ... თუ პრეზიდენტზე ვხუმრობ, მხოლოდ გულწრფელად და მინდა, ეს მან გაიგოს...

**— ერთხელაც, მოიწვიე, რა იქნება...**

**— ეგრე ჯობია... შენთან ცოლშვილს რა მოაწყენს, ანეკდოტებიც გეყვარება...**

— განსაკუთრებით ერთი მიყვარს ნამეტნავად. „წვერებიანი“ კია, მარა კაია: ფაშისტებმა გაზის კამერაში შეყარეს ტყვეები. რამდენიმე საათის შემდეგ ნახეს, რომ მხოლოდ ორი კაცი გადარჩენილა. გაუკვირდათ, — ვინ ხართ თქვენ, ასეთებიო...

— ჩვენე, ბატონო, ზესტაფონელები ვართ, ფეროში ვმუშაობდით ომამდეო, იქაურმა კვამლმა ვერაფერი გვიქნა და თქვენი გაზი რას გვიზამდაო, — უპასუხეს მშვიდად.

— (ვიცინით გულიანად) **გეიხარე, ბიძიკო!..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## შაბათი, 12 ნოემბერი

08.00 "მთავარი" 08.15 ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" 08.40 საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" 09.00 მომავლის ცირკი 09.45 საბ. სერიალი **"სკოლის შემდეგ"** 10.00 დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" 10.30 დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი" - სანტა-ლუსია 11.30 დოკ. ფილმი "ჯანსაღი კვების სტილი" 12.00 "მთავარი" 12.20 "მსოფლიო რაგბი" 12.55 სერიალი **"დინოტოპია"** 13.55 **რაგბი**. საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. საქართველო-ჩილე. 15.45 დოკ. ფილმი "მზე - მტერი და მოყვარე" 17.00 "ახალი პროექტი" – ელექტრონავტები 18.00 "მთავარი" 18.10 მუსიკა - ჯგუფი "ელო" 19.00 სერიალი **"სტუდენტები"** 20.00 "მთავარი" -საინფ. პროგრამა 20.30 ბიოგრაფიული პორტრეტები - დედოფალი. 21.30 ქართ. ფილმი **"ორფეოსის სიკვდილი"** 23.10 დოკ. ფილმი "სიჩქარე" 23.40 მხ. ფილმი **"მამები"** (U) 1-ლი ს. 01.10 საინფორმაციო გამოშვება

19.00 ტელეზღაპარი 19.15 მულტსერიალი "ტენტენის თავგადასავლი" 19.40 კონცერტი 20.30 კინოსეანსი **"თუში მეცხვარე"** მე-2ს.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.30 "ჯეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 გაიღიმეთ ფარული კამერაა 12.50 მხ. ფილმი **"მოსკოვს ცრემლების არ სჯერა"** 15.20 მხ. ფილმი **"სერიული მკვლელობები"** (U) 17.00 სერიალი **"ენტერპრაიზი"** 18.20 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 19.15 მხ. ფილმი **"წარღვნის მოლოდინში"** (U) (პიერ რიშარი) 22.00 შაბათის ღამის შოუ 23.00 "ჯეობარი" 00.00 მხ. ფილმი **"ორნი ქალაქში"** (18) 02.20 კურიერი

09.00, 13.00, 15.00, 17.00 ქრონიკა 09.10 12 პლუსი 10.30 უცხო სუნელი 11.00 ჩვენი ეზო 11.20 "რაო-რაო?" 11.30 "დილის ფოსტა" 12.20 "იმედითა შენითა" 12.40, 16.15 **ტვ**-მარკეტი 13.20 მხ. ფილმი **"საიდუმლო აგენტთა კლუბი"** (U) (ჯ. კრონინი) 15.15 "დეკორაციო" 15.45 დოკ. სერიალი "მსოფლიოს შვიდი საოცრება" 1-ლი ს. 16.30 უცნობი საქართველო 17.10 სერიალი **"მოჯადოება"** 18.00 "ეტალონი" 19.00, 20.00, 23.00, 03.50 ქრონიკა 19.05 სერიალი **"მოჯადოება"** 20.30 "ნაცნობი საქართველო" 21.00 სერიალი **"საპონი"** 22.00 "ალავერდი" 23.30 მხ. ფილმი **"წყვდიადის სამეფო"** (15) (კ. ბეკინსეილი) 02.05 მხ. ფილმი **"შელახული ღირსება"** (18) (ე. ჰოპკინსი) 04.00 იმედის მელოდიები

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 08.35 მუსიკა 09.30 ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" 10.00 მულტფილმი 11.00 სერიალი "დაკარგული ქვეყანა" 12.00 "ფოკუსის ისტორია" 12.30 ტელეჟურნალი "სცენა" 13.00 მხ. ფილმი **"გამტაცებელთა კლუბი"** (U) 14.35 მუსიკა მზეზე 15.00 ტელეჟურნალი "დები ტრევისი" 15.30 დოკ. ფ. "ზღვისეული" 16.00 სერიალი **"პოლიციელი ქალები"** 16.45 **ფეხბურთი**. 19.00 **ფეხბურთი**. 19.45 მზერა 21.00 მხ. ფ. **"სამეფო ქორწილი"** (U) (ფრედ ასტერი) 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 22.35 ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" 23.00 მხ. ფ. **"გამარჯვებული"** (15) (რ. დე მორნეი) 00.30 მუსიკა მზეზე

10.00 "ტვ-შოპი" 11.00, 13.00, 21.00 Style-TV 12.45 მხ. ფ. **"29 პალმა"** (U) 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.30 გადაცემა "საწინდარი" 21.30 მხ. ფილმი **"მატა ჰარი"** (U) (გ. გარბო) 00.30 "ტვ-შოპი"

08.00 "შესანიშნავი შვიდეული" 08.30 "ახალი ამბები" 08.45 მულტსერიალი 10.20 "ჭიტა-ჭიტა" 10.35 სათავგადასავლო ფილმი "ოცნება სრულდება" 12.20 იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" 12.35 დეტექტივი **"მკვლელობების ათვლა"** 14.30 თეატრი 17.30 "ახალი ამბები" 17.50 კომედია **"სიყვარული უშმაკსაც წაუღია"** 20.00 "შესანიშნავი შვიდეული" 20.30 "ახალი ამბები" 21.00 მხ. ფილმი **"ქვიშისა და ნისლის სახლი"** 00.00 "ახალი ამბები" 00.15 მხ. ფილმი **"სტეპფორდული ცოლები"**

## კვირა, 13 ნოემბერი

08.00 "მთავარი" 08.15 ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" 08.40 საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" 09.05 მომავლის ცირკი 09.45 საბ. სერიალი **"სკოლის შემდეგ"** 10.00 დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" 10.30 დოკ. ფილმი "ბრძოლა სიცოცხლისათვის" 11.30 დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" 12.00 "მთავარი" 12.20 სპექტაკლი **"ოპერაცია – დეიდა ტასო"** 13.55 **ფეხბურთი**. "ვიტ-ჯორჯია" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (თბილისი) 15.55 დოკ. ფილმი "ანრი ლანგლუა" 17.00 "ახალი პროექტი" – "ქართული უნივერსიტეტი" 18.00 "მთავარი" 18.10 მუსიკა – რ. შტრაუსი 19.00 სერიალი **"სტუდენტები"** 20.00 "მთავარი" 20.30 ბიოგრაფიული პორტრეტები - ჯონ ედგარ ჰუვერის საიდუმლო საქმე. 21.30 მხ. ფილმი **"სიკვდილის მატარებელი"** (12) 23.10 დოკ. ფილმი "სიჩქარე" 23.40 მხ. ფილმი **"მამები"** (U) მე-2 ს. 01.10 საინფორმაციო გამოშვება

19.00 ტელეზღაპარი 19.15 დოკ. ფილმი "აფხაზეთი-კონფლიქტის მხარე" 19.40 რაციო 20.45 კინოსეანსი **"თუში მეცხვარე"** მე-3ს.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 "ჯეტიქსი" 11.00 საბავშვო ფილმი 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.20 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 12.50 მხ. ფილმი **"როგორ მოვკლათ მეზობლის ძაღლი"** 15.20 მხ. ფ. **"ნათლისღება"** 17.00 სერიალი **"ენტერპრაიზი"** 18.20 დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) 19.20 მხ. ფილმი **"მხიარული რომანი"** (U) 22.00 გაიღიმეთ ფარული კამერაა 23.00 მხ. ფილმი **"სექსუალური ფანტაზიები"** (15) (ხავიერ ბარდემი) 01.10 კურიერი 01.30 მხ. ფილმი **"კოდი ომეგა"** (18).

09.00, 13.00, 15.00 ქრონიკა 09.10 ანიმ. ფილმი "ნოეს კიდობანი" 1-2ნაწ. 09.50 "რაო, რაო?" 10.30 უცხო სუნელი 11.10 "წუთისოფელში" 11.40 "საკვირაო კოქტეილი" 12.40, 16.15 **ტვ**-მარკეტი 13.20, 15.55, 02.20 იმედის მელოდიები 13.30 მხ. ფ. **"ჩვენ ჯაზიდან ვართ"** (იგორ სკლიარი) 15.15 "ეტალონი" 15.25 დოკ. სერიალი "მსოფლიოს შვიდი საოცრება" 16.30 სპ. პროგრამა "ასი" 17.00, 19.00, 02.10 ქრონიკა 17.20 "პოლიციის აკადემია" 17.50 "არტ-ბულვარი" 18.30 "ვაკაჭი-ნიუსი" 19.30 ქართული მხ. ფილმი **"დათა თუთაშხია"** მე-5ს. 21.00 დროება 22.30 მხ. ფ. **"საათის მექანიზმი"** (12) (ს. სიგალი) 00.40 მხ. ფილმი **"სიუზანის გეგმა"** (18) (ნ. კინსკი) 02.20 იმედის მელოდიები

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 09.00 მუსიკა 09.30 ანიმაც. სერიალი "იასამნის ციხესიმაგრე" 10.00 მულტფილმი 11.00 სერიალი "დაკარგული ქვეყანა" 12.00 "ფოკუსის ისტორია" 12.30 ტელეჟურნალი "მოდა" 13.00 მხ. ფილმი **"სამეფო ქორწილი"** (U) 14.40 მუსიკა მზეზე 15.30 სერიალი **"სენიორ ვიანელო"** 16.00 სერიალი **"პოლიციელი ქალები"** 17.00 დოკ. ფ. "ამორძალები" 17.15 "ჰოლივუდი დღეს" 17.35 მხ. ფილმი **"ნამდვილი სიყვარული"** (U) (ჰ. გრანტი) 19.50 "მზერა" 20.00 **ფეხბურთი**. 22.00 მხ. ფილმი **"შემოდგომა ნიუ – იორკში"** (U) (რ. გირი) 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 00.00 **ფეხბურთი**.

10.00 "ტვ-შოპი" 11.00, 14.00, 02.00 Style-TV 12.45 მხ. ფ. **"მატა ჰარი"** (U) 17.00 ვარსკვლავები გვამცნობენ 20.00 ინდ. მხ. ფილმი **"ყინული სულში"** (U) 23.00 ჯაზ-პარნასი 00.45 მხ. ფილმი **"სავსემთვარეობა"** (18)

08.00 "შესანიშნავი შვიდეული" 08.30 "ახალი ამბები" 08.45 მულტსერიალი 10.30 "მოგზაური" 11.00 "ფეხბურთი 11 საათზე" 12.00 "დებატები" 13.00 დოკ. ფილმი 14.00 "გადარჩენილი სიტყვა" 14.45 "ფერისცვალება" 15.00 მხ. ფილმი **"სიყვარულის ისტორია"** 16.45 "ექსკლუზივი" 17.30 "ახალი ამბები" 17.50 ბოევიკი **"დაპყრობა"** 19.30 "შესანიშნავი შვიდეული" 20.00 იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" 20.30, 00.00"ახალი ამბები" 21.00 დოკ. ფილმი 22.00 "შესანიშნავი შვიდეული" 22.30 "მხოლოდ კინო" 22.45 თრილერი **"პირდაპირი და აშკარა მუქარა"**

## განცხადება სს „ჩაის ქაღალდის ფაბრიკის“ მორიგი კრების მოწვევის შესახებ

**სს „ჩაის ქაღალდის ფაბრიკის“ დირექტორატი იწვევს სს-ის აქციონერებს სს-ის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2005 წლის 3 დეკემბერს ქალაქ ზუგდიდში ენგურქაღალდკომბინატის კულტურის სასახლეში 14 საათზე (მისამართი: ჯანაშიას 15).**

**დღის წესრიგი:**

1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დანიშვნა;
2. წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;
3. წესდებაში ცვლილებების შეტანა;
4. აუდიტის არჩევის შესახებ;
5. დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
6. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აუქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორატში.

აქციონერების მოთხოვნები დღის წესრიგის საკითხთა სიაში შეიტანება, თუ ისინი შესაბამისი განცხადებით მიმართავენ დირექტორატს 2005 წლის 26 ნოემბრამდე.

**ზუგდიდი 2005 წლის ნოემბერი.**
**გენერალური დირექტორი ა. აკობია**

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

თითქმის ნატურიდან

# ფერადი რევოლუციები

**ზაქრო პაპამ გაზეთი, რომლის შეძენაც მთელი თვის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შეძლო, თავითფეხებამდე სულმოუთქმელად ჩაიკითხა. მერე სათვალე მოიხსნა, გაზეთი გვერდზე გადადო და შვილიშვილს მიუტრიალდა:**

— ბიჭო, შენ ბოლო დროს რაღაც გაზარმაცდი, — უსაყვედურა.

— რატომ, პაპი, სიზარმაცისას რა მატყობ?

— ადრე ბოთლებს სიხარულით აბარებდი მაღაზიას, ახლა კი რატომღაც მიატოვე.

— ხეირი არაფერია და იმიტომ, იმ ბოთლებით ერთი ნაყინი ან მოგვივა, ან არა.

— ეჰ, შენგან ბიზნესმენი არ გამოვა, — ჩაიქნია ხელი ზაქრო პაპამ, — აგე ბადრი პატარკაციშვილმა თურმე ბოთლების ჩაბარებით დაიწყო საქმე და ულტრამილიარდელი გახდა.

— ვინ გითხრა?

— როგორ თუ ვინ მითხრა, აი ამ გაზეთში წერია.

— არ დაიჯერო, პაპი, ტყუილია, ეგენი ფულს სხვანაირად შოულობენ.

— უყურე ამას, დამიწყო ახლა ჭკუის სწავლება! — წარბი აპრიხა პაპამ.

— მე კი არა, ვისაც გინდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, რომ ბოთლების ჩაბარებით მილიონერი ვერ გახდები. ეს მთავრობამაც მშვენივრად იცის და ამიტომ ხსნის უფასო სასადილოებს. ვერა ნახე, პრეზიდენტმა რა თქვა, ქვეყანაში ამ სასადილოების წყალობით მშიერი არავინ დარჩებაო...

— მერე, მაგ სასადილოების კერძები, როგორ ფიქრობ, პირში ჩაიშვება? — დაეჭვდა მოხუცი.

— რატომაც არა, პრეზიდენტმა ქალაქის მერსა და გამგებლებს დაავალა — კვირაში ერთხელ თქვენც მიირთვით ამ სასადილოებში დამზადებული კერძები, რათა ხარისხი არ გაფუჭდესო.

— მერე, შეჭამენ?

— მეც ეგ მიკვირს, პაპი, შინაც რომ ჭამონ და ამ სასადილოებშიც, ამისთვის მადა ეყოფათ?

— ეყოფათ, შვილო, ეყოფათ. ყველასთვის ცნობილი ამბავია, რევოლუციონერებს წარმატებული რევოლუციის შემდეგ ჭამის მადა ეზრდებათ.

— და ესთეტიკური მადაც?

— რაზე მეუბნები?

— რესპუბლიკის მოედანთან დაკავშირებით გამახსენდა — სახელს ხომ უცვლიან და ვარდების მოედანს არქმევენ.

— მერე, ვარდები და ანდროპოვის ყურები ერთად კი ესთეტურ ღირებულებას შექმნიან?

— შენ არ გინახავს, პაპი, ანდროპოვის ყურები უკვე დაანგრიეს, დავით აღმაშენებლის ძეგლიც აიღეს და მოედანი მხოლოდ ვარდებს დარჩებათ. ვიღაცამ ტელევიზორში თქვა, მალე ბოკერიას და თარგამაძის სახელობის პროსპექტები და ბექაურის ჩიხიც გვექნებაო.

— კარგია, შვილო, კარგი, — გულწრფელად გაიხარა მოხუცმა, — ჰო მართლა, ხომ არ გიყურებია, აზერბაიჯანში რა ხდება?

— მგონი, იქაც რევოლუციას აპირებენ, პაპი, დიდი გამოსვლებია.

— რას ამბობენ, ეგ რევოლუცია რა ფერისა იქნებაო?

— ნავთის ფერიო.

— ჰო, რევოლუციებს ჭრელ-ჭრელი ფერები უყვართ, თანაც ქათმის გრიპისა არ იყოს, ძალიან გადამდებია. ისტორიაში ხომ გასწავლეს, ოქტომბრის რევოლუცია, რომელიც რუსეთში მოხდა, როგორი სისწრაფით გადაედო სხვა ქვეყნებს.

— რევოლუცია თუ ასეთი გადამდებია, მაშ ამჯერად სომხეთი როგორ გადაურჩა? — დაინტერესდა ბიჭი.

— ეგენი ჩუჩუმალები არიან, — აუხსნა ზაქრო პაპამ, — შეიძლება ტუფისფერი რევოლუცია უკვე მოახდინეს კიდეც, მაგრამ არ გვიმხელენ.

**ოთარ ხუციშვილი**

მოუძველებელი კარიკატურა

## ანდრო კანდელაკი



ამ რუბრიკით ჩვენს „ხუმარსიტყვის გვერდს“ უთუოდ გაახალისებს არა მარტო ახალი, არამედ ძველი კარიკატურიტების ნახელავიც, რომელი კარიკატურისტებიც XX საუკუნეში დარჩნენ და იქიდან გვიცინიან. ამჯერად გთავაზობთ **ანდრო კანდელაკის** (1916-1989) ორ ძველ, მაგრამ მოუძველებელ კარიკატურას.



მლიქვნელი მდგომარეობის სიმაღლეზე



ორი სენსაცია

მკითხველის ანეკდოტი

**თუ** ჩვენი ქვეყნის მთავრობას და ფეხბურთელთა ნაკრებს ადგილებს შევუცვლით, აბსოლუტურად არაფერი შეიცვლება არც მთავრობაში და არც — ნაკრებში.

* * *

— **ვისი** ბიუსტის დადგმას მირჩევ პიანინოზე — ბრამსისა თუ ბეთჰოვენისა?

— ბეთჰოვენისა აჯობეს, ის ხომ ყრუ იყო...

* * *

**შენ** ნამდვილად გაქვს შინაგანი ძალა, თუ:

... შეგიძლია, დღე უკოფეინოდ დაიწყო,

... შეგიძლია, კარგად ისაუზმო უაბებოდ,

... შეგიძლია, იყო ალერსიანი ტკივილისა და ავადმყოფობის მიუხედავად,



... შეგიძლია, არ შეაწუხო ადამიანი საკუთარი წუხილითა და პრობლემებით,

... შეგიძლია, ყოველდღე ჭამო ერთი და იგივე სალაფავი და კმაყოფილი იყო,

... შეგიძლია, გაიგო, რომ საყვარელ ადამიანს შენთვის არა სცალია,

... შეგიძლია, უდრტვინველად აიტანო საყვედური და კრიტიკა,

.... შეგიძლია, უმედიკამენტებოდ გაუძლო სტრესს,

... შეგიძლია, უსმელად დაისვენო,

... შეგიძლია, საძილე საშუალებების გარეშე დაიძინო,

ყველაფერი ეს შეგიძლია?

მაშინ ძაღლი ყოფილხარ!

* * *

**მილიონერებისა** და ოლიგარქების რაოდენობით ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანას საკმაოდ იოლად გავუსწარით და ამ მხრივ ახალ მიჯნებსაც ვესწრაფვით. ეს ნათლად მიანიშნებს, რომ ჩვენთან ქურდობა ბევრად იოლია, ვიდრე გამომუშავება.

* * *

**თუ** 60-ათასიანი ჯიპისა და 5-მილიონიანი თვითმფრინავის ყიდვა არ შეგიძლია, რად უნდა იოცნებო ნაკლებზე?

ალიართალი — ბალიართალი

## „შენ ბაბთები შეაბი“...

**ახმეტის** რაიონული გაზეთის „ბახტრიონის“ რედაქტორს სერგო გონჯილაშვილს ბევრი მეგობარი ჰყავდა. ყველასგან მაინც გოგი ერთგულაშვილი, ედიშერ ჯავახიშვილი და ბონდო აბესალაშვილი გამოირჩეოდნენ. ბონდო ენაკვიმატი იყო და ხშირად ახელებდა ხოლმე ედიშერს. გეგონებოდათ, მჭადიდან ნახშირს ვერ გამოარჩევსო, უცებ კი ისეთ რამეს დაახეთქებდა, მუცელი ხელით უნდა გჭეროდა.

ადრიანი გაზაფხულია. გოგი ერთგულაშვილმა ოჯახში მიგვიპატიჟა. სანამ დიასახლისი სუფრას გააწყობდა, ვმასლაათობდით.

— ვენახი გასასხლავი მაქვს და დრო ვერ გამომინახავს, — დაიჩივლა ბონდომ.

— შენ ბაბთები შეაბი, მოვალ და გაგისხლავ, — სერიოზულად ეუბნება ედიშერი.

ჩიტი აფრენაზე იყო და ხელის აქნევას ელოდაო. ესღა გვინდოდა? იმდენი ვიცინეთ, გამწარებული ედიშერი კინაღამ სუფრიდან არ გაგვექცა.

## მარწყვი დარგე!

— **გავიგე**, ცოლი მოგიყვანია, მომილოცავს!

— მოგილოცავს კი არა, სამძიმარს უნდა მეუბნებოდე... ეგეთი უჯიშო მეორე არ მეგულება. საქალეთი შემაჯავრა. გარეთ გავალ და შინ დაბრუნება აღარ მინდა, ყველაფერზე ქოფაკივით ყეფს... ფულის მეტი არაფერი ახსოვს...

— მერე მაგის წამალი არ იცი? მარწყვი დარგე, კარგი ფული მაგან იცის, ისეთი ჯოჯოხეთური შრომა სჭირდება, იმ კონდოლელისა არ იყოს, შენი ცოლი ერთ წელიწადში ფეხებს გაჭიმავს!

**ელგუჯა ლეჟანიძე**

ახალი ფოლკლორი

# ცხრა ნაფაზი რომ დაარტყათ ცხრაჯერ წუთში...

სიგარეტის მწეველ გოგონებს — არამწევლისგან



მოუკიდეთ და მოქაჩეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გაგევსოთ
და დაგებეროთ!
ხელმეორედ მოუკიდეთ, თუკი ჩაქრა,
დღეში ოცი სიგარეტი არ გებევროთ.

ცხრა ნაფაზი რომ დაარტყათ
ცხრაჯერ წუთში,
იმ გინესის საოცნებო გელით წიგნი.
ჩაგეთვლებათ რეკორდების
სიყვარულში
გემრიელი ნაფაზების
გრძელი რიგი...

**თამაზ ილმელი**

# წკიპურტიანი პანღურები

ჭიპი გიჩანთ და ბაყვები გიჩანთ,
გულ-მკერდიც გიჩანთ გადაღეღილი,
მაგრამ მე მგონი, ჯერ არა გიშავთ,
დამალული გაქვთ „სველი წერტილი“.

* * *

გაინავარდებს სიცოცხლე კაცის
და მერე სადღაც მოიტეხს კისერს...
კაცურ კაცს შია, ათოვს და აწვიმს,
ულხინს: ბანდიტებს, ნარკომანს, ცისფერს.

* * *

უფსკრულის ფსკერზე ვსხედვართ და გიმზერთ,
კარგად ხართ: ქურდი, ბოზი, ჩამშვები,
ფულს აფრიალებთ ლატაკთა ჯიბრზე,
ცოცხლად დაგვმარხეთ, აწი რას შვრებით?!

* * *

როცა სამშობლო განსაცდელშია
და როცა ერი განიცდის კვდომას,
როცა განწირულ, ლატაკ ერს შია,
როგორ ახერხებთ მაგ სკამზე ჯდომას?!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

№ 263-264. შაბათი, 12 ნოემბერი, 2005 წელი.

◉ საეკლესიო კალენდარი

# წმინდა იოთამ ზედგენიძე

**12 ნოემბერს ქართული სამოციქულო ეკლესია წმინდა იოთამ ზედგენიძეს იხსენიებს, რომელიც სარწმუნოებით, სიმხნევით და მეფის ერთგულებით ცნობილი აზნაურიშვილი იყო.**



**1446 წელს საქართველოში მეფედ აკურთხეს გიორგი VIII. იოთამს კარგად ესმოდა, რომ მირონცხებული მეფის ერთგულება ქვეყნისა და წმინდა ეკლესიის სიყვარულს ნიშნავდა...**

1463 წელს საქართველოში მდგომარეობა დაიძაბა. 1465 წელს გიორგი მეფემ გადაწყვიტა სამცხის განდგომილი ათაბაგი, ყვარყვარე დაემარცხებინა.

... ამ დროს ფარავნის ტბასთან დაბანაკებულ გიორგის „შემოუჩინეს განდგომილთა მოღალატენი, რათა მოკლან იგი და ტაძრეულნივე თვისნი". მეფის ამალაში იყო აზნაური იოთამ ზედგენიძე, გიორგი მეფის უერთგულესი ქვეშევრდომი. მან შეიტყო მეფის წინააღმდეგ საზარელი შეთქმულების შესახებ და გააფრთხილა იგი. მაგრამ „მეფემან არა ირწმუნა"... მაშინ ერთგულმა კარისკაცმა შესთავაზა: „უკეთუ ვცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყვა ჩემი, აწ გევედრები, ღამეს ამას, მე დავწვე საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებლითა შენთა მეფედ, გარნა თუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა". მეფე დათანხმდა, თუმცა სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ზედგენიძის ეჭვიანობის მიზეზი სიყვარული და ერთგულება იყო და მას არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა...

...მაგრამ... იმ ღამეს მოღალატეებმა მოკლეს იოთამი. ამის მნახველმა მეფემ სინანულით დაიტირა ერთგული იოთამი, ხოლო ზედგენიძის შთამომავალნი წყალობით აავსო. იოთამის ძეს უბოძა ქართლის სპასპეტობა, გორის მოურავობა და ამილახვრობა.

**მოამზადა**
**გიული ლიპარტიამ.**

◉ 127-ე სეზონი — ახალ გარემოში

# „...ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება"

**თითქმის ხუთი წელი იყო მაყურებლისთვის გამოკეტილი რუსთაველის თეატრი, თითქმის ხუთი წელი ხან ჩვენში უჩვენებდა თავის საუკეთესო სპექტაკლებს თეატრის დასი, ხანაც — საზღვარგარეთ... ამ დროს კი შიგნით მთელი ამბები ხდებოდა — კაპიტალური რემონტი, რესტავრაცია, მშენებლობა...**

— რემონტი, ფაქტობრივად, 1996 წელს დაიწყო, — გვეუბნება თეატრის გენერალური დირექტორი გია თევზაძე, — დაიწყო გამაგრებითი სამუშაოებით, რასაც სახელმწიფო აკეთებდა, მაგრამ 2000 წელს სახსრები მორჩა და რაღა გვექნა აღარ ვიცოდით. ჰოდა, მაშინ გამოჩნდა დიდი ქართველი მეცენატის ბიძინა ივანიშვილის მამულიშვილობა — თუ რემონტია, რემონტი იყოსო, და მთლიანად დააფინანსა სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები, მსოფლიო სტანდარტების დონის ტექნიკური აღჭურვილობა, ახალი იატაკი დიდ და მცირე დარბაზში, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... აიგო 170 ადგილიანი დარბაზი ექსპერიმენტალური სცენით, დაიკიდა ახალი ჭაღები, დაიდგა ახალი ინვენტარი... ასე რომ ახლა შეიძლება თამამად თქმა: რუსთაველის თეატრის შენობა ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა მთელ მსოფლიოში....



**— თუ საიდუმლო არ არის რამდენი დაჯდა ეს კეთილი საქმე?**

— ზუსტად ციფრს ვერ დაგისახელებთ, რადგან რაღაც-რაღაცები კიდევ კეთდება, მაგრამ ამ წუთას 7-8 მილიონი დოლარი ნაღდად არის დახარჯული.

— მაშ, გაუმარჯოს ივანიშვილს და ახალ-ახალი წარმატებები თქვენ! რუსთაველელთა მომავალი სპექტაკლებიც, იმედია, კვლავინდებურად, ამ ბრწყინვალე შენობის ტოლფარდი იქნება.

— ვეცდებით.

**ვილენ მარდალეიშვილი**
გივი ჯოლბორდის ფოტო..





**განახლებული რუსთაველის თეატრი**

◉ გვემრავლოს!

# წუხელის დაბადებულან...

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა სამედიცინო დემოგრაფიის სამსახურის უფროსმა ვერიკო ბაზიერმა გვაცნობა, რომ უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში საქართველოს სამშობიარო სახლებში 22 017 ქალმა იმშობიარა, იმაზე მეტმა, ვიდრე შარშან...**



მშობიარეთა რიცხვი ყველაზე მეტია თბილისში — 1341, შემდეგ ქუთაისში — 302, მესამე ადგილზეა ბათუმი — 256; მეოთხეზე რუსთავში — 126. შემდეგ მოდის რაიონები. გურჯაანში დაიბადა 43 ბავშვი, თელავში — 56, ლაგოდეხში — 36, საგარეჯოში — 43, ჭიათურაში — 37, ზესტაფონში — 48, საჩხერეში — 49, ზუგდიდში — 116, სენაკში — 89, წალენჯიხაში — 38, გორში — 52, ხაშურში — 45, ბოლნისში — 70, გარდაბანში — 39.

ჩვენი მახარობლები თბილისის სამშობიარო სახლებიდან თუ რაიონებიდან ხშირად გვახსენებენ: წუხელის ბიჭი დაბადებულა, დაურქმევიათ თურმე დავითი... წუხელის გოგოც დაბადებულა, დაურქმევით თურმე თამარი...

ღმერთო, შენ გვამრავლე!

**ნათელა ფაილოძე**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

◉ მოდა

# საშემოდგომო გარდერობი

**წლევანდელი შემოდგომა-ზამთრის კოლექცია განსაკუთრებული სიახლით და ორიგინალობით არ გამოირჩევა. კვლავინდებურად აქტუალურია მკვეთრი ფერები, ქსოვილთა სხვადასხვა კომბინაცია, მათი კონტრასტული მოხატულობა, მეოცე საუკუნის ეკლექტური, ბოჰემური სტილი და გამოკვეთილი სილუეტი. ასევე აქტუალურია რეტრო ტენდენციებიც.**

ტვიდი და ხავერდი პოპულარული დიზაინერების შემოქმედებაში წამყვან ადგილს იკავებს, ხოლო კოკო შანელის სტილის საიუველირო ნაწარმი მოდის უკანასკნელი გამოძახილია.

ქვედატანის შექმნისას დიზაინერების ფანტაზია უსაზღვროა — აქტუალურია მოკლე და გრძელიც, ყველანაირი სტილი და ფორმა. მოდურად ითვლება როგორც ხელოვნური, ასევე ნატურალური ბეწვიც, ნაქსოვისა და მაქმანების კომბინაციით შეკერილი დეკოლტე ბლუზონები, ფერადი როლინგები და სხეულზე მომდგარი ვიწრო კაპიუშონიანი ჟაკეტები.

წამყვან დიზაინერთა 2005 წლის შემოდგომა-ზამთრის კოლექციებიდან გამომდინარე თქვენს გარდერობში სასურველია იყოს ტოპი ორიგინალური ქამრით, ჟაკეტი და რბილი, ფაფუკი სვიტერი. მოდურია ვარდისფერი ტონალობა და შავ-თეთრი გამა. გაითვალისწინეთ, რომ ტოპს ძალიან უხდება ასიმეტრიული ქვედაბოლო.

დასავლეთის თითქმის ყველა მოდურ ბუტიკში მნიშვნელოვანი ადგილი სხვადასხვა ფერის, ფორმისა და სტილის პანჩოებს უკავია. განსაკუთრებით აქტუალურია ეთნიკურ მოტივებზე შექმნილი ეგზოტიკური და აბრეშუმის პანჩოები.

ლაბადა შემოდგომის განუყრელი ატრიბუტია. წელს მოდურია ფერადი და ორნამენტებიანი კაპიუშონიანი ლაბადები.

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ მოდაში შლაპა კვლავ მკვიდრდება, შემოდგომა-ზამთრის კოლექციებში კი განსაკუთრებით აქტუალურია, იგი დაგეხმარებათ ხაზი გაუსვათ ინდივიდუალობას და დახვეწილ სტილს.





ამ სეზონზე ველვეტი ყველა ფორმით არის წარმოდგენილი — პიჯაკი, ქურთუკი, შარვალი, ქვედაბოლო... ეს სახეობები ჯორჯო არმანის, ზარასა და პრადას კოლექციებში უხვად წარმოჩინდა.

კვლავ მოდურია ბუნებრივი და უხეში ტყავის ჩანთები, ფეხსაცმელები და თვლებით გაწყობილი ქამრები.

**ლელა დონაძე**

**სურათზე:** საშემოდგომო მოდელები.

თემურ ჭუმბაშვილი ოჯახით იუწყება დეიდაშვილის
ჯუმბერ ილარიონის ძე გოგლიძის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

თბილისის № 3 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის ყოფილი პედაგოგები თანაუგრძნობენ ავთანდილ და ვანო იზორიების ოჯახს დედის, ამავე სკოლის პედაგოგის — დირექტორის მოადგილის
ვერა გვასალიას
გარდაცვალების გამო.

---

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ბატონ ავთანდილ სილაგაძეს თანაუგრძნობს მამის
ნოდარ სილაგაძის
გარდაცვალების გამო.

---

შვილები თემო, თამრიკო ხუციშვილები, რძალი ზაირა პაატაშვილი, შვილიშვილები ლია თანდილაშვილი, ეკა ხუციშვილი, სიძეები ავთო ყამბარაშვილი, გოგიტა სოზაშვილი, სოსო კავსაძე, რძალი ნინო ურუშაძე, შვილთაშვილები რუსიკო, ავთო ყამბარაშვილები, სოფიკო, თემური სოზაშვილები, თამთა, ლიკუნა კავსაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ნინო დალელიშვილი-ხუციშვილი
პანაშვიდი 14 XI 16 სთ, გამოსვენება 15 XI 13 სთ, თელავი, თეიმურაზ II-ის ქუჩა № 6.

---

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ბიბლიოთეკის გამგე
ნინო მაღალაშვილი
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

უახლოესი მეგობრები მაყვალა უდუმაშვილი, დიანა რუსია, ნელი კოპალეიშვილი, ეთერ მათურელი, ნათელა კალანდაძე, მაყვალა აბრამიშვილი, დოდო ნუცუბიძე, თენგიზ კუპრაშვილი, ამბროსი მალანია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უკეთილშობილესი ქალბატონი, საუკეთესო მეგობარი
ელენე არსენის ასული ბურდილაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

**მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 15 ნოემბერს.**

**გაზეთის დღევანდელი ნომერი 24-გვერდიანია.**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1"
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ელგუჯა ლეგანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილე: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.